ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციები

თამარ ნარინდოშვილი

„ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წწ.)“

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია მასობრივი კომუნიკაციების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ გერსამია, პროფესორი

თბილისი, 2018

რეზიუმე

სადოქტორო ნაშრომის - „ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წწ.)“ მიზანია ქართულ სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქების კვლევა. აღნიშნული კვლევა მოიცავს ექვსი ტერორისტული აქტის გაშუქების კვლევას. ესენია: 2015 წელს პარიზის ორი ტერაქტი, 2010 წელს მოსკოვის ტერორისტული აქტი, 2005 წელს გორში მომხდარი აფეთქება, 2001 წელს ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტები, 1995 წელს საქართველოში ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტი, ასევე საკვლევი მასალა მოიცავს საქართველოდან, ძირითადად კი პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში საომრად წასვლის ამსახველი მედიაგაშუქების კვლევას.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ტერაქტებთან და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ფრეიმები და კონტექსტი, როგორიცაა მიგრაცია.

საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 1995-2015 წლებში მომხდარი ტერორისტული აქტების მოწყობიდან ორი კვირის პერიოდი, ხოლო პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საომრად წასვლის შესახებ კი სამი თვე - 2015 წლის აპრილი, მაისი და ივნისი.

კვლევამ პასუხი გასცა საკვლევ კითხვებს და დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ტერაქტის და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების გაშუქებისას ქართულ მედიაში განსხვავებული მედიაფრეიმები იკვეთება.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, ტერაქტი, უსაფრთხოება, მედია, ფრეიმი.

სარჩევი

შესავალი (აქტუალობა, მიზანი, ამოცანები).....,,.....გვ.6

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....გვ.9

1.1. ტერმინთა განმარტება.....გვ.10

1.2. მედიის როლი ტერორიზმის გაშუქებისას.....გვ.14

1.3. ტერორიზმი - გლობალური გამოწვევა და საქართველო.....გვ.21

1.4 ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქებაზე ჩატარებული მედიაკვლევები.....გვ.27

1.5 თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია.....გვ.34

1.6 უსაფრთხოების საკითხების გაშუქებაზე საქართველოში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა.....გვ.39

1.7 მიგრაცია და მედია.....გვ.42

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....გვ.46

2.1 შერჩევა.....გვ.48

2.1.1. მოვლენათა შერჩევა.....გვ.49

2.1.1.1 პარიზის ტერაქტი - 2015 წლის 13 ნოემბერი.....გვ.50

2.1.1.2. „შარლი ებდოზე“ ტერაქტი – 2015 წლის 7 იანვარი.....გვ.51

2.1.1.3. მოსკოვში აფეთქება - 2010 წლის 29 მარტი.....გვ.52

2.1.1.4. ტერაქტი გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან - 2015 წლის I თებერვალი.....გვ.52

2.1.1.5. ა.შ.შ.-ში ტერაქტი - 2001 წლის 11 სექტემბერი.....გვ.53

2.1.1.6. ტერაქტი ედუარდ შევარდნაძეზე - 1995 წლის 29 აგვისტო.....გვ.53

თავი 3. კვლევის შედეგები.....გვ.54

3.1. 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტის სატელევიზიო მედიაში გაშუქება.....გვ.57

3.2. 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტის ქართულ ბეჭდურ მედიაში გაშუქება.....გვ.69

3.3. პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში საბრძოლველად წასვლის შესახებ ინფორმაციის სატელევიზიო მედიაში გაშუქება.....გვ.81

3.4. საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში.....გვ.90

3.5. ჟურნალ „შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერაქტის ქართულ სატელევიზიო მედიაში გაშუქება.....გვ.100

3.6. ჟურნალ „შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერაქტის ბეჭდურ მედიაში გაშუქება.....გვ.111

3.7. მოსკოვის ტერაქტის სატელევიზიო მედიაში გაშუქება.....გვ.120

3.8. მოსკოვში მომხდარი ტერაქტის ბეჭდურ მედიაში გაშუქება.....გვ.125

3.9. 2005 წლის I თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტის სატელევიზიო მედიაში გაშუქება.....გვ.134

3.10. 2005 წლის 1 თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტის ქართულ ბეჭდურ მედიაში გაშუქება.....გვ.144

3.11. 2001 წლის 11 სექტემბერს ა.შ.შ.-ში განხორციელებული ტერაქტების ქართულ მედიაში გაშუქება.....გვ.154

3.11.1. 2001 წელს ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში.....გვ.156

3.11.2. 2001 წლის 11 სექტემბერს ა.შ.შ.-ში განხორციელებული ტერაქტის ქართულ ბეჭდურ მედიაში გაშუქება.....გვ.162

3.12. 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის მედიაში გაშუქება.....გვ.172

თავი 4. დასკვნა.....გვ.183

თავი 5. კვლევის ლიმიტი და სამომავლო პერსპექტივა.....გვ.193

დანართი 1. კოდირების სახელმძღვანელო.....გვ.194

ბიბლიოგრაფია.....გვ.200

შესავალი

უსაფრთხოების დაცვა და მისი შენარჩუნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული გამოწვევაა. ტერორიზმი, როგორც გლობალური საფრთხე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს ტერაქტი მსოფლიოს 104 ქვეყანაში განხორციელდა, ამიტომ ტერორიზმი ამ ანგარიშში აქტუალური საკითხია. უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიუხედავად, ტერაქტებისგან არცერთი სახელმწიფო დაცული არ არის. ტერორისტული აქტები საქართველოშიც განხორციელდა, კვლევის ფარგლებში ორი მათგანის გაშუქებას დავაკვირდებით. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნისთვის ტერორიზმის საკითხი იმიტომაა აქტუალური, რომ საქართველოდან, ძირითადად კი, პანკისის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდები საომრად მიდიან და ეს არ რჩება მედიის ყურადღების მიღმა. ვინაიდან, მედია საზოგადოების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს, საინტერესო და აუცილებელიცაა, რომ მედიაში ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება შევისწავლოთ. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც (2017) დიდი ყურადღებაა გამახვილებული ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად სწორედ მედიის გამოყენების მნიშვნელობაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც 2014 წლის პერიოდს მოიცავს, აღნიშნულია, რომ ტერაქტების რაოდენობა 2014 წელს 35 პროცენტით გაიზარდა, თუმცა 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, სადაც 2016 წლის მონაცემებია ასახული, ნათქვამია, რომ 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ტერორისტული შეტევების რიცხვი 9 %-ით, ხოლო ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა რიცხვი 13%-ით შემცირდა, თუმცა ასევე ხაზგასმულია, რომ მსოფლიოსთვის მთავარ ტერორისტულ საფრთხედ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ რჩება (Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism, 2017).

ტერაქტების გაშუქებისას მედიამ საზოგადოებაში შეიძლება შიში დაამკვიდროს და ასევე მუსლიმების მიმართ ნეგატიური განწყობებიც კი შეიქმნას. საინტერესოა, 1995 წლიდან 2015 წლამდე ქართული მედია ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს როგორ აშუქებდა.

ტერაქტების გაშუქებისას მედია ზოგჯერ იმდენად პარადოქსულად აღწერს სიტუაციას, რომ მისი ნახვის შემთხვევაში, მაყურებელი იმაზე მეტად საშინელ სცენებს წარმოიდგენს, ვიდრე რეალურად ადგილზე ხდება (Ganor, 2009).

მეცნიერების, კავოორისა და ფრეილის (Kavoori & Fraley, 2006) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერორიზმთან დაკავშირებულ განწყობებს, ჩარჩოებს (ფრეიმებს) სწორედ მედია ქმნის და სწორედ ჟურნალისტების შექმნილი სურათის გავლენის ქვეშ ექცევა საზოგადოება.

მკვლევრების, ალექსანდერისა და ლატერის (Alexander & Latter, 1990) აზრით, გარკვეული დილემა არსებობს: მედიასაშუალებამ ისე როგორ უნდა გააშუქოს ტერორიზმთან დაკავშირებული ახალი ამბავი, რომ უნებლიეთ დანაშაული არ წაახალისოს. მკვლევრები ამბობენ, რომ ამ ბალანსის დაცვა საკმაოდ რთულია. მედიასაშუალებამ ხომ აუცილებლად უნდა გააშუქოს ახალი ამბავი. მათ ნაშრომში ასევე აღნიშნულია, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებს შესაძლოა, მიზნის მიღწევაში უნებლიეთ მედია დაეხმაროს კიდეც იმით, რომ საზოგადოებაში შიში დანერგოს. სწორედ ამიტომ ახალი ამბავი, ნიუსი, პროპაგანდას არ უნდა ემსახურებოდეს (Alexander & Latter, 1990).

კვლევის მიზანია ქართული მედიის მიერ ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების ფრეიმებისა და კონტექსტის შესწავლა. მნიშვნელოვანია, დადგინდეს თუ რა ფრეიმებშია მოქცეული ქართულ მედიაში უსაფრთხოების საკითხები, ასევე გაირკვეს, იცვლება თუ არა წლების განმავლობაში ტერორიზმთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით მედიაფრეიმები. ეს კვლევა ასევე გვაძლევს

პასუხს კითხვაზე თუ რა ტერმინებს იყენებენ ჟურნალისტები ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას.

კვლევა ჩატარდა უშუალოდ ტერორიზმის გაშუქებასთან დაკავშირებით და ასევე შევისწავლეთ მის კონტექსტში გამოვლენილი უსაფრთხოების საკითხი, რომელიც მიგრაციას დაუკავშირდა.

როდის ინტერესდება მედია ტერორიზმის საკითხით? ამ კონტექსტში ქართულ მედიაზე დაკვირვება და სიღრმისეული კვლევა საზოგადოებისთვის ღირებული ინფორმაციის მიწოდებას მიხმარება, რადგან ინტერნეტრესურსების (Google Scholar, Jstore, Cambridge journals, Doaj) გადამოწმების შედეგად იმთავითვე დადგინდა, რომ ქართულ მედიაზე ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ ასეთი მასშტაბური კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

კვლევისას მნიშვნელოვანია საქართველოს გლობალურ ჭრილში განხილვაც. დავინტერესდით საქართველოში მომხდარი ტერაქტების გაშუქებით (მაგალითად, 1995 წელს ტერორისტული თავდასხმა ედუარდ შევარდნაძეზე, 2005 წელს გორის სამხარეო პოლიციასთან). მომხდარი ტერაქტი. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად არაერთი ახალგაზრდა მიდის (ამასთან დაკავშირებით 2015 წელს ხეობაში სპეცოპერაციაც განხორციელდა).

მიზნის მისაღწევად, ქართული ბეჭდური გამოცემებისა და ტელევიზიების 1995-2015 წლებში ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე დაბეჭდილი სტატიები და მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალები მოვიძიეთ.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართულ მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების კვლევის შედეგები. საკვლევ მასალად შევარჩიეთ გაზეთები: „რეზონანსი“, „პრაიმ ტაიმი“, „საქართველოს რესპუბლიკა“ „ახალი თაობა“, „საქართველო და მსოფლიო“, „კვირის ქრონიკა“, ტელევიზიებიდან კი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი - „პირველი არხი“. (საკვლევი ობიექტების შერჩევის მიზნობრიობა მოცემულია ქვეთავში - შერჩევა, იხ. გვ.48) კვლევის

მეთოდად კონტენტ-ანალიზი განისაზღვრა, თეორიულ ჩარჩოდ კი - ფრეიმინგის თეორია.

კვლევის მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანები განისაზღვრა:

- თითოეული ტერორისტული აქტის შესახებ ქართულ მედიაში მასალების რაოდენობის განსაზღვრა
- ტერაქტების, ასევე საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის გაშუქებისას მედიაში უსაფრთხოების საკითხის გამოვლენა
- ტერორიზმის გაშუქებისას ქართულ მედიაში ფრეიმების, კონტექსტის განსაზღვრა
- ქართულ მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებული ტერმინების დადგენა

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ ნაშრომში ტერორიზმი და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები შევისწავლეთ. ტერაქტების მედიაში გაშუქების კვლევისას გამოიკვეთა მიგრაციის, გლობალური თუ ქვეყნის შიდა თავდაცვისუნარიანობის პრობლემები. ეს საკითხი ქართული მედიისთვის აქტუალურია, ვინაიდან ტერორიზმი მთელ მსოფლიოში დიდ საფრთხეს და გამოწვევას წარმოადგენს. სანამ კვლევის შედეგებს წარმოვადგენთ, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ, ტერორიზმთან და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა და ტერმინები.

1.1. ტერმინთა განმარტება

ტერმინი ეროვნული უსაფრთხოება პოლიტიკურ ლექსიკონებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის (1901-1909) თეოდორ რუზველტის დამსახურებით აღმოჩნდა. მან 1904 წ. ა.შ.შ.-ს კონგრესს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც პანამის იმ ტერიტორიების ოკუპირებას, სადაც მომავალში არხი უნდა აშენებულიყო, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით ასაბუთებდა. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად მიიღო შესაბამისი კანონი (1947 წ.) და იმავე წელს შექმნა სპეციალური სტრუქტურა – ,,ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო''. შემდგომ პერიოდში აღნიშნული პრობლემების მეცნიერული კვლევა მსოფლიოში კიდევ უფრო გაფართოვდა (ალადაშვილი, 2004).

არტი და ჯერვისი (2011) მიიჩნევენ, რომ ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება სხვა სახელმწიფოების ქცევაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს წარმოშობს უსაფრთხოების დილემას, რომლის წინაშეც ყოველი სახელმწიფო დგას: ,,საკუთარი უსაფრთხოების დაცვის ან განმტკიცების მიზნით სახელმწიფომ შეიძლება იმგვარი ზომები მიიღოს, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას ამცირებს. შედეგად, ამ სახელმწიფოებმა შეიძლება საპასუხო ზომებს მიმართონ, რომლებიც პირველი სახელმწიფოს ქმედებების გაუვნებელყოფას ემსახურება და შეიძლება მას საფრთხეც კი შეუქმნას. უსაფრთხოების დილემა ორი შემზღუდველი გარემოებით არის განპირობებული: თავდასხმითი და თავდაცვითი პოზიციების ერთმანეთისგან გარჩევა იმთავითვე რთულია, ხოლო ერთი სახელმწიფო იმის იმედად ვერ იქნება, რომ მეორის მშვიდობიანი განწყობა მომავალში არ შეიცვლება'' (არტი, ჯერვისი, 2011).

ტერორიზმის ცნებას მეცნიერები სხვადასხვანაირად განმარტავენ. საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე განსაზღვრების განხილვა.

მეცნიერი შმიდტი (Schmidt, 2004) ტერორიზმს განმარტავს, როგორც ძალადობრივი ქმედებების მეთოდს, რომელსაც ინდივიდი, ჯგუფი ან სახელმწიფო აქტორები ასრულებენ. ტერორიზმის შემთხვევაში ძალადობის უშუალო სამიზნეები არ არიან არ არიან ისინი, ვისზეც გავლენის მოხდენა სურთ ტერორისტებს. ძალადობის მსხვერპლები ან შემთხვევითად შეირჩევიან ან შერჩევითად. ძალადობასა და მუქარაზე დაფუძნებული კომუნიკაციის პროცესი ტერორისტის მსხვერპლს და მთავარ სამიზნეს შორის არის გამოყენებული, რათა მოხდეს მთავარი სამიზნე აუდიტორიის მანიპულირება, რაც მას გარდაქმნის შიშის, მოთხოვნის ან ყურადღების სამიზნედ.

ვეინბერგის, პედაზურისა და ჰოეფლერის (Weinberg, Pedahzur & Hoefler, 2010) აზრით, ტერორიზმი არის პოლიტიკურად მოტივირებული ტაქტიკა, რომელიც მოიცავს ძალის ან ძალადობის გამოყენებას ან მუქარას. ამ შეთხვევაში მნიშვნელოვან როლს საჯაროობა და ყურადღების მიპყრობა თამაშობს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი ტერორიზმს განმარტავს, როგორც უკანონო ძალადობის, მუქარის გამოყენებას საზოგადოებასა თუ მთავრობაში შიშის დასანერგად.

შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმი არის ძალადობრივი კარგად გამიზნული ქმედება, რომელიც საზოგადოებაში შიშის დანერგვას ისახავს მიზნად.

როგორ განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით ტერორიზმი? ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზების ფორმებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციის წესს, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობის საფუძვლებს, მათ უფლებებს, მოვალეობებს და მათი სოციალური დაცვის გარანტიებს.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, **ტერმინი ტერორიზმი** არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის;

იმავე კანონის მიხედვით, ტერორისტული აქტი განისაზღვრება როგორც აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ხელყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას, სახელმწიფოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით;

საქართველოს კანონის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ მე-13 მუხლის თანახმად, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ტერორისტული აქტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სხვა ფორმით ხდება. ინფორმაციის მოცულობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელი. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის გახმაურება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის **ჩატარების ზონაში შეზღუდულია სატელევიზიო, სამაუწყებლო მობილური სადგურების ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეპორტიორთა ყოფნა,** რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი.

2014 წლის 4 აპრილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებები შევიდა (ცვლილება კანონში გამოქვეყნებიდან 15 დღეში ამოქმედდა), რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო ტერორისტული საქმიანობა, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის გადაბირება და ტერორისტული საქმიანობის ხელის შეშლისთვის ზომების მიუღებლობა დასჯად ქმედებად ცხადდება.

იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ლევან იზორიას განცხადებით, კანონში ცვლილებები ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლისთვის აუცილებელი იყო.

"ტერორიზმთან დაკავშირებით მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დგას, ამიტომ მნიშვნელოვანი და აუცილებელი გახდა "სისხლის სამართლის კოდექსში" გარკვეული ცვლილებების შეტანა. კოდექსში გაჩნდა ახალი ჩანაწერებიც. სიახლეების შეტანა კოდექსში იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. კანონპროექტზე მუშაობა თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა და მჭიდრო კონსულტაციები სხვადასხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხორციელდებოდა,"- აცხადებდა ლევან იზორია (იზორია, 2014. http://netgazeti.ge/news/30732/, ბოლო ნახვა, 2018, თებერვალი).

ტერორიზმთან და უსაფრთხოებასთან მიმართებით აქტუალური გახდა მიგრაციის თემა. საერთაშორისო მიგრაცია სახელმწიფოებს შორის მოსახლეობის მასობრივი გადაადგილებაა, რომელიც ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას ცვლის.

,,საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური (მათ შორის ეთნიკური წმენდა და გენოციდი), ისე ეკონომიკური (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვ. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციებს, ხოლო დროითი განზომილებით - მუდმივსა და დროებითს‘‘ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განმარტებით, მიგრაცია გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად, ცალკეული პირის ან ჯგუფის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას გულისხმობს.

მიგრაციის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს. ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას.

მიგრაციის უფლება აქვს ყველას, ამასთან, ქვეყნის დატოვების უფლება არალეგალი მიგრანტების რაოდენობას ზრდის, ამის გამო ევროპის ქვეყნებმა საზღვრების ჩაკეტვა დაიწყეს, განსაკუთრებით 2015 წელს პარიზში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ.

1.2. მედიის როლი ტერორიზმის გაშუქებისას

"ჩვენ ერთად უნდა დავდგეთ და ვაჩვენოთ, რომ ტერორი ვერ შეგვაშინებს’’ (დევიდ კემერონი, (2016, http://www.bbc.com/news/uk-35904018, ბოლო ნახვა, 2018, იანვარი), "ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ტერორიზმთან გასამკლავებლად" - ფილიპ ბრიდლავი, 2016, http://rustavi2.ge/ka/news/42542, ბოლო ნახვა,

2018, თებერვალი), „ლაჩრული თავდასხმა, ტერორიზმს არ შეუძლია დემოკრატიის დამარცხება“ - იენს სტოლტენბერგი, (2016, http://www.nato.int/cps/en/natohq/news_129497.htm, ბოლო ნახვა, 2018, იანვარი) - საერთაშორისო საზოგადოებისა თუ მსოფლიო ლიდერების შეფასებები მედიაში არაერთხელ გაჟღერდა. ტერორიზმი, როგორც გლობალური გამოწვევა და საფრთხე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია. საინტერესოა გამოვიკვლიოთ, რა დოზით გაამახვილა ყურადღება ქართულმა მედიამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებულ ტერაქტებზე..

ტერორიზმის გაშუქებისას მედიამ შესაძლოა, საზოგადოებაში შიში დანერგოს, ძალადობის შემცველი ფოტოებისა და კადრების ვიზუალიზაციით ეს შიში შეიძლება, კიდევ უფრო გაძლიერდეს. ნაშრომში „მედია, ტერორიზმი და ემოციურობა: ემოციური განსხვავება მედია კონტენტსა და საზოგადოებრივ აზრს შორის“ (2003) მკვლევარებმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებით ამერიკის ნაციონალური ტელევიზიისა და ბეჭდური მედიის კვლევის შედეგები აღწერეს. ავტორები აღნიშნავენ, რომ ნაციონალური სატელევიზიო და ბეჭდური მედიის ანალიზის შედეგად სატელევიზიო ახალ ამბებში 11 სექტემბრის ტერაქტის გაშუქებისას ბეჭდურ მედიასთან შედარებით გაცილებით მეტი ემოციურობა იკვეთება.

მედია ხშირად იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ისლამი ტერორისტი“, „ისლამი ექსტრემისტი“, რამაც შესაძლოა ისლამის მიმართ გარკვეულწილად არასახარბიელო დამოკიდებულება გააჩინოს (Reza, 2011).

მკვლევარი ეველინ ალსულთანი (2013) აღნიშნავს, რომ 11 სექტემბრის შემდეგ მედიის მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომის მსხვერპლი მუსლიმი ქალები აღმოჩნდნენ, რომელთა თავსაბურავები უარყოფით კონტექსტში იყო ნახსენები.

ვიმანი (Weimann, 2008) თანამედროვე ტერორიზმისთვის მასმედიის ფსიქოლოგიურ მნიშვნელობასა და ტერორისტების მედია ტაქტიკას იკვლევდა. ავტორმა

ონლაინ მედია, კერძოდ კი, ვებგვერდები შეისწავლა, თუმცა ნაშრომში ე.წ. ტრადიციულ მედიაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, 11 სექტემბრის ტერაქტის გაშუქებამ ადამიანებს მასშტაბური ტერორისტული აქტის განმეორების შიში გაუჩინა. საზოგადოებამ სწორედ მედიას მიაპყრო ყურადღება. ნაქოსი (Nacos, 2003) აღნიშნავს, რომ 2002 წლის თებერვალში გამოკითხული ამერიკელების 55% ამბობდა, რომ CBS-ის ახალი ამბების გაცნობის შემდეგ, ისლამის შესახებ გაცილებით მეტი ინფორმაცია მიიღეს, ვიდრე 2001 წლის 11 სექტემბრამდე ჰქონდათ. იგივე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 30%-ს რელიგიის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გაუჩნდა, 33%-ს კი - უარყოფითი (Nacos, 2003). ვიმანი (Weimann, 2008) კი აღნიშნავს, რომ უსამა ბენ ლადენის მთავარი მიზანი ამერიკელებში პოპულარობის მოპოვება კი არ იყო, არამედ მისთვის მნიშვნელოვანი იყო ისლამურ სამყაროში გამხდარიყო უფრო ცნობილი. ბევრი მუსლიმის თვალში ბენ ლადენი გმირი გახდა. საერთაშორისო მედია, დაწყებული CNN-ითა და დამთავრებული „ალ ჯაზირათი“, მასზე, როგორც გავლენიან ლიდერზე საუბრობდა (ვიმანი, Weimann, 2008). ავტორის აზრით, ტერორისტები მიზნების შესასრულებლად მათსავე შექმნილ ვებგვერდებს იყენებენ, რადგან ეს უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია. ინტერნეტში ისინი ვიდეოებს, ფოტოებს ავრცელებენ და თავიანთ მესიჯს აგზავნიან.

ისლამის ტერორიზმთან ასოცირებამ ზოგიერთ შემთხვევაში ტერორისტისა და მუსლიმის სინონიმებად გამოყენება გამოიწვია (Karim, 2011). კარიმის აზრით, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების გაშუქებამ მუსლიმების მიმართ გარკვეული დისკრიმინაციული რიტორიკა დაამკვიდრა, ხოლო ისლამის მიმდევრები ზოგჯერ წარმოჩენილები იყვნენ „საძაგელ დაქირავებულ მკვლელებად, გამტაცებლებად“ (Karim H. Karim, 2011). საინტერესო მოსაზრებაა, თუმცა ეჭვი ჩნდება, ასე რადიკალურად უწყობს თუ არა ხელს მედია მუსულმანების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების და სტერეოტიპების შექმნას. მედიამ შესაძლოა, ისლამის მიმართ გარკვეული ნეგატიური ფონი შექმნას, თუმცა რამდენად იქნება ის ისეთივე კრიტიკული, როგორც კარიმი წერს, სადავოა.

ვინაიდან, მედია საზოგადოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, საინტერესოა როგორია მუსლიმების დამოკიდებულება მედიაში ტერორიზმის საკითხების გაშუქებაზე. „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევაში „მუსლიმი ახალგაზრდების დამოკიდებულებები მედია გაშუქებისა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის მიმართ“ (კინწურაშვილი, გელავა, 2017) აღნიშნულია, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ისლამის ტერორიზმთან დაკავშირება და ბავშვების სახეების იდენტიფიცირება მასალაში, რომელიც ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოს“ მიერ არასრულწლოვანთა წვრთნებს შეეხებოდა. ასევე რესპონდენტების შეფასებით, მედიის მიერ ტერმინების - „ისლამისტი ტერორისტი“, „პოტენციურად სახიფათო ისლამისტი“ ტერორიზმის კონტექსტში გამოყენება მუსლიმი თემის იზოლაციას ახდენდა. მათი თქმით, ტერორიზმს რელიგია და წარმომავლობა არ გააჩნია, სწორედ ამიტომ, რელიგიური იდენტობის ხაზგასმა მათთვის კატეგორიულად მიუღებელია. გარდა ამისა, ამ კვლევაში რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ მედიამ არ უნდა მოახდინოს ტერორისტთა მუქარის შემცველი ვიდეო ან სხვა სახის მიმართვების ტირაჟირება, რადგან ამით ტერორისტები ერთდროულად აღწევენ თავის მიზანს: მედიის ინსტრუმენტალიზაციას და საზოგადოებაში შიშის დათესვას. აღნიშნული კვლევის ფარგლებში 2017 წლის სექტემბერში ჩატარდა ხუთი ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა 55-მა 18-29 წლამდე ასაკის მუსლიმმა ახალგაზრდამ მიიღო. ფოკუს ჯგუფის ინსტრუმენტი იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, ვიდეო ჩვენება, ექსპერიმენტი (კინწურაშვილი, გელავა, 2017).

ტერორიზმის გაშუქებასთან დაკავშირებით ერთგვარი დილემა იკვეთება: ისე როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ტერაქტთან დაკავშირებული ახალი ამბავი, რომ ამასთან თავად დანაშაული არ წაახალისოს. ტერაქტების გაშუქებისას მედია ზოგჯერ იმდენად პარადოქსულად აღწერს სიტუაციას, რომ მისი ნახვის შემთხვევაში, მაყურებელი იმაზე მეტად საშინელ სცენებს წარმოიდგენს, ვიდრე რეალურად ადგილზე ხდება (Ganor, 2009).

ტერორიზმისა და მედიის ურთიერთკავშირის დასახასიათებლად მკვლევარი ბარნჰასტი (Barnhurst, 1991) ორ მოდელს გამოყოფს. პირველი მოდელი არის დამნაშავე - მედია, ხოლო მეორე - მგრძნობიარე - მედია. პირველი მოდელის შემთხვევაში, მედია საზოგადოებისთვის ტერორისტების გზავნილების მიწოდებაში არის ჩართული, ხოლო მეორე მოდელი კი გულისხმობს, რომ მედია კონცენტრირებულია მსხვერპლის წარმოჩენაზე და არა ტერაქტის მოწყობის მიზეზების ძიებასა და მათ ჩვენებაზე.

მერაბ ურუშაძე ნაშრომში „გლობალიზაცია – გლობალური ტერორიზმის საფრთხე“ (2007) აღნიშნავს, რომ დემოკრატიული ქვეყნების თავისუფალ პრესას ტერორისტები თავიანთი საქმიანობისთვის, საკუთარი მოთხოვნისა და მუქარის საჯაროობისთვის იყენებენ, ამის დასადასტურებლად კი ავტორი 1985 წლის 4 ივნისს გატაცებული თვითმფრინავის შესახებ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორების კვლევას (2002) იშველიებს, რომლის მიხედვითაც, თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით 17 დღის განმავლობაში, 15 ივნისიდან პირველ ივლისამდე, სამ გაზეთში: „ვაშინგტონ პოსტში“, „ნიუ იორკ ტაიმსსა“ და „ლოს ანჯელეს ტაიმსში“ 629 სტატია დაიბეჭდა.

რა თქმა უნდა, ტერორისტების მიზნების განმახორციელებელი თავად მედია არ უნდა გახდეს, თუმცა მსჯელობის ისე წარმართვა, რომ მედიამ ტერორისტული აქტები არ უნდა გააშუქოს, მცდარი იქნება. უდაოდ, მნიშვნელოვანია თუ როგორ მიაწვდის ახალ ამბავს ჟურნალისტი საზოგადოებას. აქ გასათვალისწინებელია არაერთი ფაქტორი. ქოენ ალმაგორის (Cohen-Almagor, 2005) აზრით, მედიამ თავი უნდა შეიკავოს და არ ჩაერთოს სახიფათო სპეკულაციების ტირაჟირებაში, ეს შეიძლება თავად ტერორისტების გეგმებში შედიოდეს (http://www.cjc-online.ca/index.php/journal/article/view/1579/1734, ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი).

BBC-ის რეკომენდაციებით, მედიამ ტერორისტული აქტები ოპერატიულად უნდა გააშუქოს, ოღონდ ჟურნალისტებმა შეფასებებისგან თავი უნდა შეიკავონ

(http://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი).

ტერორიზმის და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას მედია კონცენტრირებულია ადამიანური ინტერესების წარმოჩენაზე (Weimann & Winn, 1994). ვიმენისა და ვინის თქმით, უმეტესად სიუჟეტებში მოვლენების ისტორიული ბექგრაუნდი ნახსენებიც კი არ არის.

მილერი (Miller, 1982) ამბობს, რომ მედია და ტერორიზმი სინერგიულად ურთერთმოქმედებენ, ანუ ერთმანეთისგან გარკვეულ სარგებელს ნახულობენ. ტერორისტები საზოგადოებას აშინებენ, მედია კი თემის გაშუქებით უფრო რეიტინგული ხდება. თუმცა ფრანგი სოციოლოგი, მიშელ ვივიორკა (Wieviorka M, 1993) ცდილობს, უარყოს მოსაზრება, რომ მედია და ტერორიზმი სიმბიოზურ კავშირში არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ „ომის შემქმნელებსა“ (Warmakers) და „ახალი ამბების შემქმნელებს“ (Newsmakers) შორის სინერგიაზე დენის მაკქველიც (1994) წერდა.

სტოიცა (Stoica, 2016) მსჯელობს თუ რა არის ტერორიზმი და როგორ აშუქებს, როგორ წარმოაჩენს მას მედია. ავტორი აღნიშნავს, რომ მსოფლიო მასშტაბით არაერთი ტერაქტი ხდება, თუმცა საზოგადოება რომელიმე მათგანს სხვაზე მეტად იმახსოვრებს. მაგალითად მოყვანილია 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ტერაქტების სერია. მკვლევრის აზრით, ეს ტერორისტული აქტი იყო გარდამტეხი და საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად შემაშფოთებელი. სტოიცა (Stoica, 2016) აღნიშნავს, რომ მედიის მთავარი ფუნქცია ტერორიზმის გაშუქებისას საზოგადოების ინფორმირებაა.

ფოუელის (Powell, 2011) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ირკვევა, რომ მედია საერთაშორისო ტერორისტულ აქტებს უფრო ინტენსიურად და მრავალმხრივად აშუქებს, ვიდრე ადგილობრივ, შიდა ტერორისტულ მოვლენებს..

მკვლევარი ასევე დასძენს, რომ მედია საერთაშორისო ტერორისტულ აქტებს უფრო დიდი საფრთხის შემცველად აღიქვამს, ვიდრე შიდას (ფოუელი (Powell, 2011).

საინტერესო მოსაზრება აქვს ჰოფმანს, (Hoffman, 1998) რომელიც აღნიშნავს, რომ ტერორისტული შეტაკებები დადგმულია ისე, რომ მან საერთაშორისო მედიის ყურადღება მიიპყროს. შეიძლება ითქვას, რომ ტერორისტები ტერაქტს ისე უკეთებენ ორგანიზებას, რომ ტერორისტული აქტი, რაც შეიძლება მეტად გახმაურდეს და მან საზოგადოების ყურადღება მიიპყროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მასშტაბურია ტერაქტი, ის უფრო მეტად იპყრობს მედიის ყურადღებას და ეს ბუნებრივია. ჩვენთვის საინტერესოა ამ კუთხით ქართული მედიაზე დაკვირვება.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ჟურნალისტური მასალის სათაურის მნიშვნელობაზე. მკითხველი სტატიის კითხვისას, პირველ რიგში, ამბის სათაურს ეცნობა და მასალის წაკითხვამდე მას გარკვეული შთაბეჭდილება უკვე ექმნება. მკვლევარი ქოენალმაგორი (2005) მიიჩნევს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას ჟურნალისტმა ე.წ. მყვირალა სათაურები არ უნდა გამოიყენოს, ასევე ძალადობის შემცველი კადრები არ უნდა გაავრცელოს და მედია არ უნდა ჩაერთოს სახიფათო სპეკულაციებში (ქოენალმაგორი, Cohen-Almagor, 2005).

1.3. ტერორიზმი - გლობალური გამოწვევა და საქართველო

ტერორიზმი გლობალური საფრთხე და გამოწვევაა. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ტერორიზმის საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. საქართველოს სახელმწიფო მეთაურზე, ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტი 1995 წლის 29 აგვისტოს განხორციელდა. მოგვიანებით 2005 წლის 10 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუში უმცროსის საქართველოში ვიზიტის დროს ტერაქტის მცდელობა მოხდა. 2005 წელს გორის სამხარეო პოლიციასთან აფეთქება მოხდა, რასაც ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიენიჭა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან, ძირითადად კი, პანკისის ხეობიდან, სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდები მიდიან. ტერორიზმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის მოხსენებაში (2014) ნათქვამია, რომ პანკისის ხეობიდან და მაღალმთიანი აჭარიდან წასული საქართველოს 50-100 მოქალაქე „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძვის. სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც 2014 წლის პერიოდს მოიცავს, აღნიშნულია, რომ ტერაქტების რაოდენობა 2014 წელს 35 პროცენტით გაიზარდა, თუმცა 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, სადაც 2016 წლის მონაცემებია ასახული, ნათქვამია, რომ 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ტერორისტული შეტევების რიცხვი 9 %-ით, ხოლო ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა რიცხვი 13%-ით შემცირდა, თუმცა ასევე ხაზგასმულია, რომ მსოფლიოსთვის მთავარ ტერორისტულ საფრთხედ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ რჩება (Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism, 2017).

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (2015), საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა სირიასა და ერაყში თურქეთის გავლით ხვდება. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუსჯგუფებით ირკვევა, რომ ადგილობრივების თქმით, საზღვარზე კონტროლი ბოლო თვეებია,

გამკაცრდა. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები საფუძვლიანი ეჭვის ნიადაგზე საზღვრის გადაკვეთის მსურველი პირის ოჯახთან ცდილობენ გარკვევას, თუ რა მიზნით მიდიან თურქეთში. მოსახლეობის ინფორმაციით, რეკრუტირების ძირითადი პროცესი ხეობაშივე სრულდება, საზღვრის გადაკვეთის შემდეგ რეკრუტებს თავს უყრიან სტამბოლში, რის შემდეგაც სირიაში მიჰყავთ. (http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf , ბოლო ნახვა, 2018, თებერვალი).

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) (2015) მკვლევრებთან კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდისა (KRDF) და რელიგიური თემის, ფუნდამენტური ისლამის, წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პანკისის ხეობიდან სირიაში 50-მდე ახალგაზრდაა წასული. მკვლევრებთან რესპონდენტებმა სირიაში ახალგაზრდების წასვლის მიზეზებზეც ისაუბრეს. მათი თქმით, ახალგაზრდა მუსლიმების წასვლის პროცესი და მასთან დაკავშირებით შექმნილი საჯარო დისკურსი პანკისის ხეობაში ტრადიციულ მუსლიმ თემსა და ფუნდამენტური ისლამის წარმომადგენლებს შორის გაუცხოებასა და დაძაბულობას აღრმავებს“. ხეობაში ფუნდამენტური ისლამის წარმომადგენლები, ამ დროისთვის, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ (ამჟამად „რეგინფო“) აქტიურად აშუქებდა. საინფორმაციო სააგენტო პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდების წასვლის შესახებ ქრონოლოგიურად და სისტემატურად იუწყებოდა. იმის მიუხედავად, რომ შერჩეულ საკვლევ ობიექტებში ონლაინ სააგენტო „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ არ შედის, კვლევაში ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლაზე ინფორმაციის გასამდიდრებლად ამ სააგენტოს მასალებსაც მიმოვიხილავთ, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ეს სააგენტო არის პირველწყარო.

„რეგინფო“ „პანკისის სათემო რადიოზე“ დაყრდნობით იუწყებოდა, რომ 2017 წლის აგვისტოში სირიაში კიდევ რამდენიმე პანკისელი დაიღუპა (http://reginfo.ge/people/item/2311-siriashi-savaraudod-kidev-ramdenime-pankiseli-daigupa, ბოლო ნახვა 2018, თებერვალი). წინა წლების მონაცემებს რომ გადავხედოთ, ,,კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით (2015), 2015 წლის 2 აპრილს პანკისის ხეობიდან სირიაში 2 ახალგაზრდა გაგზავნეს, ომალოს სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, 18 წლის რამზან ბაღაკაშვილი და მე–10 კლასის მოსწავლე, 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილი. აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება გამოიკვეთა, მუსლიმ კუშტანაშვილის მშობლებს მისთვის ქვეყნის დატოვებაზე კანონით განსაზღვრული ნებართვა არ მიუციათ, თუმცა არასრულწლოვანმა თბილისის აეროპორტის გავლით თურქეთში გაფრენა მოახერხა, იქიდან სირიაში გადასვლის მიზნით (http://ick.ge, ვებგვერდმა შეიცვალა მისამართი და ის ამჟამად არის რეგინფო (reginfo.ge).

10 დღის შემდეგ „კახეთის საინფორმაციო ცენტრმა“ მუსლიმ კუშტანაშვილისა და რამზან ბაღაკაშვილის ფოტო მოიპოვა, სადაც ახალგაზრდები ე.წ. ისლამური სახელმწიფოს დროშის ფონზე არიან აღბეჭდილები. სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სკოლის მოსწავლეები, სავარაუდოდ, ტერორისტული დაჯგუფება ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერის, თარხან ბათირაშვილის, იგივე ომარ ალ შიშანის დაჯგუფებაში არიან (http://ick.ge/articles/21412--photo-.html ბოლო ნახვა 2016, ივნისი).

2015 წლის მაისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პანკისის ხეობიდან სირიაში კიდევ ერთი არასრულწლოვანი, ამჯერად 17 წლის გოგონა გაგზავნეს, რომელიც პანკისელ ბექა ტოხოსაშვილზე გაათხოვეს, რომელიც სირიაში ე.წ. ,,ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს იბრძვის. ბექა ტოხოსაშვილი პანკისიდან სირიაში ერთი წლის წინ წავიდა. (http://ick.ge/articles/21589-i.html ბოლო ნახვა, 2016, ივნისი). ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი ომარ ალ-შიშანი, იგივე თარხან ბათირაშვილი საქართველოს მოქალაქე იყო. ის სამხედრო მოსამსახურე იყო,

თუმცა საქართველო დატოვა და ტერორისტულ დაჯგუფებაში გაწევრიანდა. სირიაში ტერორისტული დაჯგუფების მხარეს არაერთი ქართველი იბრძვის, რომელთა ნაწილი საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპნენ.

საინტერესოა გაირკვეს, ქართულ მედიაში პანკისის ხეობასთან დაკავშირებული საკითხები რა კონტექსტში არის ნახსენები, რა შინაარსის შემცველი მასალა იბეჭდება და ჟურნალისტები რა ტერმინებს იყენებენ.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული დაჯგუფება ,,ისლამური სახელმწიფოს'' ერთ-ერთი ლიდერი ომარ ალ-შიშანი, იგივე თარხან ბათირაშვილი, საქართველოს მოქალაქე იყო.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სირიაში საბრძოლველად წასული არაერთი ახალგაზრდა დაიღუპა.

,,კახეთის საინფორმაციო ცენტრის'' ინფორმაციით, ,,სირიაში საბრძოლო მოქმედებების დროს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, პანკისის ხეობის სოფელ ბირკიანში მცხოვრები, 18 წლის ისრაფილ ცათიაშვილი დაიღუპა. ისრაფილ ცათიაშვილი რამდენიმე დღის წინ, სირიაში დაღუპული 21 წლის ჯაბრაილ ცათიაშვილის ძმაა. პანკისელი ახალგაზრდები სირიაში ე.წ. ,,ისლამური სახელმწიფოს'' მხარეს იბრძოდნენ, რომლის ერთ–ერთი ლიდერი პანკისის ხეობის მკვიდრი თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ შიშანი იყო. 2014 წლის ოქტომბერში გავრცელდა ინფორმაცია, სირიაში შეტაკების დროს 22 წლის გურამ გუმაშვილის გარდაცვალების შესახებ. გუმაშვილი პანკისის ხეობის სოფელ დუისში ცხოვრობდა.

სააგენტოს ცნობით, 2014 წლის დეკემბრის დასაწყისში სირიაში შეტაკების დროს 18 წლის ბესო კუშტანაშვილი დაიღუპა, რომელიც პანკისის ხეობის სოფელ ომალოს მცხოვრები იყო, ხოლო 2014 წლის თებერვალში სირიაში, ქალაქ ალეპოში საბრძოლო

შეტაკებების დროს ქისტი საველე მეთაური, 36 წლის რუსლან მაჩალიკაშვილი დაიღუპა. ის პანკისის ხეობის სოფელ დუისიდან იყო.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ცნობით, 2013 წლის ოქტომბერში სირიის სამთავრობო ძალებსა და ოპოზიციის თავისუფალ არმიას შორის მომხდარი შეტაკების შედეგად 24 წლის ხალიდ აჭიშვილი დაიღუპა. ხალიდ აჭიშვილი ბოლო წლებში პანკისის ხეობიდან თავშესაფრის მოთხოვნით ავსტრიაში წავიდა, სადაც იქაური მოქალაქეობა მიიღო.

სააგენტოს ცნობით, 2013 წლის ივლისში სირიაში შეტაკებების დროს პანკისელი მებრძოლი, 26 წლის ჰამზათ აჭიშვილი, იგივე აბუ აბდულლაჰი, მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში გადაყვანისთანავე გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე მან გამოაქვეყნა ვიდეომიმართვა, სადაც ყველა მუსლიმს მოუწოდებდა ჩართულიყო ბაშარ ალ ასადის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. აბდულლაჰი აცხადებდა, რომ ყველა მუსლიმის ვალია ამ ომში მონაწილეობა, რადგან სირიის ამჟამინდელი მთავრობა უმოწყალოდ ხოცავს მშვიდობიან მოქალაქეებს, უმეტესად ქალებსა და ბავშვებს. ხალიდ და ჰამზათ აჭიშვილები ძმები იყვნენ.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ სტატიაში ნათქვამია, რომ 2013 წელს სირიაში სამთავრობო ძალებთან შეტაკების შედეგად დაიღუპა კიდევ ერთი მებრძოლი პანკისიდან, აბდულ-მალიქ მუთოშვილი, რომელსაც 2 მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე დარჩა. სირიაში დაიღუპა ჩეჩენი საველე მეთაურის, რუსლან გელაევის შვილი, 23 წლის რუსტამ გელაევიც (http://ick.ge/articles/20447-i.html ბოლო ნახვა, 2016, ივნისი).

გარდა ამისა, უშუალოდ საქართველოსა და ქართველების მიმართ მუქარის შემცველი ვიდეომიმართვებიც გავრცელდა. ერთ-ერთია სირიაში მებრძოლი, აჭარელი თამაზ ჭაღალიძის მუქარა. ჭაღალიძემ სოციალურ ქსელში 2015 წლის 12 და 13 იანვარს მუქარის შემცველი მიმართვა გაავრცელა. ასევე 2015 წლის 23 ნოემბერს საქართველოდან

სირიაში ჩასულმა ოთხმა ახალგაზრდამ ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც ისინი საქართველოს მოსახლეობას ემუქრებოდნენ.

ამას გარდა, 2015 წლის იანვარში თბილისში „კარფურის“ ვებგვერდი გატეხეს. გაზეთ „ახალ თაობაში“ აღნიშნულია, რომ ვებგვერდზე ისლამის მხარდამჭერი ტექსტები გამოჩნდა“, მასალაში აღნიშნული ტექსტიც მოყვანილია.

აქედან გამომდინარე, იკვეთება, რომ ტერორიზმის საკითხი როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ასევე კონკრეტულად საქართველოსთვის, მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეში, რისკებსა და გამოწვევაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი საკვლევ საკითხებს უკავია:

- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები
- რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დარღვევა
- კავკასიაში არსებული კონფლიქტები
- საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული
- ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები
- ენერგეტიკული გამოწვევები

- კიბერსაფრთხეები
- ეკოლოგიური გამოწვევები
- დემოგრაფიული გამოწვევები
- სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება

1.4 ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქებაზე ჩატარებული მედიაკვლევები

უსაფრთხოების საკითხი შესაძლოა, სხვადასხვა მედიასაშუალებამ განსხვავებულად გააშუქოს. ამას ადასტურებს ჯინ იანგის (Yang, 2003) მიერ შეერთებული შტატებისა და ჩინეთის პრესაზე ჩატარებული კვლევა, რომელიც „ნატოს“ 1999 წლის კოსოვოს საჰაერო შეტაკებებს უკავშირდებოდა. მკვლევარმა დაადგინა, რომ ა.შ.შ.-ის პრესა ყურადღებას ამახვილებდა ალბანელების დახმარებაზე, რომ სერბების მხრიდან ეთნიკური წმენდა შეწყვეტილიყო, ხოლო ჩინეთის პრესაში კი სამხედრო შეტაკების ფრეიმი იუგოსლავიის სუვერენიტეტთან იყო დაკავშირებული (Yang, იანგი, 2003).

მედიის სხვა კვლევების განხილვამდე მნიშვნელოვანია, ზოგადად, უსაფრთხოების საკითხებზე თეორიული, მეცნიერული შეხედულებების მიმოხილვა. ტრიფი (Tripp, 2013) მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების მეცნიერული შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში ვითარდება, ის არის მამოძრავებელი

ძალა საერთაშორისო პოლიტიკაში. საერთაშორისო კონფლიქტების ფონზე პოლიტიკოსები თუ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები უსაფრთხოების საკითხებს უფრო და უფრო სწავლობენ და იკვლევენ (Tripp, 2013).

უსაფრთხოების თანამედროვე კვლევების განხილვისას ალან კოლინსი (Collins, 2010) რეალიზმსა და ლიბერალიზმს გამოყოფს. რეალიზმი მსოფლიო წესრიგს აღწერს, როგორც კონკურენტული სახელმწიფოების სისტემას ანარქიის დროს. მას პირდაპირი გავლენა აქვს უსაფრთხოების განმარტებაზე, როგორც ანარქიის ნიშანზე (Baldwin (ბალდვინი) 1993: 4, Buzan (ბუზანი) 1996: 60, Morgenthau (მორგენთაუ, 1978).ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჰანს მორგენთაუმ (1978) ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებში არა მარტო სამხედრო, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა საკითხი ჩართო. მორგენთაუს აზრით, სახელმწიფოს მართვის ზნეობაზე დაფუძნების ნაცვლად, სახელმწიფო აქტორებმა ძალის ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იმოქმედონ და თავისი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დასაცავად არაფერზე დაიხიონ უკან. კოლინსი (Collins, 2010) უსაფრთხოების დილემაზეც მსჯელობს. მისი აზრით, უსაფრთხოების დილემამ ახალი განზომილება შეიძინა. უსაფრთხოების ტრადიციული დილემისგან განსხვავებით, როდესაც სახელმწიფოსაგან მომავალი საფრთხის პროგნოზირება შესაძლებელია, უსაფრთხოების ახალი დილემა იქმნება, რომლის დროსაც ტერორიზმისგან მომავალი საფრთხის პროგნოზირება შეუძლებელი იქნება, რაც თანამედროვე სახელმწიფოს გარკვეულწილად დაუცველს ხდის.

ცნობილ მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, ბჟეზინსკის (Brzezinski) კი მიაჩნია, რომ ქვეყნის უსაფრთხოება დამოკიდებულია არა მარტო სამხედრო ძლიერებაზე, არამედ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, მორალური და სხვა სფეროების სიძლიერეზე (Brzezinski, ბჟეზინსკი, 1983).

ა.შ.შ.-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჰენრი კისინჯერი, (Kissinger, 1976), აღნიშნავდა, რომ ეროვნული უსაფრთხოება ყველა სფეროს მოიცავს, სადაც საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის საკითხები წყდება (Kissinger, 1976).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყანაში უსაფრთხოება მედიის როლზეც არის დამოკიდებული. მედია ტერორისტული ორგანიზაციისა და რომელიმე პოლიტიკური ძალის მსხვერპლი არ უნდა გახდეს. უსაფრთხოების საკითხების გაშუქებისას მედიამ შესაძლოა, საზოგადოებაში შიში გააჩინოს, რაც აუდიტორიაზე უარყოფითად იმოქმედებს.

უსაფრთხოებაზე მეცნიერული ცოდნის განხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია უშუალოდ უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხზე ჩატარებული მედიის კვლევების განხილვა.

მკვლევარებმა, ქალაგანმა და შნელმა, (Callaghan & Schnell, 2005) ABC-ისა და CBS-ის საინფორმაციო გამოშვებებში 11 სექტემბრის ტერაქტამდე 6 თვით ადრე და 6 თვის შემდგომ გაშუქებული ახალი ამბების კვლევა ჩაატარეს. კვლევა ფრეიმინგის თეორიაზე დაყრდნობითა და კონტენტ-ანალიზის მეშვეობით ჩატარდა. მკვლევარებმა კოდირების სიტყვებად შეარჩიეს „ტერორიზმი“, „ტერორისტი“, „იარაღი“, „შეტევა“, „იარაღის კონტროლი“. 11 სექტემბრის ტერაქტამდე გაშუქებული ახალი ამბების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნიუსებში ძირითადად ძალადობა, კრიმინალი შუქდებოდა. ტერაქტის შემდეგ გასული ახალი ამბები კი იარაღის კონტროლის გაშუქებაზე იყო ფოკუსირებული. ასევე დადგინდა, რომ მედიასაშუალებებში ფრეიმები უმეტესად ემოციურ კონტექსტში იყო გამოყენებული, რაც აუდიტორიაზე უფრო მეტ ზეგავლენას ახდენდა. კვლევის მეორე ნაწილში (11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ) მედიაში მთავრობის უმოქმედობაზე გამახვილდა ყურადღება. ახალ ამბებში აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ ტერორიზმის წინააღმდეგ სათანადო ზომები ვერ გაატარა(Callaghan & Schnell, ქალაგანი & შნელი, 2005).

ალექსანდრ სპენსერმა (Spencer, 2012) 2001-2005 წლებში ბრიტანული გამოცემა The SUN-ში დაბეჭდილ სტატიებში ტერორიზმთან და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით გამოყენებული **მეტაფორები** გამოიკვლია. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ტერორიზმი ძირითადად ოთხი მეტაფორითაა წარმოდგენილი: ომი, დანაშაული, არაცივილური ბოროტება და ავადმყოფობა, ხოლო ანტიტერორიზმი კი გაიგივებულია სამხედრო პასუხისმგებლობასთან, კანონის ზომებთან (Spencer, 2012).

რუიგროკი და ეთველდი (Ruigrok&Atteveldt, 2007) დაინტერესდნენ რა ფრეიმებს გამოიყენებს შეერთებული შტატების, ბრიტანეთისა და ნიდერლანდების პრესა გლობალური და ადგილობრივი ტერორისტული აქტების გაშუქებისას. მკვლევარებმა აშშ-ში Washington Post და USA Today; ბრიტანეთში - the Guardian და the Sun და ნიდერლანდებში - Volkskrant and და Telegraaf იკვლიეს. ავტორებმა 4 მოვლენა განიხილეს, 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში მომხდარი ტერაქტი, 2003 წელს მადრიდის მეტროში ბომბის აფეთქება, ნიდერლანდებში 2004 წელს ფილმის პროდიუსერის მკვლელობა და 2005 წელს ლონდონის მეტროში ბომბების აფეთქება. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ შეერთებული შტატების პრესა 11 სექტემბრის ტერაქტს უფრო ინტენსიურად აშუქებდა, ვიდრე სხვა მოვლენებს. ევროპული პრესა, დაახლოებით, ერთი კვირის განმავლობაში ადგილობრივი მოვლენებით უფრო მეტად იყო დაინტერესებული, თუმცა შემდეგ გლობალური საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას (Ruigrok & van Atteveldt, 2007).

რეინოლდსმა და ბარნეტმა (Reynolds &. Barnet, 2003) კი CNN-ის ახალი ამბების კვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ნიუსებში ტერორისტული შეტაკებები ზოგჯერ ნახსენები იყო, როგორც ომი, ჟურნალისტები კი მაზე საუბრისას იყენებდნენ ტერმინებს „შემაძრწუნებელი“, „დაუჯერებელი“.

ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს ჟურნალისტების მხრიდან რამდენად სწორად ხდება ტერმინების გამოყენება, როგორ ხდება ამბის ვიზუალიზაცია.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო წესებში აღნიშნულია, რომ მედიამ არ უნდა მოახდინოს ტერორისტული მოწოდებების და მიზნების ტირაჟირება.

არ დაარღვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ადამიანებისთვის დამატებითი ტკივილის მიყენება, განსაკუთრებით მსხვერპლისა და მათი ახლობლებისთვის კადრები უნდა გადაიცეს რედაქტირებული სახით რათა თავიდან იქნას აცილებული მის მიერ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გვ.15. http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf, ბოლო ნახვა 2018წ, თებერვალი).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ, მედიასაშუალებამ ტერორიზმთან დაკავშირებული ახალი ამბები უნდა გააშუქოს, საზოგადოების ინფორმირება უნდა უზრუნველყოს, მაგრამ ასევე მან აუდიტორიაში შიში არ გააჩინოს. ტერორიზმის, სენსაციური თემების გაშუქება, მით უმეტეს მაშინ თუ სტატიას ე.წ. მყვირალა სათაური აქვს, გაზეთების გაყიდვას უწყობს ხელს. მედიასაშუალებას ამით ფინანსური სარგებელი გაეზრდება, თუმცა ამით შესაძლოა, საზოგადოებაში შიში დაითესოს, რაც თავის მხრივ, უკვე ტერორიზმის მიზანია.

შესაძლებელია ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა ფორმით გაშუქდეს და ასევე სხვადასხვა ფრეიმში/ჩარჩოში იყოს მოქცეული. აუდიტორია, პირველ რიგში, ამბის სათაურს ეცნობა, რომლის წაკითხვის შემდეგ ამბის შესახებ გარკვეული შთაბეჭდილება უკვე ექმნება, მიუხედავად იმისა, რა შინაარსის, რა ინფორმაციის მატარებელია ტექსტი. ქოენ-ალმაგორი (Almagor, 2005) მიიჩნევს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული

თემების გაშუქებისას ჟურნალისტმა სენსაციური სათაურები არ უნდა გამოიყენოს, ასევე ძალადობის შემცველი კადრები არ უნდა გაავრცელოს და მედია არ უნდა ჩაერთოს სახიფათო სპეკულაციებში (Almagor(ალმაგორი), 2005).

ზოგიერთ კვლევაში ტერაქტების გაშუქებისას ჟურნალისტების მხრიდან ისლამოფობიაზეც არის საუბარი. მკვლევარი ეველინ ალსულთანი (2013) აღნიშნავს, რომ 11 სექტემბრის შემდეგ მედიის მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომის მსხვერპლი მუსლიმი ქალები აღმოჩნდნენ, რომელთა თავსაბურავები უარყოფით კონტექსტში იყო ნახსენები.

ალექსანდერისა და ლატერის (Alexander; Latter, 1990) ნაშრომში განხილულია მედიის პასუხისმგებლობა და უპასუხისმგებლობა. მასში აღნიშნულია, რომ გარკვეული დილემა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ტერორიზმთან დაკავშირებული ახალი ამბავი ისე, რომ დანაშაული არ წაახალისოს. ნაშრომში ნათქვამია, რომ ამ ბალანსის დაცვა საკმაოდ რთულია. ნაშრომში ასევე საუბარია, რომ მედია ტერორისტულ დაჯგუფებებს შესაძლოა, მიზნის მიღწევაში გაუაზრებლად დაეხმაროს, საზოგადოებაში შიში დანერგოს. ამიტომ ახალი ამბავი, ნიუსი, პროპაგანდას არ უნდა ემსახურებოდეს (Alexander; Latter, 1990).

კავოორისა და ფრელის (Kavoori, Fraley, 2006) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ ტერორიზმთან დაკავშირებით ჟურნალისტებს შეუძლიათ განწყობა და ასევე ჩარჩო/ფრეიმი შექმნან, რომელშიც საზოგადოება, აუდიტორია, მოექცევა (Kavoori, Fraley, 2006).

Reuters („როიტერი“) ტერმინთა განმარტებების მიხედვით, როდესაც რესპონდენტის ციტატაში სიტყვა ტერორისტია ნახსენებია, ჟურნალისტმა ის არ უნდა შეცვალოს, თავად ჟურნალისტი კი ამ ტერმინის გამოყენებას უნდა მოერიდოს.

ჟურნალისტების მხრიდან ტერმინი „ტერორისტის“ გამოყენებაზე BBC-ც (ბიბისი) წერს. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ შესაძლოა, „ტერორისტის“ გამოყენებამ საზოგადოება დააბნიოს და ამიტომ უმჯობესია ის სხვა სიტყვით ჩანაცვლდეს, მაგალითად, თავდამსხმელი.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო წესები შეიმუშავა. რეკომენდაციები მედიასაშუალებებს ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებაში, ტერმინების შერჩევაში დაეხმარება.

საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია ტერორიზმთან და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, თუმცა მედიას აკისრია პასუხისმგებლობა უნებურად არ გახდეს ხელშემწყობი ტერორისტული შინაარსის მიმართვების თუ მოწოდებების ტირაჟირებისა. ტერორისტული აქტები თუ მასთან დაკავშირებული სხვა ამბები უნდა გაშუქდეს ზუსტად, სრულად, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით და დიდი პასუხისმგებლობით (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2016. გვ.13, http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf ბოლო ნახვა, 2018წ, თებერვალი).

საინტერესოა, შემოთავაზებულ რეკომენდაციებს ქართული მედიასაშუალებები იცავენ თუ არა, როგორია ჟურნალისტების ინფორმირებულობის დონე ტერორისტული საკითხების გაშუქებისას.

1.5 თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია

კვლევას თეორიულ ჩარჩოდ ფრეიმინგის თეორია მოვარგეთ. ფრეიმინგი მასკომუნიკაციის თეორიაა, რომლის შესახებაც არაერთი მეცნიერის შეხედულება არსებობს. გემსონისა და მოდილიანის (Gamson & Modigliani, 1987) აზრით, ფრეიმი აუდიტორიას ამბის მთავარ საკითხზე ფოკუსირებას სთავაზობს, ის ორგანიზებულ იდეას ან ისტორიას წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების ყურადღებას ხსნის ერთი ვიწრო საკითხის მიმართ. გემსონი და მოდილიანი (1989) წერენ, რომ ფრეიმი არის ინტერპრეტაციების ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა საკითხს მნიშვნელობას ანიჭებს.

კაპელლა და ჯემისონი (Cappella & Jamieson, 1997) მიიჩნევენ, რომ ფრეიმი საორიენტაციო ჰედლაინებს და სპეციფიკურ სიტყვებს შეიცავს, რაც ჩვენს კვლევას პირდაპირ უკავშირდება, ვინაიდან ფრაზების განსაზღვრა კვლევისთვის მნიშვნელოვანია. ფრეიმისა და ფრაზების განსაზღვრით უსაფრთხოების საკითხების გაშუქების კონტექსტი გაირკვევა.

გიტლინი (Gitlin, 1980, გვ. 7) ფრეიმს განმარტავს, როგორც „შეცნობის, ინტერპრეტაციის, პრეზენტაციის, აქცენტირების ნიმუშს, რომელსაც ე.წ. სიმბოლოების შემქმნელები ადგენენ“.

ენტმანის (Entman, 1993) აზრით, რეალობის ცალკეული ასპექტების წინ წამოწევას, დეფინიციას, მიზეზ–შედეგობრივ ინტერპრეტაციას, შეფასებას და რეკომენდაციას გულისხმობს. მისი (1993) შეხედულებით, ფრეიმები იდენტიფიცირებულია საკვანძო სიტყვებთან, ბანალურ ფრაზებთან, სტერეოტიპულ სურათებთან.

ენტმანის (1993) შრომის მიხედვით, ფრეიმი არის მეთოდი, რომლის საშუალებით, რეალური ფაქტის რომელიმე საკითხის წინ წამოწევა ხდება და შემდეგ შუქდება საინფორმაციო საშუალებებით.

ფრეიმინგი ნიშნავს რეალობის ცალკეული ასპექტის წინ წამოწევას, რაც თავის მხრივ ცალკეული პრობლემის წინ წამოწევას, დეფინიციას, მიზეზ–შედეგობრივ ინტერპრეტაციას, შეფასებას და რეკომენდაციას გულისხმობს (ენტმანი, 1993, გვ. 52).

ენტმენი (1993, გვ. 52) დეტალურად გადმოსცემს ფრეიმინგის ოთხ ფუნქციას:

1. პრობლემის განსაზღვრა - „გასაღების“ პოვნა, რომლითაც პრობლემა გამოირკვევა
2. ძირითადი გამომწვევი მიზეზების ინტერპრეტაცია
3. ზნეობრივი შეფასება- პრობლემაში ყველა მხარის ჩართულობა
4. რეკომენდაციები - პრობლემის გადაწყვეტის გზის შეთავაზება და მოსალოდნელ შედეგებზე მსჯელობა.

ენტმანი (1993) მიიჩნევს, რომ ჩარჩოს აქვს რამდენიმე მიმართულება- ინფორმაციის გამცემი, მიმღები, ტექსტი, კულტურა. მისი აზრით, ყველა ეს კომპონენტი მოიცავს ფრეიმინგის პროცესის რამდენიმე საფეხურს: ჩარჩოს შედგენა, ჩარჩოში ჩასმა, სოციალური და ინდივიდუალური შედეგები.

ტეუკსბერი და შაუფელე (Tewksbury & Scheufele, 2007) ფრეიმინგს აღწერდნენ როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც ფოკუსირებულია იმის დადგენაზე თუ რა ინტერპრეტაციით არის ამბავი წარმოდგენილი. მკვლევარები თეორიის აღწერისას საზოგადოებრივი აზრის მკვლევარის, ფრენკ ლუნტცის, მესიჯს იშველიებდნენ: ,,მთავარია არა რას იტყვი, არამედ როგორ იტყვი‘‘, შაუფელე და ტეუკსბერი ამ ფრაზის მოხმობით აღნიშნავდნენ, რომ მესიჯის გადაცემისას მისი ფორმა უმნიშვნელოვანესია, რაც ფრეიმინგის არსთან ახლოს დგას.

ტეუკსბერი და შაუფელე (Tewksbury & Scheufele, 2007) კვლევის საფუძველზე ასკვნიდნენ, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის ყოველდღიურად გაშუქების შედეგად ომის, კრიმინალის ფრეიმი შეიქმნა, რომელმაც, ავტორების თქმით, საზოგადოებასა და აუდიტორიის მხარდაჭერაზე ავღანეთის ომის მიმართ შთამბეჭდავი, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

ვივერის (2006) აზრით, ფრეიმინგის თეორიაში უფრო მეტად აქცენტი კეთდება შინაარსობრივ ნაწილზე, კაუზალურ შედეგებზე, მორალურ გამოწვევებსა თუ პასუხისმგებლობის შემცველ საკითხებზე.

ფრეიმების გამოსახვა შესაძლებელია ფრაზებში, ვიზუალურ გამოსახულებებში, სიტუაციებში, კონტექსტებში და სხვ... ფრეიმინგს შესაძლოა, ჰქონდეს ეფექტი, გავლენა საზოგადოების ცნობიერებაზე, თუმცა ეს ეფექტი უნივერსალური არ არის. ფრეიმინგის თეორიაზე, როგორც მედიის ეფექტზე, ტეუკსბერი და შაუფელე (Tewksbury & Scheufele, 2007) მსჯელობდნენ. მათი აზრით, მედიას შეუძლია გავლენა იქონიოს აუდიტორიის შეხედულებაზე, მაგრამ ეს ეფექტი უმეტესად დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მიიღებს მიწოდებულ ინფორმაციას საზოგადოება.

ახალი ამბების ჩარჩო სხვადასხვა საკითხსა თუ მოვლენაზე აუდიტორიის ინტერპრეტაციებს განსაზღვრავს. შესაბამისად, ჩარჩო გავლენას ახდენს საზოგადოების რწმენაზე, დამოკიდებულებასა და ქცევაზე (Scheufele & Tewksbury, 2007).

გოფმანის აზრით (1974), ფრეიმის ცნება დაკავშირებულია სქემასთან, ტექსტთან, თემასთან. მისი თქმით ,,ფრეიმი ნიშნავს ინტერპრეტაციების სქემას, რომლითაც ინდივიდებს შეუძლიათ მოვლენებისა თუ ინფორმაციის გავრცელება, გაგება, გააზრება და იარლიყების მიწებება“ (1974, გვ. 21).

ფრეიმის ცნებას მედიის მკვლევარები იყენებენ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ხერხის გამოსახატად: მეტაფორა, მაგალითი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზა, ნახატები, ვიზუალური გაფორმება (Gamson, Lasch, 1983). გემსონმა და ლაშმა (1984) ფრეიმი განსაზღვრეს, როგორც მაორგანიზებელი იდეა, რომელიც პრობლემის გააზრების პროცესში წამოიჭრება. მათი თქმით, ფრეიმინგის გამოყენებით, ზემოქმედებენ აუდიტორიაზე, მისთვის მიწოდებული ინფორმაციის გააზრებაზე.

კაპელა და ჯეიმისონი კი აღნიშნავენ: „ფრეიმინგი გამოხატავს იმას თუ როგორ, რა კონკრეტული იდეით არის დაწერილი და მიწოდებული ესა თუ ის ამბავი, ის შეიცავს საორიენტაციო ჰედლაინებს, სპეციფიკურ, საჭირო სიტყვებს და ა.შ..“ (Cappella & Jamieson, 1997, გვ. 39).

კომუნიკაციაში ფრეიმები „ყოველდღიურ ცხოვრებას ორგანიზებას უკეთებს“ (Tuchman 1978, გვ. 193) და სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხს აქტუალურს ხდის და ამახვილებს ყურადღებას (Shah 2002).

ტერორიზმისა და კონფლიქტების გაშუქების კვლევისას მკვლევრები თეორიულ ჩარჩოდ ფრეიმინგის თეორიას იყენებენ. ბასილაიას კვლევის მიხედვით (2009), სადაც ავტორმა 2008 წლის ომის ფრეიმები გამოიკვლია „რეზონანსში“, „იზვესტიასა“ და „ნიუ იორკ ტაიმსში“, სამივე მედიასაშუალებამ ომის, თითქმის, მსგავსი ჩარჩო გამოიყენა, თუმცა გაშუქების მთავარი ასპექტი იყო სამხედრო/შეირაღებული მოქმედებები, ძალადობა და განადგურება (Basilaia, 2009).

რა სახით არსებობს მედიაფრეიმები ახალ ამბებში? ენტმენის (1993) აზრით, ნიუსების ფრეიმები იდენტიფიცირებულია საკვანძო სიტყვებთან, ბანალურ ფრაზებთან, სტერეოტიპულ სურათებთან.

ტანკარდს (2001, გვ. 101) შემოთავაზებული აქვს ფრეიმინგის პროცესში არსებული მექანიზმები, რომლებიც ნიუსების ჩარჩოს ავლენს და ზომავს:

- სათაურები
- ქვესათაურები
- ფოტოები
- დასათაურებული ფოტოები
- ლიდი
- წყაროს შერჩევა
- ციტატების შერჩევა

- უპირატესი ციტატები
- ლოგოები
- სტატისტიკა, ცხრილები...
- შემაჯამებელი განცხადებები და აბზაცები

გიტლინი (1980, გვ. 7) ფრეიმს განმარტავს, როგორც „შეცნობის, ინტერპრეტაციის, პრეზენტაციის, აქცენტირების ნიმუშს, რომელსაც ე.წ. სიმბოლოების შემქმნელები ადგენენ“. ფრეიმებით შესაძლებელია მუდმივად ინფორმაციის შერჩევა, კონკრეტულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება. (Gitlin, 1980). გიტლინის (1980) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მედიისა და საზოგადოების შესაძლებლობები, შეიძლება ითქვას, რომ თანაბარია. მის მიერ ამერიკელი სტუდენტების დაჯგუფებაზე ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა აქტივისტების მოქმედება, რომელსაც სათავეში ედგნენ ცნობილი ადამიანები და რაც მიმართული იყო ძალადობისკენ. ზუმენის (1992) კვლევამ აჩვენა, რომ ჰოლანდიაში ქალთა მოძრაობა სწორედ მედიის გავლენით მოქმედებდა. მკვლევარის აზრით, მედიას უბრალოდ ინფორმაციის გადამცემზე მეტი ფუნქცია აქვს, რომელსაც გარკვეული შერჩევის საფუძველზე ასრულებს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმაციის გაშუქება, არამედ ის, თუ როგორ არის გადაცემული კონკრეტული მოძრაობის თუ აქტივისტების იდეები და ქმედებები.

ყველა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენს კვლევას თეორიულ ჩარჩოდ სწორედ ფრეიმინგის თეორია მოვარგეთ, ვინაიდან კვლევის მიზანია ფრეიმების განსაზღვრა, სწორედ აღნიშნული თეორიის გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი მიზნის მიღწევა.

1.6 უსაფრთხოების საკითხების გაშუქებაზე საქართველოში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა

მნიშვნელოვანია ქართულ მედიაში უსაფრთხოების საკითხებზე კვლევების მიმოხილვა. წყაროების მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ თემაზე ფართომასშტაბიანი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

მედიის განვითარების ფონდის პროექტის „მედიამონიტორინგი - პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარებისთვის“ ფარგლებში ექსპერტმა, გიორგი ცხვიტავამ, 2011 წლის 28 მარტი – 28 აპრილის განმავლობაში მედიაში თავდაცვისა და სამხედრო საკითხების გაშუქების მონიტორინგი განახორციელა. ამ კვლევამ მოიცვა"საზოგადოებრივი მაუწყებლის", "რუსთავი 2-ის", "იმედის", "მაესტროსა" და "კავკასიის" საინფორმაციო გამოშვებებისა და გაზეთების: "24 საათის", "რეზონანსის", "ალიას", "ასავალ-დასავალისა" და "კვირის პალიტრის" მასალები.

მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნულია: „ერთი თვის დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, რომ მედია ან განზრახ არიდებს თავს თავდაცვისა და უსაფრთხოების თემატიკას, ან რეპორტიორების კვალიფიკაცია არ არის შესაბამისი. მასალებში აშკარად შეიმჩნევა ინფორმაციის და წყაროების სიმცირე; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: სატელევიზიო არხებზე ერთთვიანი დაკვირვების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ნაციონალურ არხებზე გასული რეპორტაჟების უმრავლესობა ან მოძველებულია, ან ცალმხრივი“ (ცხვიტავა, 2011). დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ კრიტიკული სტატიები და რეპორტაჟები ტელევიზიებსა და, ფაქტობრივად, ბეჭდურ მედიაში (რამდენიმე სტატიის გამოკლებით) არ ყოფილა, სამხედრო ობიექტებიდან ყველა არხმა მხოლოდ 30 აპრილს გამართული წვრთნების შესახებ რეპორტაჟები მოამზადა, თუმცა არცერთი მასალა არც მიმოხილვითი და არც ანალიტიკური არ ყოფილა. კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ რეპორტიორების ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია, რაც

მასალებშიც აისახება. გაზეთებშიც სამხედრო თემატიკაზე ძირითადად საინფორმაციო სააგენტოების მიერ მიწოდებული ცნობები იბეჭდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტების გაშუქებაზე ქართულ მედიაში მონიტორინგები არის ჩატარებული. ეს საკითხი უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემას არ ეხება, თუმცა მასთან ირიბად მაინც კავშირშია, ამიტომ საინტერესოა ზოგიერთი მათგანის განხილვა.

კონფლიქტების გაშუქებაზე „მედიის განვითარების ფონდმა "ქართულ მედია საშუალებებზე მონიტორინგი განახორციელა. კვლევის მთავარი სამიზნე საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ირგვლივ განვითარებული მოვლენები იყო და ის ერთი თვის განმავლობაში 2012 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში მიმდინარეობდა. დროის ეს მონაკვეთი სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ე.წ. პრეზიდენტის და აფხაზეთში დეფაქტო პარლამენტის არჩევნებს ემთხვეოდა. კვლევის ფარგლებში "საზოგადოებრივი მაუწყებლის", „რუსთავი 2–ის", „იმედის", „კავკასიისა" და „მაესტროს" დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები და გაზეთებში, „კვირის პალიტრა", „ასავალ–დასავალი" და „ქრონიკა", დაბეჭდილი პუბლიკაციები გაანალიზდა.

მედიასაშუალებების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტელევიზიები მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში კონფლიქტური რეგიონების და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გაშუქებას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

კვლევაში აღნიშნულია: „განხილულ სტატიებში, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არ არის წარმოდგენილი თემის სიღრმისეული ანალიზი, მასალები ძირითადად, ინტერვიუების ფორმით არის დაბეჭდილი, რომელთა დიდი ნაწილიც და არა ამჟამინდელ მდგომარეობას, კონფლიქტის განვლილ ქრონიკებს ეძღვნება" (ხუციძე, 2012).

საინტერესოა აშუქებდა თუ არა ქართული მედია უსაფრთხოების საკითხებს რამდენიმე წლის წინ. ამისთვის მცირე ექსკურსის მოხმობა მნიშვნელოვანი იქნება. "მედიის განვითარების ფონდის" პროექტის ფარგლებში, ცხვიტავას (2011) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებში აღნიშნულია, რომ 1991 წელს ცხინვალში საბრძოლო მოქმედებებს ნაციონალური მაუწყებელი – საქტელერადიო კომპანია და რამდენიმე გაზეთი აშუქებდა. მომდევნო წელს ფრონტის მეორე ხაზის გახსნის შემდეგ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს ათეულობით ჟურნალისტი აშუქებდა, რადგან ამ დროისთვის პირველი და მეორე არხის გარდა, რადიო და ტელევიზია ქვეყანაში არ არსებობდა. ,,მათ გადაცემებში კი ისეთი სახის რეპორტაჟებიც გადიოდა, რომლებიც პირდაპირ უთითებდნენ სამხედრო ქვედანაყოფებების დისლოკაციის ადგილებს‘‘ (ცხვიტავა, 2011).

„მედიის განვითარების ფონდის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ 1992 წელს გაზეთი ,,შვიდი დღე‘‘ რუბრიკას ,,არსენალი‘‘ რეგულარულად ბეჭდავდა. 1996 წლიდან გამოდის ყოველკვირეული გაზეთი ,,კვირის პალიტრა‘‘, სადაც რუბრიკა,,არსენალი‘‘ იბეჭდება; გამოდის გაზეთი ,,დრონი‘‘, სადაც სამხედრო თემები იბეჭდება, 2002 წელს თავდაცვის სამინისტროს გაზეთი ,,ორბიტა’’ გამოდის, შემდეგ კი ჟურნალი ,,არსენალი‘‘ იბეჭდება, სატელევიზიო არხზე კი ნაცვლად გადაცემისა ,,სამხრეთ საზღვრებზე‘‘, რომელიც საბჭოთა პერიოდში გადიოდა, ახალი გადაცემა ,,სპა-სამხედრო პატრიოტული ალმანახი‘‘ გამოჩნდა, რომელშიც არმიის და სამხედრო ქვედანაყოფების ცხოვრება შუქდებოდა.

2002 წლიდან ტელეკომპანიები სამხედრო უსაფრთხოების თემების გაშუქებას მეტ ყურადღებას უთმობენ. 2003 - 2004 წლებში ტელეკომპანია ,,მზე‘‘ არმიაზე დოკუმენტური ფილმების ,,პროფესია‘‘ გადაღებას იწყებს. "პირველ არხზე" ჯარის შესახებ გადაცემა ,,მხედრობა‘‘ მზადდებოდა. 2006 წლიდან "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" დოკუმენტური ფილმების ციკლი ,,გზა ნატოსკენ‘‘ იწყება, რომელშიც ნატოს შექმნის ისტორია და ალიანსთან საქართველოს თანამშრომლობა იყო

მოთხრობილი. იმავე წელს საზოგადოებრივ არხზე ახალი პროექტი სამხედრო და უსაფრთხოების შესახებ „პროფესია ჯარისკაცი“ იწყება. 2007 წელს „რუსთავი 2“-ზე რეალითი შოუ „ყაზარმა“ დაიწყო (ცხვიტავა, 2011).

1.7 მიგრაცია და მედია

კვლევის მიზანი ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხის გაშუქების შესწავლა იყო, მასალების დამუშავების დროს გამოჩნდა, რომ ქართულ მედიაში მიგრაციის თემა უსაფრთხოების საკითხს უკავშირდება. ზოგიერთ შემთხვევაში, ტერორიზმსა და მიგრაციას შორის, ტერაქტებსა და მიგრანტებს შორის პარალელებია გავლებული. ამიტომ, ცოდნის გასაღრმავებლად და გასამდიდრებლად მიგრაციის საკითხზე სამეცნიერო მასალების დამუშავება აუცილებელია.

მიგრაცია საერთაშორისო უსაფრთხოების არა მხოლოდ დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილი გახდა, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მას საერთაშორისო საფრთხესთან პირდაპირი კავშირი შეიძლება ჰქონდეს. საერთაშორისო მიგრაცია ეროვნულ უსაფრთხოებაზეც ახდენს გავლენას. ფიონას (Fiona, 2006) აზრით, მიგრაციის მართვა სუსტი სახელმწიფოებისთვის არის უფრო მეტად გამოწვევა, ვიდრე სტაბილური და მდგრადი ქვეყნებისთვის (Fiona, 2006).

ევროპის საფრთხის მთავარი ფოკუსი ეთნონაციონალური იდენტობის შეცვლის საფრთხეზე მოდის. დასავლეთ ევროპაში სოციალური დაუცველობა შეიცვალა, როგორც ევროპული ინტეგრაციის წარმატების ან წარუმატებლობის გასაღები (Waever, ვივერ; Buzan, ბუზანი; Kelstrup, კელსტრაფი; Lemaitre, ლიმეიტრი, 1993).

რუდოლფი (Rudolph, 2002) აღნიშნავს, რომ იძულებითი მიგრაცია რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: კონფლიქტები, განვითარება, ბუნებრივი კატასტროფა. ამასთან ერთად, ტრეფიკინგი, ადამიანთა ვაჭრობაც უკანონო მიგრაციის

სახეობაა. შესაძლოა, პირმა ქვეყანა საკუთრი სურვილით დატოვოს, მაგრამ სხვა სახელმწიფოში ჩასული ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდეს (Rudolph, 2002).

ვანესა ქრისტოფი (Christoph, 2012) გერმანიაში ჩატარებული კვლევის შედეგებში აღნიშნავს, რომ მედია მიგრანტებს ხშირად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს. ავტორის თქმით, ჟურნალისტები მათ არა ინდივიდებთან, არამედ ჯგუფებთან აიგივებენ. ქრისტოფი აღნიშნავს, რომ თუ მედიასაშუალებებში მიგრანტები დადებით კონტექსტში წარმოჩინდებიან, მათზე საზოგადოების წარმოდგენაც არა უარყოფითი, არამედ დადებითი იქნება (Christoph, 2012).

„მიგრაციის სახელმძღვანელოში“ მარიამ გერსამია და რობერტ მაქნილი (2017) აღნიშავენ, რომ მასმედიის მნიშვნელობა მიგრაციული პროცესების შესწავლის ჭრილში უდავოა. „მკვლევრები თანხმდებიან, რომ „მიგრაციის ნარატივი“ განსაზღვრავს მიგრანტებისადმი დამოკიდებულებას, სტერეოტიპთა ფორმებს და ამყარებს მედიასტიგმებს“ (გვ.431). ნაშრომში „მიგრაცია და მედია“ (2017) აღნიშნულია, რომ მიგრაციასთან დაკავშირებული თემები სხვადასხვა რაკურსით ჩნდება ტრადიციულ მედიაში, საერთაშორისო რეპორტაჟებში 2015 წელს ნაციონალურმა მედიამ ყურადღება გაამახვილა სირიელ ლტოლვილებზე, რაც ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაშიც გამოიკვეთა.

ტერი თრიდგოლის (Threadgold, 2009) კვლევამ აჩვენა, რომ ბრიტანული ბეჭდური და სატელევიზიო მედია მიგრანტებზე ინფორმაციას ძალიან დავიწროებული კუთხით გადასცემს. ასევე ახალ ამბებში მიგრანტების შესახებ გაშუქებული ახალი ამბები ძირითადად თავშესაფრის მაძიებლებზე, არალეგალ იმიგრანტებსა და მიგრანტების სამუშაოზეა (Threadgold, თრიდგოლი, 2009).

მაქლაულინმა (McLaughlin, 1999) მედიაში მიგრანტების საკითხების გაშუქებაზე კვლევა ჩაატარა. მას აინტერესებდა ბერლინის კედლის აღებამდე და აღების შემდეგ მედია მიგრანტების საკითხს როგორ აშუქებდა. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ

ბერლინის კედლის აღებამდე პოლიტიკური ციხიდან მოსახლეობის მასობრივი წასვლა, გაქცევა, ბერლინის კედლის აღების შემდეგ კი ისინი მოიხსენიებოდნენ, როგორც ლტოლვილები, გააიგივეს დაბრკოლებასთან, კრიზისთან (McLaughlin, მაქლაულინი, 1999).

არსებობს სტერეოტიპი, რაც საინფორმაციო გამოშვებებშიც შუქდება, რომ მიგრანტებს ქვეყნები საზღვრებს უკეტავენ, რადგან ტერორიზმის საფრთხე იმატებს, ეს საკითხი განსაკუთრებით 2015 წელს პარიზში მომხდარი ტერაქტის შემდეგ გახდა აქტუალური.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანახმად, განხორციელების ფორმის მიხედვით ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას გამოყოფენ, ხოლო დროითი განზომილების მიხედვით - მუდმივსა და დროებითს.

საინტერესოა ქართულ მედიასაშუალებებში მიგრაციის პრობლემები როგორ შუქდება. საინტერესოა, როდის ინტერესდება მედია იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემებით, მედიისთვის დევნილები როდის ხდებიან მნიშვნელოვანნი? ორგანიზაციამ „ინტერნიუსი საქართველო“ 2012 წლის 25 აპრილს კვლევის შედეგები გამოაქვეყნა - "როგორ აშუქებენ ქართული ტელევიზიები დევნილების საკითხს". მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ტელევიზიები, ძირითადად, დევნილების გამოსახლების პროცესს აშუქებენ და არიან მიკერძოებულები. დევნილების პრობლემებს ხშირად სხვა საკითხებთან კონტექსტში განიხილავენ - მაგალითად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საზღვრის გადმოწევა, ოსეთში ან აფხაზეთში საქართველოს მოქალაქის გატაცება და მსგავსი თემები.

მედიის სფეროში მოღვაწე თამარ კინწურაშვილისა და სოფო გელავას (2017) ჩატარებული კვლევის - „მუსლიმი ახაგაზრდების დამოკიდებულებები მედია გაშუქებისა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის მიმართ“ მიხედვით, „ქართულ ტაბლოიდურ მედიაში ევროპაში მიგრაციის კრიზისის საკითხები საქართველოში

ანტიდასავლური პროპაგანდის ტირაჟირების მიზნით გამოიყენება, რომელიც არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების გამო უსაფრთხოების მიზნით საქართველოში ჩამოსული მცირე რაოდენობის მიგრანტების მიმართ ვრცელდება, არამედ აზიისა და აფრიკის ქვეყნების იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც საქართველოში ლეგალურად მუშაობენ და ცხოვრობენ“ (კინწურაშვილი, გელავა, 2017, გვ.56).

ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ კვლევის კითხვები გამოიკვეთა:

RQ1: გამოიკვეთა თუ არა განსხვავებული ფრეიმები ქართულ მედიაში სხვადასხვა დროს ტერორიზმის გაშუქებისას?

RQ2: ევროპაში მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას მედია ხაზს უსვამდა თუ არა ევროპის დაუცველობას და ევროპას, როგორც არაუსაფრთხო ადგილს? გამოიკვეთა თუ არა ანტიდასავლური მესიჯები?

RQ3: ტერორიზმთან ბრძოლის ხაზგასმა ქართულ მედიაში აქტუალური უფრო საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას იყო თუ საქართველოში მომხდარი ტერორისტული აქტების გაშუქებისას?

RQ4: ტერაქტების გაშუქებისას რა ტერმინებს იყენებდა ქართული მედია? მედია იყენებდა თუ არა დაჯგუფება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მუქარის შემცველ მიმართვებს და რა ფორმით?

RQ5: ტერორიზმის გაშუქებისას უსაფრთხოების რომელი საკითხი წამოიჭრა?

კვლევის კითხვებიდან გამომდინარე, შემდეგი ჰიპოთეზები შემუშავდა:

H1: პერიოდისა და კონტექსტის გათვალისწინებით, სხვადასხვა დროს ქართულ მედიაში ტერორიზმის გაშუქებისას განსხვავებული ფრეიმები იკვეთება.

H2: ქართული ბეჭდური მედია ევროპაში მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას, ევროპის დაუცველობას უფრო უსვამს ხაზს, ვიდრე სატელევიზიო მედია.

H3: ქართული მედია ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობაზე საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას უფრო ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე საქართველოში მომხდარი ტერორისტული აქტების გაშუქებისას.

H4: ტერორიზმის გაშუქებისას ქართული მედია უფრო ხშირად იყენებს სიტყვებს - ტერაქტი, ტერორისტი, ტერორიზმი, ვიდრე თავდასხმა, თავდამსხმელი, ასევე ქართული მედია ტერორისტული დაჯგუფების მუქარის შემცველ მიმართვებს აშუქებს.

H5: ტერორიზმის გაშუქებისას როგორც სატელევიზიო, ასევე ბეჭდურ მედიაში უსაფრთხოების საკითხად მიგრაციის თემა და მიგრანტთა კრიზისი ვლინდება.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად კონტენტ-ანალიზი გამოვიყენეთ. კონტენტ-ანალიზით რაოდენობრივი მონაცემების მიღებაცაა შესაძლებელი და ამავე დროს თვისებრივისაც, რაც ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან დავაჯამეთ როგორც რაოდენობრივი მონაცემები, ასევე კონტექსტის გასაანალიზებლად, ჟურნალისტური მასალების შინაარსზე გავამახვილეთ ყურადღება. რაოდენობრივი მონაცემებით, სანდო, პროცენტული შედეგების მიღება იქნება შესაძლებელი, ხოლო უშუალოდ სტატიებისა თუ სიუჟეტების შინაარსზე ინფორმაციის მიღება კი თვისებრივს მიეკუთვნება. სწორედ ამიტომაა საჭირო, კონტენტ-ანალიზის გამოყენება. მისი მეშვეობით, შესაძლებელია, შერეული მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენება.

კონტენტ-ანალიზი სოციოლოგიური კვლევის მეთოდია, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი, მათში ამა თუ იმ მაჩვენებლების გამოვლენის სიხშირე. ტერმინი ითარგმნება ქართულ ენაზე როგორც „შინაარსის

ანალიზი“; ის შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი. (ზურაბიშვილი , 2006).

თვისებრივი კონტენტ-ანალიზის დროს უფრო მეტად მნიშვნელობაზე მახვილდება ყურადღება, ვიდრე რაოდენობაზე. კლასიფიკაციის სისტემა საკვლევი კითხვიდან და წამყვანი თემიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. კოდირების სეგმენტები შეიძლება მოიცავდნენ გრძელ მონაკვეთებს, ფრაზებსა და წინადადებებს. კონტენტ-ანალიზის ამ ფორმის მიზანი არ არის მონაცემების ჩვეულებრივი დანომვრა. ხოლო რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის დროს კი ვიღებთ რაოდენობრივ ერთეულებს, ეს შეიძლება იყოს სიხშირე, თანრიგი ან რეიტინგი (ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები).

კრიპენდორფის (Krippendorff, 1980) თანახმად, კონტენტ-ანალიზი არის საკვლევი ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც მონაცემების მყარი და ვალიდური კორელაცია, მიმართება დგინდება მის კონტექსტთან.

სემეტკოსა და ვალკენბურგის (Semetko and Valkenburg, 2000) მიხედვით, ფრეიმების კონტენტ-ანალიზის 2 ალტერნატივა არსებობს: ინდუქციური და დედუქციური. ავტორების თქმით, ინდუქციური მიდგომის შემთხვევაში უშუალოდ ანალიზის პროცესში ვლინდება ფრეიმები, შესაბამისად, ფრეიმები ფართოდ შეისწავლება, ხოლო დედუქციური მიდგომის შემთხვევაში კი ფრეიმები წინასწარ განისაზღვრება, შესაბამისად, მათი სიხშირეც დგინდება. კვლევისთვის დედუქციური მიდგომა გამოვიყენეთ და თითოეული ტერაქტისა თუ მოვლენისთვის განსხვავებული და საერთო ფრეიმები შემუშავდა. ფრეიმების წინასწარ გამოსავლენად თითოეულ მოვლენაზე დაბეჭდილი 2-2 შემთხვევით შერჩეული სტატია და საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები შევისწავლეთ. კვლევის ერთეულად განისაზღვრა სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალები და ბეჭდურ მედიაში დაბეჭდილი პუბლიკაციები. ფრეიმებისა და კონტექსტის დასადგენად, წინასწარ ჩამოვაყალიბეთ ფრეიმები, რომელიც კოდირების სახელმძღვანელოში სხვადასხვა კატეგორიაში სიტყვა-კოდებისა და ასევე ფრაზების

მეშვეობით წარმოვადგინეთ, რომელიც შემდეგ რაოდენობრივად დაითვალა და დამუშავდა.

2.1 შერჩევა

ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქების კვლევა ქართულ სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში განხორციელდა. ბეჭდური მედია ეროვნული ბიბლიოთეკის არქივის დახმარებითა შევისწავლეთ, ხოლო სატელევიზიო გადაცემები დაცული იყო მათივე მედიასაშუალებების არქივში, 2015 წლის მასალები კი მათსავე ვებგვერდებზე იყო განთავსებული.

ბეჭდური მედიიდან შეირჩა გაზეთები, რომელიც ყოველდღიურად, ან ყოველკვირეულად იბეჭდება, გაზეთებიდან „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველდღიური პერიოდულობით იბეჭდება, ხოლო „კვირის ქრონიკა“, „პრაიმ ტაიმი“, „საქართველო და მსოფლიო“ კი - კვირაში ერთხელ. აღნიშნული გაზეთების შერჩევის მიზნობრიობა შემდეგნაირად განისაზღვრა: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებში (იხ. მითითებული ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/ec/ka/nmat/search.html, ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი) კოდური სიტყვების გამოყენებით (ტერორიზმი, ტერაქტი, ისლამური სახელმწიფო, პანკისი, პანკისის ხეობა, ტერორისტი) სტატიების სათაურები და გამოცემის თარიღი მოვიძიე. ელექტრონულ კატალოგში ზემოთ ჩამოთვლილ გაზეთებში ყველაზე ხშირად დაიბეჭდა ტერორიზმთან დაკავშირებული მასალები, შესაბამისად კვლევისთვის აღნიშნული გაზეთები შეირჩა.

ტელევიზიებიდან სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი“ შეირჩა. 2016 წელს IRI-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოკითხულთა 80% უპირატესობას „რუსთავი 2-ს“ ანიჭებს, ამიტომ, საკვლევად ეს ტელევიზია შევარჩიეთ, ხოლო "საზოგადოებრივი მაუწყებელი" კი საზოგადოებრივი ტელევიზიაა და მისი შესწავლაც მნიშვნელოვანია. შესაბამისად, „რუსთავი 2-ის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „კურიერისა“ და საზოგადოებრივი

მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ კვლევა ჩატარდა. შერჩევისას ასევე ყურადღება მიექცა ტელეკომპანიების დაფუძნების დროს. საკვლევი პერიოდი 1995-2016 წლებს მოიცავს. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 1956 წელს, „რუსთავი 2“ კი - 1994 წელს.

საკვლევ პერიოდად აღებულია 1995-2015 წლები. კვლევის 1995 წლიდან დაწყების ერთ-ერთი მიზეზი 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის მიღებაა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნისთვის და სწორედ ამ წელს საქართველოს იმდროინდელ მეთაურზე, ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა განხორციელდა. 20 წლიანი პერიოდის შესწავლა საკმაოდ რთული იქნებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ყველაზე გახმაურებული ტერაქტები და ასევე უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენები შეგვესწავლა და ამიტომ შვიდი მოვლენა შევარჩიეთ. საკვლევი პერიოდის ფარგლებში დიდი რაოდენობის მასალა დამუშავდა, რასაც მუშაობის ხანგრძლივი დრო დაეთმო. წინასწარი მოკვლევის შედეგად, ნათლად გამოიკვეთა, რომ მედიასაშუალება ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხებით ძირითადად ტერაქტის განხორციელების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ინტერესდება, ამიტომ თითოეული მოვლენა 2 კვირის პერიოდში ვიკვლიეთ. საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის შესახებ მომზადებული მასალების მედიაში გაშუქების კვლევის პერიოდად კი 3 თვე შევარჩიეთ, რადგან 2015 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში სირიაში საბრძოლველად პანკისიდან ახალგაზრდები გაემგზავრნენ, მათ შორის არასრულწლოვნები და ასევე 2015 წლის ივნისში ხეობაში სპეცოპერაციაც ჩატარდა, შესაბამისად, დეტალური ინფორმაციის მისაღებად 3-თვიანი პერიოდი შევარჩიეთ.

2.1.1 მოვლენათა შერჩევა

მოვლენები შემდეგი პრინციპის მიხედვით განისაზღვრა: საკვლევად შეირჩა 1995-2015 წლის განმავლობაში საქართველოში მომხდარი ყველა ტერორისტული აქტი თუ მცდელობა, მსოფლიოში ყველაზე გახმაურებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი

და ევროპასა და რუსეთში მომხდარი ფართომასშტაბიანი ტერაქტები. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ასევე შევისწავლეთ პანკისის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების საომრად გადინების მედიაში გაშუქება. ზემოთ თავებში დეტალურად უკვე განვიხილეთ პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლა, ამიტომ აქ, ცალკე ქვეთავში აღარ განვმარტავთ.

- პარიზის ტერაქტი - 2015 წლის 13 ნოემბერი
- პანკისიდან სირიაში წასული ახალგაზრდების წასვლა - 2015 წლის აპრილი, მაისი, ივნისი.

- ფრანგულ ჟურნალ „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტი - 2015 წლის 7 იანვარი
- მოსკოვის ტერაქტი - 2010 წლის 29 მარტი
- ტერაქტი გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან - 2005 წლის 1 თებერვალი
- ა.შ.შ.-ში ტერაქტი - 2001 წლის 11 სექტემბერი
- ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტი - 1995 წლის 29 აგვისტო

2.1.1.1 პარიზის ტერაქტი - 2015 წლის 13 ნოემბერი

აღწერა: 2015 წლის 13 ნოემბერს საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში მასშტაბური ტერაქტების სერია განხორციელდა. აფეთქებები ერთმანეთის პარალელურად პარიზში, სხვადასხვა ადგილებზე განხორციელდა - ბატაკლანის საკონცერტო დარბაზთან, სტადიონთან, რესტორნებსა და ბარებთან, ერთ-ერთი ტერორისტული აქტი სტადიონზე, გერმანია-საფრანგეთის საფეხბურთო მატჩის დროს მოეწყო, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტიც ესწრებოდა.

ტერაქტების შედეგად 130 ადამიანი დაიღუპა, ასობით - კი დაიჭრა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფებამ, ISIS-იმ აიღო.

პარიზის ტერაქტების სერია ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან ტერორისტულ აქტად არის მოხსენიებული.

მსხვერპლი: 130 ადამიანი

ადგილი: საფრანგეთი, პარიზი (http://www.bbc.com/news/world-europe-34818994 ბოლო ნახვა 2017, დეკემბერი)

2.1.1.2. „შარლი ებდოზე“ ტერაქტი – 2015 წლის 7 იანვარი

აღწერა: ფრანგულ ჟურნალ შარლი ებდოზე 2015 წლის 7 იანვარს თავდასხმა განხორციელდა, რომლის შედეგად 12 ადამიანი დაღუპა, მათ შორის, მათ შორის ჟურნალის რედაქტორი და კარიკატურისტები და პოლიციელებიც. ჟურნალის მთავარი რედაქტორი სტეფან შარბონიე, იგივე „შარბი“ტერაქტამდე იყო „ალ-ყაიდის“ მთავარი სამიზნეების სიაში იყო შეყვანილი.

მომდევნო დღეს ფრანგი პოლიციელი ქალი სროლებს ემსხვერპლა, 4 ადამიანი, რომელიც 9 იანვარს მძევლად აიყვანეს, სუპერმარკეტზე შტურმის დროს დაიღუპა. პარიზის მოვლენებს ჯამში 17 ადამიანი ემსხვერპლა.

ჟურნალ "შარლი ებდოზე" მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობა დაადასტურა "ალ ქაიდამ" და საფრანგეთს ტერაქტების გაგრძელებით დაემუქრა. http://edition.cnn.com/2015/01/10/world/france-paris-who-were-terror-victims/index.html ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი).

ჟურნალი „შარლი ებდო“ ცნობილია თავისი სკანდალური კარიკატურებით, მათ შორის წინასწარმეტყველ მუჰამედზე.

მსხვერპლი: 17 ადამიანი

ადგილი: საფრანგეთი, პარიზი

· 2.1.1.3. მოსკოვში აფეთქება - 2010 წლის 29 მარტი

აღწერა: 2010 წლის 29 მარტს მოსკოვის მეტროში მომხდარი ტერაქტის შედეგად, 38 მგზავრი დაიღუპა და 60-ზე მეტი დაიჭრა. აფეთქება მოსკოვის მეტროპოლიტენში, დილით, დაახლოებით, ერთი საათის ინტერვალით მოხდა. თავდაპირველად მატარებლების ვაგონი აფეთქდა სადგურ „ლუბიანკაზე“, შემდეგ კი -„კულტურის პარკთან“, მოსკოვის მეტროში. გამოძიების ვერსიით, ორივე ტერაქტი მოაწყვეს თვითმკვლელმა ქალებმა.

რუსეთის იმჟამინდელმა (2010) პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ „ისინი არიან ცხოველები და ეჭვი არ მეპარება, რომ მათ ვიპოვით და გავანადგურებთ“. რუსეთის მაშინდელმა (2010) პრემიერმინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა კი აღნიშნა, რომ ტერორისტებს აუცილებლად გაანადგურებენ. http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/8592190.stm ბოლო ნახვა, 2017, ოქტომბერი).

მსხვერპლი: 38 ადამიანი

ადგილი: რუსეთი, მოსკოვი

· 2.1.1.4. ტერაქტი გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან - 2015 წლის I თებერვალი

აღწერა: გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან 2005 წლის I თებერვალს აფეთქება მოხდა და მას, ოფიციალური მონაცემებით, სამი ადამიანი ემსხვერპლა, 10-ზე მეტი კი დაიჭრა. აფეთქებას ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიენიჭა. (წამალაშვილი, 2005 http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1539546.html ბოლო ნახვა, 2017, ოქტომბერი).

მსხვერპლი: სამი ადამიანი

ადგილი: საქართველო, გორი

2.1.1.5 ა.შ.შ.-ში ტერაქტი - 2001 წლის 11 სექტემბერი

აღწერა: ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბერს ალ-ქაიდას თვითმკვლელმა ტერორისტებმა ტერაქტი მოაწყვეს. 19-მა ტერორისტმა 4 სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს. გამტაცებლებმა 2 თვითმფრინავი ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის 2 ცათამბჯენს, ე.წ. „ტყუპებს“ შეაჯახეს, სადაც 2 ათას 600 ადამიანზე მეტი დაიღუპა. ორი საათის განმავლობაში ორი ცათამბჯენი ნანგრევებად იქცა.

გამტაცებლებმა მე-3 თვითმფრინავი პენტაგონის შენობას შეაჯახეს, რასაც 125 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მე-4 თვითმფრინავი კი პენსილვანიის შტატში მდებარე ველზე ჩამოვარდა. ოთხივე თვითმფრინავის მგზავრები დაიღუპნენ, მათი რაოდენობა 256-ს შეადგენდა. http://www.9-11commission.gov/report/911Report_Exec.htm ბოლო ნახვა, 2017, ოქტომბერი).

მსხვერპლი: 3 ათასამდე ადამიანი დაიღუპა

ადგილი: ამერიკის შეერთებული შტატები, ნიუ იორკი, ვირჯინია, პენსილვანია

2.1.1.6. ტერაქტი ედუარდ შევარდნაძეზე - 1995 წლის 29 აგვისტო

აღწერა: 1995 წლის 29 აგვისტოს თბილისის ცენტრში "იმელის" შენობის მიმდებარე ტერიტორია ძლიერი აფეთქება მოხდა, ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტი განხორციელდა, შევარდნაძე ტერორისტულ აქტს გადაურჩა. მთავარი ეჭვმიტანილი იგორ გიორგაძე იყო.

ჟურნალისტი ეკა წამალაშვილი (2003) აღნიშნავს, რომ მომხდარზე პასუხი "მხედრიონის" ლიდერებმა, უშიშროების სამინისტროს ყოფილმა მაღალჩინოსანმა,

თემურ ხაჩიშვილმა და იგორ გიორგაძის მიერ ჩამოყალიბებული სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა აგეს, თუმცა, ნაწილობრივ. სასამართლოს მიერ ტერაქტის ორგანიზატორებად ცნობილი პირები შეიწყალეს. არც ერთი მათგანი თავს დამნაშავედ არ ცნობდა. (წამალაშვილი, 2003 http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1530515.html ბოლო ნახვა, 2017, ოქტომბერი).

თავი 3. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 1995-2015 წლებში ექვს ტერორისტულ აქტსა და მოვლენებს ქართულმა მედიამ 836 მასალა მიუძღვნა. გრაფიკა N1-ის მიხედვით, ჩანს, რომ ქართულმა მედიამ ყველაზე მეტი მასალა 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარ ტერაქტზე გამოაქვეყნა, მიუხედავად იმისა, რომ პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების გადინების შესახებ მასალების საკვლევი პერიოდი სხვა მოვლენებისგან განსხვავებით, 3 თვეს მოიცავდა, მას ქართულმა მედიამ რაოდენობრივად ყველაზე მეტი მასალა არ მიუძღვნა. ბეჭდურმა მედიამ ყველაზე მეტი პუბლიკაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარ ტერაქტების სერიას მიუძღვნა, ხოლო სატელევიზიო მედიამ კი 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში განხორციელებულ თავდასხმებს (იხ გრაფიკა N1).



კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერორისტული აქტების გაშუქებისას ქართული ბეჭდური მედია უპირატესობას სტატიის ტიპს ანიჭებს (იხ. ცხრილი N1). (ცხრილ N1-ში მოცემულ კატეგორიაში - სხვა იგულისხმება ანალიზი, თვალსაზრისი, განცხადება, ბრძანება, წერილი).

ცხრილიN1: 1995-2015 წლებში ტერორიზმის გაშუქებისას მასალის ტიპები ბეჭდურ მედიაში

მასალის ტიპები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	165	28	28
2 სტატია	258	43.8	43.8
3 ინტერვიუ	105	17.8	17.8
4 სხვა	61	10.4	10.4
ჯამი	589	100.0	100.0

კვლევის შედეგების მიხედვით, ტერორიზმის გაშუქებისას სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ტერორიზმთან დაკავშირებული მასალების უმეტესობა სიუჟეტია (იხ. ცხრილი N2). (ცხრილ N2-ში მოცემულია 2001-2015 წლებში მომხდარი ტერორისტული აქტებისა და პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის

შესახებ მომზადებული მასალების რაოდენობა, 1995 წელს ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის გაშუქება მხოლოდ ბეჭდურ მედიაში შევისწავლეთ).

ცხრილიN2: 2001-2015 წლებში ტერორიზმის გაშუქებისას მასალის ტიპები სატელევიზიო მედიაში

მასალის ტიპები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	39	15.8	15.8
2 სიუჟეტი	137	55.4	55.4
3 ინტერვიუ	18	7.3	7.3
4 პირდაპირი ჩართვა	33	13.4	13.4
5 პირდაპირი ჩართვა+სიუჟეტი	20	8.1	8.1
ჯამი	247	100.0	100.0

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბეჭდური და სატელევიზიო მედიაც ტერორისტული აქტის გაშუქებით ტერაქტის მოწყობიდან ერთი კვირის განმავლობაში უფრო დაინტერესებულია, ვიდრე მომდევნო კვირას. ამ შემთხვევაში საქართველოდან სირიაში საბრძოლველად წასვლის შესახებ მომზადებულ მასალებს ვერ განვიხილავთ, რადგან დროის ინტერვალს ვერ შევადარებთ. 6 ტერაქტის გაშუქებას ბეჭდურ მედიაში პირველ კვირას 364 მასალა დაიბეჭდა, რაც ბეჭდურ მედიაში 6 ტერაქტის გაშუქებისას შესწავლილი მასალების რაოდენობის (532) 68.4%-ია. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე კვირის განმავლობაში გაზეთების პირველ 4 გვერდზე 324 მასალა დაიბეჭდა, რაც საერთო რაოდენობის 60.9%-ია, ხოლო თავდასხმიდან პირველ კვირას კი პირველ 4 გვერდზე 240 სტატია გამოქვეყნდა, რაც პირველ კვირას დაბეჭდილი მასალების 65.9%-ია.

სატელევიზიო მედიამ 5 ტერორისტული აქტის გაშუქებისას (შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის გაშუქება მხოლოდ ბეჭდურ მედიაში შევისწავლეთ, რადგან სატელევიზიო მედიის არქივში მასალები არ იყო შენახული) 208 მასალა მიუძღვნა. ტერაქტის მოწყობიდან პირველ კვირას 173 სიუჟეტი, რაც რეპორტაჟების საერთო

რაოდენობის 83.2%-ია. მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში პირველ 4 ამბად 115 სიუჟეტი გაშუქდა, რაც ტერორისტული აქტების შესახებ მომზადებული სიუჟეტების 55.3%-ია. ტერაქტის მოწყობიდან პირველ კვირას მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში პირველ 4 ამბად 96 სიუჟეტი გავიდა, რაც პირველ კვირას შესწავლილი მასალების 55.4%-ია.

კვლევის სხვა კითხვებზე პასუხების მისაღებად და ჰიპოთეზების შესამოწმებლად უმჯობესია თითოეული ტერორისტული აქტის გაშუქების შესწავლისას მიღებული მონაცემები ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ.

3.1. 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტის სატელევიზიო მედიაში გაშუქება

2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ 14-დან 27 ნოემბრამდე ტელევიზიების, „რუსთავი 2-ისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში 72 მასალა გავიდა (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3. პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ მასალების რაოდენობა სატელევიზიო მედიაში

მედიასაშუალება	მასალა
რუსთავი 2“	30
,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“	42

სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ სიუჟეტის ტიპი ჭარბობს, ყველაზე იშვიათად კი ინტერვიუ და ნიუსი. ის, რომ სიუჟეტის რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ახალი ამბავი ახალი ამბავი,

დადებითი ფაქტია, რადგან მედია ცდილობდა, რომ საკითხი სიღრმისეულად გაეშუქებინა (იხ. ცხრილი N4).

ცხრილიN4: პარიზში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული მასალის ტიპები სატელევიზიო მედიაში

მასალის ტიპები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	9	12.5	12.5
2 სიუჟეტი	38	52.8	52.8
3 ინტერვიუ	6	3.3	3.3
4 პირდაპირი ჩართვა	10	13.9	13.9
5 პირდაპირი ჩართვა+სიუჟეტი	9	12.5	12.5
ჯამი	72	100.0	100.0

გრაფიკა N2-ში კი მოცემულია პარიზის ტერაქტთან დაკავშირებული მასალის ტიპების განაწილება თითოეული ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებისთვის. მასში ნაჩვენებია, რომ ორივე მედიასაშუალების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე ხშირად სიუჟეტის ტიპი გამოიყენებოდა (იხ. გრაფიკა N2).



ტერაქტის მეორე დღიდან ორივე სატელევიზიო მედიის საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემა პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტი იყო. სამი დღის განმავლობაში „მოამბისა“ და „კურიერის“ ეთერში პირველი ამბავი პარიზის ტერაქტს უკავშირდებოდა. 14 ნოემბერს „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ტერაქტის შესახებ რვა მასალა გავიდა, „საზოგადოებრივის“ 20:00 საათიან „მოამბეში“ კი - 10. რაოდენობის მხრივ, საერთო ჯამშიც, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უფრო მეტი მასალა მოამზადა, ვიდრე „რუსთავი 2-მა“, თუმცა „მოამბეში“ იყო ისეთი სიუჟეტებიც, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდებოდა პარიზში მომხდარ ტერაქტს და ეხებოდა ზოგადად ტერორიზმის საკითხებს, უსაფრთხოებას. თანმიმდევრობის მიხედვით, პირველი - 4 სიუჟეტი პარიზის ტერაქტს 39 შემთხვევაში მიეძღვნა, რომელთაგან 34 სიუჟეტი ტერორისტული აქტის მოწყობიდან ერთი კვირის განმავლობაში გავიდა ეთერში. შესაბამისად, დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ტერაქტები მედიაში აქცენტირებულია ტერორისტული აქტის მოწყობიდან რამდენიმე დღის განმავლობაში.

2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარ ტერაქტს ფართო გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის მედიასაშუალებებისგან. საფრანგეთის დედაქალაქში განვითარებულ მოვლენებზე დღის გამოშვებებში არაერთი მასალა გავიდა. 14 ნოემბერს, ტერაქტებიდან მეორე დღეს, 21:00 საათზე „კურიერის“ გამოშვება საფრანგეთის ჰიმნით დაიწყო, გარდა ამისა, „რუსთავი 2-ის“ შენობა სოლიდარობის ნიშნად საფრანგეთის დროშის ფერებში განათდა. მედიასაშუალებებმა ტერაქტის მასშტაბურობის გამო პარალელი აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარ ტერორისტულ აქტთან გაავლეს, ჟურნალისტების მხრიდან ისმოდა ფრაზა 13/11.

ქართულ სატელევიზიო მედიას სურდა, აღეწერა პარიზში მომხდარი ტერაქტების სიმძაფრე და ტრაგიზმი. მათ მიერ ისმოდა ტერმინები „ტრაგედია“, „საზარელი“, „შემზარავი“. მედიის ჩარჩოს გასაგებად საინტერესოა, ქართულ სატელევიზიო მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებული სიტყვების რაოდენობის განსაზღვრა.

ორივე საინფორმაციო გამოშვების ყველაზე მეტ მასალაში სიტყვა - „ტერაქტი“ გამოიყენეს. მის შემდეგ 21:00 საათიან „კურიერის“ ყველაზე მეტ სიუჟეტში ტერმინი „ტერორისტი“ ახსენეს, ხოლო „მოამბის“ ყველაზე მეტ მასალაში სიტყვა „ტერაქტის“ შემდეგ - „ისლამური სახელმწიფო“. ქართული სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გამოიყენებოდა ტერმინები „ტერორისტი“, „ისლამისტი“, შედარებით იშვიათად - „თავდამსხმელი“. Reuters („როიტერი“) ტერმინთა განმარტებების მიხედვით, როდესაც რესპონდენტის ციტატაში სიტყვა „ტერორისტია“ ნახსენებია, ჟურნალისტმა ის არ უნდა შეცვალოს, თავად რეპორტიორი კი ამ ტერმინის გამოყენებას უნდა მოერიდოს. ჟურნალისტების მხრიდან „ტერორისტის“ გამოყენებაზე BBC-ც (ბიბისი) წერს. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ შესაძლოა, „ტერორისტის“ გამოყენებამ საზოგადოება დააბნიოს და ამიტომ უმჯობესია ის სხვა სიტყვით ჩანაცვლდეს, მაგალითად, თავდამსხმელით. კვლევის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ ქართული სატელევიზიო მედია საკმაოდ ხშირად იყენებს „ტერორისტს“ და ძალიან იშვიათად თავდამსხმელს (იხ. ცხრილი N5).

ცხრილი N5. პარიზის ტერაქტთან დაკავშირებული ტერმინები სატელევიზიო მედიაში

ტერმინები	რუსთავი 2	„პირველი არხი“	ჯამი(ანალიზის ერთეული - სიუჟეტი 72)
ტერაქტი	25	36	61
ტერორისტი	22	19	41
ტერორისტული აქტი	9	17	26
ტერორიზმი	18	19	37
თავდასხმა	14	13	27
თავდამსხმელი	4	4	8
ისლამური სახელმწიფო	14	23	37
აფეთქება	11	9	20
ტრაგედია	9	10	19
საფრთხე	17	19	36
უსაფრთხოება	17	27	39
ისლამისტი	5	7	12
ჯიჰადისტი	1	6	7
ISIS	10	10	20
ბოროტება	3	0	3
პანკისი	3	2	5
ბოევიკი	2	0	2

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს, თუ როგორ ახსენებს მედია ტერაქტში ეჭვმიტანილებს. კვლევის შედეგად საინტერესო დასკვნა გაკეთდა, ერთსა და იმავე

სიუჟეტში ერთი და იგივე პიროვნება მედიაში ნახსენებია როგორც ეჭვმიტანილი და როგორც ტერაქტების ორგანიზატორი. შეიძლება ითქვას, რომ ეს მედიის ეთიკის სტანდარტებს ეწინააღმდეგება. აუცილებელია მედიამ ერთმანეთისგან გამიჯნოს ტერორისტულ აქტებში შესაძლო მონაწილე და მონაწილე, ამ შემთხვევაში ჟურნალისტი ოფიციალურ წყაროს უნდა დაეყრდნოს.ორივე ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში პარიზში მომხდარი თავდასხმების ერთ-ერთი ორგანიზატორის, სალაჰ აბდესლამისა და აბდელ ჰამიდ აბაუდის სახელებმა არაერთხელ გაიჟღერა (იხ. ცხრილი N6).

ცხრილი N6. პარიზის ტერაქტის ორგანიზატორთა მოხსენიება სატელევიზიო მედიაში

ანალიზის ერთეული - ჟურნალისტური მასალა	„რუსთავი 2“	„საზოგადოებრივი“	ჯამი
სალაჰ აბდესლამი	7	3	10
აბდელ ჰამიდ აბაუდი	3	2	5

ცხრილი N5-დანაც იკვეთება, რომ ქართულმა სატელევიზიო მედიამ რამდენიმე ფრეიმს ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმო, მათ შორის იყო ტერორისტებისა და ტერორისტული დაჯგუფება ე.წ. ,,ისლამურ სახელმწიფოზე‘‘ ინფორმაციის მიწოდებას. ცალკე სიუჟეტები მიეძღვნა დაჯგუფების ისტორიას, მის მიერ ჩადენილი ქმედებების აღწერას. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი‘‘. პარიზის ტერაქტიდან მეორე დღესვე 06:04 წუთიანი სიუჟეტი მიეძღვნა ISIS-ის მიზნების განსაზღვრას, ასევე რა საფრთხე ემუქრება მსოფლიოსა და საშიშროების წინაშე დგას თუ არა საქართველო. ,,მოამბის‘‘ წამყვანი ხაზს უსვამს ,,ისლამური სახელმწიფოს‘‘ სისასტიკესა და ამავე დროს სიძლიერეს. ,,ე.წ. ,,ისლამური სახელმწიფო‘‘ - ამ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე სასტიკი, საშიში, ამავდროულად გავლენიანი და

მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია. რა მიზნები აქვს ISIS-ს, რომელიც სირიასა და ერაყში 100 ათას მებრძოლს აერთიანებს და სუნიტი მუსლიმების გარდა, არავის ინდობს“,- ამბობს ტელეწამყვანი. სიუჟეტში მოთხრობილია ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ისტორია, მოცემულია ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლების კადრები, მათი ქმედებები, რომელიც ბრძოლის გარდა, ხალხის დაშინებას, მუქარას მოიცავს. კადრებში ჩანს დაზარალებული მოქალაქეების სახეებიც, რაც საკმაოდ ემოციური და გულისამაჩუყებელი უნდა იყოს მაყურებლისთვის.

„მოამებში“ ტერაქტი დეტალურად ექვს სიუჟეტში აღიწერა, რაც საინფორმაციო გამოშვებაში ტერორისტული აქტების შესახებ მომზადებული მასალების 14.3%-ია, ტერაქტის დეტალური აღწერა „კურიერის“ ხუთ სიუჟეტში დაფიქსირდა (16.7%), საერთო ჯამში კი ტერორისტული თავდასხმა დეტალურად აღიწერა საერთო მასალების 15.3%-ში, რაც სხვა შესწავლილი ტერაქტების გაშუქებასთან შედარებით, არც თუ ისე დიდი პროცენტული მაჩვენებელია. გაცილებით ნაკლები ყურადღება დაუთმო სატელევიზიო მედიის მთავარმა საინფორმაციო გამოშვებებმა ტერორისტული აქტის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობის დასახელებას. აღნიშნულის შესახებ შესწავლილი მასალების მხოლოდ 6.9% დაფიქსირდა (სულ: 5 სიუჟეტი).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პარიზში მომხდარი ტერაქტის ქართულ სატელევიზიო მედიაში გაშუქებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრეიმი იყო ტერორიზმის, როგორც მსოფლიოს გამოწვევისა და საფრთხის აღნიშვნა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება (45.8%) (იხ. ცხრილი N7).

ცხრილიN7: ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი სატელევიზიო მედიაში პარიზში მომხდარ ტერაქტის გაშუქებისას

ტერორიზმთან ბრძოლა	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობა	33	45.8	45.8

2 არ გამოვლინდა	39	54.2	54.2
ჯამი	72	100.0	100.0

უსაფრთხოების ზომების გამკაცრებაზე საუბარს სატელევიზიო მედიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო (იხ. ცხრილი N8). თითქმის, თანაბრად იყო აქცენტირებული ევრპაში თუ უშუალოდ საფრანგეთში უსაფრთხოების დონის საკითხი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში უსაფრთხოების ზომების გამკაცრებაზე ძირითადად, ყურადღება „მოამბემ“ გაამახვილა, „კურიერში“ აღნიშნული საკითხი მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა.

ცხრილიN8: პარიზის ტერაქტის შემდეგ უსაფრთხოების ზომების გამკაცრების შესახებ მასალები სატელევიზიო მედიაში

უსაფრთხოების გამკაცრება	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 უსაფრთხოების გამკაცრება საფრანგეთში	13	18.1	18.1
2 უსაფრთხოების გამკაცრება ევროპაში	15	20.8	20.8
3 უსაფრთხოების გამკაცრება საქართველოში	12	16.7	16.7
4 არ დაფიქსირდა	32	44.4	44.4
ჯამი	72	100.0	100.0

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესწავლილი მასალების 11.1%-ში ევროპა აღიქმებოდა, როგორც საფრთხის მატარებელი, არცერთ სიუჟეტში არ აღინიშნა, რომ ევროპა კვლავ უსაფრთხოების გარანტად რჩება. შესწავლილი მასალების 5.55%-ში ხაზი გაესვა, რომ ტერორისტული აქტი ევროპაში მოხდა, დანარჩენ მასალებში კი აღნიშნული არ გამოვლენილა.

საინტერესოა, როგორ გაშუქდა ქართულ მედიაში რუსეთის ფაქტორი. სამ მასალაში პირდაპირ ითქვა, რომ რუსეთიდან საფრთხე მომდინარეობს, რაც საქართველოსთვის სერიოზული პრობლემაა, ვინაიდან ის ასადის რეჟიმის

მხარდამჭერია და მას არა უშუალოდ საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტი, არამედ ზოგადად, ტერაქტებით ხელის მოთბობა შეუძლია.

კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ტერორიზმის გაშუქებისას უსაფრთხოების საკითხად მიგრაცია წამოიჭრა. ეს ორი თემა შესწავლილი მასალებიდან 11-ში (15.3%) გამოიკვეთა. ეს რაოდენობა დიდი არ არის, თუმცა აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების სხვა საკითხები, პრაქტიკულად, არ განხილულა. მხოლოდ ორ მასალაში გამახვილდა ყურადღება ტრეფიკინგზე, რაც ასევე ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. შვიდ მასალაში ლტოლვილების ევროპაში შეყვანა პირდაპირ იყო დაკავშირებული ტერორისტულ აქტთან, ორ სიუჟეტში კი ხაზი გაესვა, რომ მიგრანტთა რიცხვის ზრდა ტერორიზმის საფრთხის გაზრდას არ გულისხმობს. ორ მასალაში კი გამოითქვა მოსაზრება, რომ მიგრაცია უნდა გაკონტროლდეს, რათა გარკვეული რისკები თავიდან იქნას აცილებული.

ცალკე უნდა გამოვყოთ საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის ქართულ მედიაში გაშუქებისას საქართველოს მოხსენიება. პარიზში განხორციელებული ტერორისტული აქტის გაშუქებისას სატელევიზიო მედიაში საქართველო 56 სიუჟეტში (77.8%) ახსენეს. ბეჭდური მედიისგან განსხვავებით, სატელევიზიო მედიაში პირდაპირ ნაკლებად იყო აღნიშნული, რომ ჩვენს ქვეყანაში ტერორიზმის საფრთხეა, აღნიშნული მხოლოდ ხუთ სიუჟეტში დაფიქსირდა. საქართველო ძირითადად ნახსენები იყო სოლიდარობის გამოხატვის კონტექსტში, ასევე საფრთხეების პრევენციისა თუ, პირიქით, არსებული პრობლემის კუთხით. ასევე შეფასებული იყო ხელისუფლების რეაგირება ქვეყანაში უსაფრთხოების დონის გასაზრდელად გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით (იხ. ცხრილი N9).

ტელევიზიების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საქართველოში არსებულ ან მოსალოდნელ საფრთხეებზე ყურადღებაა გამახვილებული. ძირითადად, ჟურნალისტი ეძებს კითხვაზე პასუხს, დგას თუ არა საქართველო ტერორიზმის საფრთხის წინაშე.

ექსპერტები ხაზს უსვამდნენ ჩვენს ქვეყანაში მოსალოდნელ საფრთხეზე, ოპოზიცია კი უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსების გაზრდას ითხოვდა, ხელისუფლება კი აღნიშნავდა, რომ უსაფრთხოების ზომები საქართველოში კიდევ უფრო გამკაცრდა.

ცხრილიN9: პარიზის ტერაქტის გაშუქებისას საქართველოს მოხსენიება ქართულ სატელევიზიო მედიაში

საქართველოს მოხსენიება	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ტერორიზმის საფრთხის მაღალი დონე	6	8.3	8.3
2 ტერორიზმის საფრთხის დაბალი დონე	2	2.8	2.8
3 უსაფრთხოების გამკაცრება	12	16.7	16.7
4 ტერორიზმის პრევენცია	6	8.3	8.3
5 საქართველოს მიმართ მუქარის ვიდეოები	4	5.55	5.55
6 უვიზო რეჟიმზე გავლენა	2	2.8	2.8
7 ხელისუფლების რეაგირება	10	13.9	13.9
8სირიაში საბრძოლველად წასვლა	4	5.55	5.55
9 სოლიდარობის გამოხატვა	10	13.9	13.9
10 არ გამოვლინდა	16	22.2	22.2
ჯამი	72	100.0	100.0

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერორიზმის პრევენციისა და უსაფრთხოების დონის გაზრდისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ქართულ სატელევიზიო მედიაში, ძირითადად, უარყოფითად არის შეფასებული. დადებითი შეფასება დაფიქსირდა მხოლოდ ერთხელ, „მოამბეში“, უარყოფითად შეფასდა ექვს სიუჟეტში, ხოლო სამ მასალაში აღინიშნა, რომ სახელმწიფომ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთოს ქვეყანაში უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

როგორ აშუქებდა ქართული სატელევიზიო მედია ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ ვიდეომიმართვებს? საქართველოს მიმართ გავრცელებული ვიდეომიმართვა სატელევიზიო მედიის ოთხ სიუჟეტში გაშუქდა,

ყოველ მათგანში მხოლოდ ინფორმაცია იყო გადმოცემული, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან სატელევიზიო მედია არ მიეხმარა ტერორისტებს ამოცანების შესრულებაში. მაგალითად, ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა'' ყურადღება გაამახვილა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს სახელით გამოქვეყნებულ ვიდეომიმართვაზე, რომელშიც საქართველოს ემუქრებოდნენ. 24 ნოემბრის სიუჟეტში მოცემულია იმ ახალგაზრდების ოჯახის წევრების კომენტარები, რომლებიც მუქარის შემცველ ვიდეომიმართვაში ფიგურირებენ.

ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მიერ გავრცელებული ის ვიდეომიმართვები, რომლის ადრესატიც საქართველო არ ყოფილა, „მოამბისა" და „კურიერის" 11 მასალაში გაშუქდა, 7 მათგანში ვიდეოს შესახებ მხოლოდ ინფორმაცია იყო მიწოდებული და ახლდა კადრები, დანარჩენ შემთხვევაში კი ისმოდა ტერორისტების ხმაც და, შესაბამისად, მუქარაც. მაგალითად, ,,კურიერის'' სიუჟეტში გახმოვანებულია ტერორისტის მუქარა: ,,ღმერთის ნებით, როგორც საფრანგეთს დავარტყით, ვფიცავ, რომ დავარტყამთ ამერიკას, ვაშინგტონში, ცენტრში. ვეუბნები ევროპულ ქვეყნებს, რომ მოვდივართ ბომბებით, ფეთქებადი ქამრებით და ჩვენი შეჩერება არავის შეეძლება. ჩვენ დღეს უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე ადრე''. გამოდის, რომ მედიამ წყაროდ ტერორისტები გამოიყენა და მათი ნააზრევიც გააშუქა.

პარიზის ტერაქტიდან მე-5 დღეს, 17 ნოემბერს ,,მოამბის'' შეკითხვებს პირდაპირ ეთერში ერუდიციის ცენტრ "სოფიქსის" დირექტორმა, გიორგი გოგელიამ უპასუხა. გოგელიას თქმით, ნებისმიერი ტერორისტული აქტი რეზონანსს იწვევს. ტერორისტების ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია ტერორისტული აქტის ჩადენის, მათ მიერ განხორციელებული ძალადობის რეზონანსია. ,,მთავარი მოტივაციაა, რომ კარგ რეკლამას იღებენ. მე-20 და 21-ე საუკუნეები, შეიძლება ითქვას, რომ არის ტერორიზმის გამოყენების ყველაზე ეფექტური პერიოდი უკანასკნელ 2000 წელიწადში'',- აღნიშნა გიორგი გოგელიამ. ამ შეფასებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ მედიის მეშვეობით ტერორისტებმა შესაძლოა, თავიანთ მიზნებს მიაღწიონ - მათ მირ ჩადენილ

ტერაქტს ფართო გამოხმაურება მოჰყვეს და საზოგადოება დააშინონ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ ადამიანებს ინფორმაციის მიღება სჭირდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკუუმში მოექცევიან. ამიტომ მედიამ ბალანსი უნდა შეინარჩუნოს. ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ვიზუალურ კადრებს, მუქარის შემცველ ვიდეომიმართვებზე რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება უნდა გამახვილდეს, უმჯობესია ის მხოლოდ ინფორმაციის სახით გაჟღერდეს.

ქართულ სატელევიზიო მედიაში აქცენტირებული იყო 13 ნოემბრის ტერაქტზე მსოფლიო ლიდერების შეფასება, რომლებიც გმობდნენ ძალადობას და სოლიდარობას უცხადებდნენ საფრანგეთს, გარდა ამისა, აღნიშნავდნენ, რომ ტერორიზმს ერთობლივი ძალებით უნდა დაუპირისპირდნენ. ორივე ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ხაზია გასმული საფრანგეთის პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის, (2015) განცხადებას, რომელმაც ტერორისტული აქტის შეფასებისას სიტყვა „ომი“ გამოიყენა (იხ. გრაფიკა N3).



კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართულ სატელევიზიო მედიაში მნიშვნელოვანი საკითხები იყო ტერორიზმთან ბრძოლა, ტერორისტებისა და ტერორისტული დაჯგუფებების შესახებ ინფორმაციის გადმოცემა, მიგრაცია და ასევე საქართველოს მოხსენიება.

3.2. 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში

პარიზის ტერაქტის გაშუქებას 2015 წლის 13-დან 26 ნოემბრამდე დავაკვირდით ექვს ქართულ ბეჭდურ მედიაში. ესენია: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის ქრონიკა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“ და „პრაიმ ტაიმი“. საფრანგეთში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს 6-მა გაზეთმა ორი კვირის განმავლობაში 131 მასალა მიუძღვნა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამმა გაზეთმა,

„ახალმა თაობამ“, „რეზონანსმა“ და „საქართველო და მსოფლიომ“, თითქმის, თანაბარი რაოდენობის პუბლიკაციები დაბეჭდეს, თუმცა ტერაქტს მათგან ყველაზე მეტი მასალა „ახალმა თაობამ“ მიუძღვნა (იხ. დიაგრამა 1, სადაც პროცენტები დამრგვალებულია).



პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ მომზადებული მასალის ტიპები ბეჭდურ მედიაში შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი N10):

ცხრილი N10: პარიზში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული მასალის ტიპები ბეჭდურ მედიაში

მასალის ტიპები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	33	25.2	25.2
2 სტატია	65	49.6	49.6
3 ინტერვიუ	28	21.4	21.4
4 თვალსაზრისი	3	2.3	2.3
5 სხვა	2	1.5	1.5
ჯამი	131	100.0	100.0

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბეჭდურ მედიაში ყველაზე ხშირად სტატიის ტიპი დაიბეჭდა, გარდა ამისა 2 შემთხვევაში გამოვიყენეთ კატეგორია - „სხვა“, რაც

გულისხმობდა სამძიმრის განცხადებასა და წერილს. საფრანგეთის დედაქალაქში მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ მომზადებულ მასალებში იშვიათად იყო გამოყენებული თვალსაზრისის ტიპი.

პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ მომზადებული მასალის ტიპები ცალკეულ გაზეთებში შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. გრაფიკა N4):



გრაფიკა N4. პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი მასალის ტიპები გაზეთებში

გრაფიკა N4-დან ირკვევა, რომ სტატიის ტიპი ყველაზე ხშირად „რეზონანსმა“ გამოიყენა, ყველაზე იშვიათად კი „პრაიმ ტაიმმა“.

პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ ბეჭდურ მედიაში 62 პუბლიკაცია პირველ-4 გვერდზე დაიბეჭდა, მათგან 42 - ტერაქტის მოწყობიდან პირველივე კვირას. ზოგადად, ტერორისტული აქტიდან ერთი კვირის განმავლობაში 72 მასალა გამოქვეყნდა, რაც საერთო რაოდენობის 54.9%-ია, შესაბამისად, დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ტერაქტის პირველ დღეებში მედია უფრო ინტენსიურად აშუქებს ტერორიზმის საკითხებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2015 წლის 13 ნოემბრიდან 2 კვირის განმავლობაში აქცენტირებული ფრეიმებია საქართველოსთან პარალელის გავლება,

ევროპის უსაფრთხოების საკითხი, ტერორიზმის როგორც გამოწვევის აღნიშვნა და მასთან ბრძოლა.

პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართულ ბეჭდურ მედიაში აქტიურად განიხილებოდა ევროპის უსაფრთხოების საკითხი. პრესაში ყურადღება გამახვილდა, რომ ტერორისტული აქტი ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ქვეყანაში მოხდა, შესაბამისად, დანარჩენი მსოფლიო კიდევ უფრო დაუცველია. ზოგიერთ შემთხვევაში ცალსახად იყო გამოკვეთიილი, რომ ევროპა უსაფრთხოების გარანტი აღარ არის (იხ. გრაფიკა N5). გაზეთ „საქართველოსა და მსოფლიოს“ სტატიაში აღნიშნულია, რომ „ევროპა სიტყვის თავისუფლების სახელით ნახევარ მსოფლიოს შეურაცხყოფს“. ასევე ნათქვამია, რომ ევროპა საქართველოს ტერორიზმის საფრთხისგან ვერ დაიცავს. „ეს ბოდიში და უნიფხვო ლიბერასტები დახვდებიან ჩვენს ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით მომავალ ჯიჰადს?“. ან მაგალითად, 2015 წლის 16 ნოემბერს გამოცემულ „კვირის ქრონიკის“ (N46) მე-9 გვერდზე ვკითხულობთ: „ჩვენ ამ ვიზალიბერალიზაციას რომ გვპირდებიან, სად მივდივართ ამ ვიზებით, ევროპაში, სადაც შეიძლება ყოველ წუთში ბომბი აფეთქდეს?“. აშკარაა, რომ ანტიდასავლური მესიჯები გამოიკვეთა, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ტერაქტებს ზოგიერთი მედია ანტიდასავლური მეიჯების გასავრცელებლად იყენებს.



გრაფიკა N5. ბეჭდური მედიის მასალებში გამოკვეთილი ფრეიმები ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებით - რაოდენობრივი მაჩვენებელი

ძალიან მნიშვნელოვანია დასავლეთის სხვა ფაქტორზე საუბარი. ამ ფრეიმს კოდირების სახელმძღვანელოში ცალკე განყოფილება დავუთმეთ. პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი მასალების 7.6%-ში დასავლეთი, ევროპა უარყოფით კონტექსტში მოიხსენიეს. ერთი შეხედვით, ეს მაჩვენებელი პროცენტულად, დაბალია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ევროპა და დასავლეთი დადებით კონტექსტში არ ყოფილა მოხსენიებული, ეს შეიძლება უკვე დიდ რაოდენობად ჩავთვალოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება „საქართველო და მსოფლიოში“, „კვირის ქრონიკაში“ გამოვლინდა, შესაბამისად, ამას მთლიანად პრესაზე ვერ განვაზოგადებთ. მაგალითად, 2015 წლის 18-24 ნოემბერს დაბეჭდილ „საქართველო და მსოფლიოში“, გამოცემის ნომრით 42(324, გვ.6) ავტორი დავით მხეიძე წერს: „პარიზის ტერაქტი ევროკავშირის სხვა ქვეყნების ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური, კონსერვატიული ძალების გაძლიერებასაც გამოიწვევს და ვინ იცის, ბებერ ევროპას იქნებ გაახსენდეს, რომ ნამდვილი ევროპული ღირებულებები ქრისტიანულ მორალზე აღმოცენებული კულტურა და ტრადიციული ცხოვრების წესია და არა ლგბტ-პედერასტია. ჰოდა, გაუმარჯოს ასეთ ევროპას!“ (მხეიძე, 2015. გვ.6).

შეიძლება ითქვას, რომ ბეჭდური მედიის ნაწილი პარიზის ტერაქტის გაშუქებას ანტიდასავლური პროპაგანდისთვის იყენებდა, რაც სერიოზული პრობლემაა.

პარიზში მომხდარი ტერაქტის შესახებ დაბეჭდილ მასალებში საქართველოსთან პარალელებიც გავლებულია. მთლიანობაში საქართველო ნახსენებია 95 პუბლიკაციაში, რაც შესწავლილი მასალების 72.5%-ია. 14 მასალაში პირდაპირ აღინიშნა, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც ტერორიზმის საფრთხეა. ასევე, ბეჭდურ მედიაში დაფიქსირდა ისიც, რომ ამ ეტაპზე არ იკვეთება ტერორისტული აქტების საფრთხე, თუმცა არაფერია გამორიცხული, ხოლო 7 მასალაში გამოიკვეთა, რომ ჩვენი ქვეყანა დიდი საფრთხის მატარებელი არ არის. სტატიებში ასევე საქართველო ნახსენები იყო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა (იხ. ცხრილი N11).

ცხრილი N11: პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას საქართველოსთან პარალელის გავლება ქართულ ბეჭდურ მედიაში

საქართველოსთან პარალელი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 საქართველოში დიდი საფრთხე არ არის	7	5.3	5.3
2 საქართველოში ტერორიზმის საფრთხეა	14	10.7	10.7
3 არაფერია გამორიცხული	18	13.7	13.7
4 სატრანზიტო ქვეყანა	10	7.6	7.6
5 სირიაში ახალგაზრდების წასვლა	17	13	13
6 ხელისუფლების ქმედებები	12	9.2	9.2
7 საქართველოს მიმართ მუქარის ვიდეოები	17	13	12.2
8 არ გამოვლინდა	36	27.5	27.5
ჯამი	131	100.0	100.0

ცალკე კატეგორიებში გვაქვს გამოყოფილი ხელისუფლების ქმედებების შეფასება, საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი ვიდეოების გავრცელება და სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლა.



გრაფიკა N6-დან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლების რეაგირების შეფასებას არც თუ ისე დიდი ყურადღება დაეთმო. თუმცა აღსანიშნავია, რომ დადებით შეფასებასთან შედარებით უარყოფითი უფრო მეტია, გარდა ამისა, ცალკე გამოვყავით შეფასება - მეტი უნდა გაკეთდეს, რადგან იყო შემთხვევები, როცა საქართველოს ხელისუფლება არ იყო გაკრიტიკებული, თუმცა აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფომ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანაში უსაფრთხოების დონის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.

ცხრილიN12: პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქების დროს საქართველოს მისამართით გავრცელებული ვიდეომიმართვები ბეჭდურ მედიაში

ვიდეომიმართვები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 მხოლოდ ინფორმაცია	12	9.2	9.2
2 სრული ტექსტი	3	2.3	2.3
3 ნაწილობრივ ტექსტი	2	1.5	1.5
4 არ დაიბეჭდა	114	87	87
ჯამი	131	100.0	100.0

ცხრილი N12-ის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მისამართით გავრცელებული ვიდეომიმართვები ბეჭდურ მედიაშიც მოხვდა. ძირითადად, მოცემული იყო თამაზ ჭალაღიძის მიერ გავრცელებული ვიდეომიმართვის შესახებ ინფორმაცია. მუქარის შემცველი მიმართვების შესახებ უმეტესად მხოლოდ ინფორმაცია იყო გადმოცემული, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში მიმართვის სრული ტექსტიც დაფიქსირდა. სწორედ აქ იკვეთება საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებთან შეუსაბამობა. მუქარის შემცველი ტექსტების სრულად დაბეჭდვამ შესაძლოა, საზოგადოებაში შიში დაამკვიდროს, რაც ტერორისტების მიზანია. მედია კი მათ მიზნების შესრულებაში არ უნდა დაეხმაროს.

ბეჭდურ მედიაში პარიზის ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი მასალების 35.1%-ში (47 პუბლიკაცია) მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ტერორიზმი საერთაშორისო საფრთხე და გამოწვევაა, რაც სხვა ფრეიმებთან შედარებით დიდი რაოდენობაა. 20.6%-ში (27 მასალა) კი ტერორიზმთან ბრძოლაზე გამახვილდა ყურადღება.

2015 წელს საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტის გაშუქებისას ბეჭდურმა მედიამ 9 პუბლიკაციაში ე.წ. ისლამურ სახელმწიფოზე დეტალური ინფორმაციის მიწოდებაზე გაამახვილა ყურადღება. პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა ტერორისტული დაჯგუფების ისტორია, საუბარი იყო მის სიძლიერეზე, სისასტიკეზე, ISIS-ის ლიდერებზე. 11 სტატიაში დაიბეჭდა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მუქარის შემცველი მიმართვების შესახებ. აღსანიშნავია ის, რომ თუკი საქართველოს მიმართ გავრცელებული მუქარის შესახებ მედიაში მხოლოდ ინფორმაცია შუქდებოდა, ISIS-ის მიმართვების შემთხვევაში, სრული ტექსტი იბეჭდებოდა.

შესწავლილი სხვა გაზეთებისგან განსხვავებით, „საქართველო და მსოფლიოში“ აღნიშნული იყო, რომ „შარლი ებდოს“ მიერ კარიკატურების გამოქვეყნების შემდეგ, რასაც ტერორისტული აქტი მოჰყვა, ევროპამ ბოდიშის მოხდის ნაცვლად, გამოხატვის თავისუფლების დაცვა დაიწყო, რის შემდეგაც უკვე 13 ნოემბერსაც მოხდა თავდასხმა. „ა.წ. იანვარში ალაჰის მოციქულ მუჰამედზე უხამსი კარიკატურების ავტორი „შარლი

ებდოს“ რედაქცია დახვრიტეს, რასაც ევროპამ იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადათ ისლამური სამყაროსთვის, აქაოდა, ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას ვერავინ დაგვიშლისო, ევროკავშირის სახელმწიფოთა ლიდერებმა, ფრანსუა ოლანდისა და ანგელა მერკელის მეთაურობით, ელისეს მინდვრები დემონსტრაციულად ჩაიარეს სკანდირებით - „მე შარლი ვარ“... პარიზის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო“ (მხეიძე, 2015, „საქართველო და მსოფლიო, N42(324), გვ. 6). „საქართველო და მსოფლიოში“ ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტი უბრალოდ ტერორისტული აქტი არ იყო, ეს იყო ცივილიზებულ სამყაროსა და ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს შორის დაწყებული ომი.



გრაფიკა N7. უსაფრთხოების გამკაცრების შესახებ დაბეჭდილი მასალები ბეჭდურ მედიაში

გრაფიკა N7-დან იკვეთება, რომ საფრანგეთში, ევროპასა და საქართველოში უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მნიშვნელობის შესახებ ბეჭდურ მედიაში, თითქმის, თანაბრად დაიწერა.

პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქების შესწავლისას გამოიკვეთა მიგრაციასთან დაკავშირებული კონტექსტი. ბეჭდური მედია გარკვეულ შემთხვევებში საფრანგეთში მომხდარ ტერორისტულ აქტს მიგრანტების ქვეყანაში შესვლას უკავშირდება. საგაზეთო

პუბლიკაციებში გაკრიტიკებული იყო საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება მიგრანტების ქვეყანაში მიღებასთან დაკავშირებით.



გრაფიკა N8. მიგრაცია და პარიზის ტერაქტი ბეჭდურ მედიაში

როგორც გრაფიკა N8-დან ირკვევა, ბეჭდურ მედიაში მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა, რომ მიგრანტების რიცხვის ზრდა საფრთხე არ არის. დანარჩენ შემთხვევებში, როცა კი ბეჭდურ მედიაში მიგრაცია იყო ნახსენები, ლტოლვილების რიცხვის ზრდა დაუკავშირეს ტერაქტს, ან ითქვა, რომ მიგრანტების რიცხვის ზრდა საფრთხეა. ამ მოსაზრებამ შესაძლოა, მიგრანტების მიმართ უარყოფითი განწყობისა და ნეგატიური სტერეოტიპების გაჩენას შეუწყოს ხელი. ზოგიერთ სტატიაში ნაჩვენები იყო თუ რა პრობლემებს იწვევს ამა თუ იმ ქვეყანაში დევნილების შესახლება.

„საქართველო და მსოფლიოს“ 2015 წლის 25 ნოემბერს გამოცემულ გაზეთში ნომრით 43(325) დაიბეჭდა სტატია, რომლის წყარო იყო cont.ws, სახელწოდებით „გერმანიიდან მოქალაქეებს მუნიციპალური სახლებიდან აძევებენ, რათა დევნილები შეასახლონ“. პუბლიკაციაში ეს მოვლენა „წარმოუდგენლად და ამაზრზენად“ შეფასდა. სტატიას თან ახლდა პარიზის ეიფელის კოშკი ჰიჯაბებით შემოსილი ადამიანების

ფონზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტატია დევნილების, მიგრანტების მიმართ ნეგატიური განწყობების შექმნას უწყობს ხელს.

ტერაქტის შედეგებზე საუბარს მედიამ სხვა ტერორისტული აქტებისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლები ყურადღება დაუთმო. მხოლოდ შვიდ მასალაში გადმოიცა ინფორმაცია პარიზში მომხდარი ტერაქტის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია. ასევე ტერორისტული აქტის დეტალური აღწერა მხოლოდ 5 სტატიაში დაფიქსირდა, რაც ბეჭდური მედიისთვის დაბალი მაჩვენებელია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ტერაქტების გაშუქებისას მედია ძირითადად ამ საკითხებს უთმობდა ყურადღებას. ამასთან ერთად, პარიზში მომხდარი ტერაქტის დაგეგმვის შესაძლო ვერსიების განხილვაზე ქართულმა ბეჭდურმა მედიამ ყურადღება არ გაამახვილა.

ბეჭდურმა მედიამ პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ყველაზე ხშირად წყაროდ ქართველი ექსპერტები გამოიყენა, ასევე, წყაროები იყვნენ საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, უცხოური მედია, საერთაშორისო საზოგადოება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მედიის წყარო ტერორისტებიც იყვნენ. ეს მუქარის შემცველი მიმართვების გაშუქებისას დაფიქსირდა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მედიამ ხელი შეუწყო ტერორისტების პოპულარიზაციას, გაზეთებში დაფიქსირდა მათი შეხედულება და პოზიცია (იხ. გრაფიკა N9).



პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ბეჭდური მედიის ყველაზე მეტ მასალაში ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული სიტყვებიდან „ისლამური სახელმწიფო“, „ტერაქტი“, „ტერორიზმი“ ჭარბობდა. აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ყველაზე მეტ პუბლიკაციაში ტერმინი ე.წ. ისლამური სახელმწიფო გამოიყენეს, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ტერორიზმი და უსაფრთხოება ხშირად იყო ნახსენები (იხ. ცხრილი N13). ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბეჭდურმა მედიამ საფრანგეთის დედაქალაქში მომხდარ ტერორისტულ აქტზე კი არ გაამახვილა მხოლოდ ყურადღება, არამედ საკითხზე უფრო გლობალურად იმსჯელა. ბეჭდური მედიის მასალაში დაიბეჭდა სიტყვები - „ისლამისტიც“, „ბოევიკი“, „ტერორისტი“, თუმცა ძალიან იშვიათად „თავდამსხმელი“, რაც BBC-ის რეკომენდაციების მიხედვით, არ არის მისასალმებელი.

ტერორიზმთან დაკავშირებული ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით კვლევის ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა. დადგინდა, რომ 2015 წელს ბეჭდური მედიის მეტ მასალაში ჭარბობს სიტყვები: „ტერაქტი“, „ტერორისტი“,

„ტერორიზმი“ და ამას დაემატა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“, რაც ჰიპოთეზის მიხედვით, არ იყო ნავარაუდევი.

ცხრილი N13. პარიზში მომხდარი ტერაქტისას გამოყენებული ტერმინები ბეჭდურ მედიაში

ანალიზის ერთეული - მასალა (სულ 131)	ახალი თაობა	რეზონანსი	პრაიმ ტაიმი	საქართველოს რესპუბლიკა	საქართველო და მსოფლიო	კვირის ქრონიკა	ჯამი
ტერაქტი	10	24	3	6	11	5	59
ტერორისტული აქტი	8	11	2	6	7	5	39
ტერორიზმი	13	16	4	7	8	4	52
ისლამური სახელმწიფო	21	26	2	12	19	4	84
ტერორისტი	17	23	3	8	11	4	66
ბოევიკი	2	3	1	2	6	2	14
ისლამისტი	5	7	1	4	6	1	24
საფრთხე	13	17	2	8	6	4	50
უსაფრთხოება	15	16	3	5	6	3	49
ტრაგედია	2	4	2	3	4	5	20
ჯიჰადისტი	0	6	0	4	0	2	12
ISIS	7	12	0	4	1	3	27
თავდასხმა	1	10	2	4	4	3	24
თავდამსხმელი	1	1	0	0	0	1	3
აფეთქება	2	5	1	1	4	2	15
პანკისი	6	9	2	6		1	24

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის ბეჭდურ მედიაში გაშუქებისას მნიშვნელოვანი საკითხი იყო ევროპის დაუცველობაზე ხაზგასმა,

მიგრაციის თემა, საქართველოსთან პარალელის გავლება და ე.წ. „ისლამურ სახელმწიფო“.

3.3. საქართველოდან ახალგაზრდების სირიაში საბრძოლველად წასვლის შესახებ ინფორმაციის სატელევიზიო მედიაში გაშუქება

2015 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში „რუსთავი 2-ისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესახებ 39 მასალა გავიდა. კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, სირიაში ახალგაზრდების გადინებაზე ორივე მედიასაშუალებამ, თითქმის, თანაბარი რაოდენობის მასალები მოამზადა, თუმცა „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საომრად ახალგაზრდების წასვლის შესახებ შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობის მასალა გავიდა, ვიდრე საზოგადოებრივმა მაუწყებელზე (იხ. დიაგრამა N2, სადაც % დამრგვალებულია).



დიაგრამა N2. სირიაში წასვლის შესახებ მასალების %რაოდენობა ტელემედიაში (დამრგვალებული %)

კვლევის შედეგის მიხედვით, სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის გაშუქებისას სატელევიზიო მედია ყველაზე ხშირად სიუჟეტის ტიპს იყენებდა, იშვიათად კი ახალ ამბავს. ეს მისასალმებელია, რადგან მედია ცდილობდა, პრობლემის ჩვენებას და მხოლოდ მშრალი ინფორმაციის მიწოდებით არ იყო შემოფარგლული (იხ. ცხრილი N14).

ცხრილი N14: სირიაში საბრძოლველად წასვლის შესახებ მომზადებული მასალის ტიპები სატელევიზიო მედიაში

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	4	10.2	10.2
2 სიუჟეტი	29	74.4	74.4
3 ინტერვიუ	3	7.7	7.7
4 Live ჩართვა	3	7.7	7.7
ჯამი	39	100.0	100.0

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პანკისის ხეობიდან და ასევე სხვა რეგიონებიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესახებ ორივე ტელევიზიამ, თითქმის, ერთნაირი ტიპის მასალები მოამზადა (იხ. გრაფიკა N10).



სატელევიზიო მედიის მთავარ გამოშვებებში პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის შესახებ მომზადებული მასალები, საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან პირველ ოთხ სიუჟეტად, 20-ჯერ გავიდა, რაც ამ თემაზე გაშუქებული რეპორტაჟების 51.3%-ია, ანუ ნახევარზე მეტი. სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლა საკვლევ პერიოდში ქართული მედიისთვის აქტუალური იყო. კერძოდ, „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესახებ მასალები 9 შემთხვევაში იყო საინფორმაციო გამოშვების პირველ ოთხ სიუჟეტში, ესეც ძირითადად, აპრილის თვეში, როცა 2 ახალგაზრდა - რამზან ბაღაკაშვილი და მუსლიმ კუშტანაშვილი სირიაში საბრძოლველად გაემგზავრნენ და ამის დამადასტურებელი ფოტოც გაავრცელეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში კი სამი თვის განმავლობაში სირიაში საომრად წასვლის შესახებ მასალები პირველ 4 სიუჟეტში 11-ჯერ მოხვდა.

სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სირიაში ახალგაზრდების საომრად გადინების შესახებ მომზადებული მასალების 79.5%-ში (31 სიუჟეტი) ნათლად აღინიშნა, რომ პანკისის ხეობიდან და ასევე სხვა რეგიონებიდან მოსახლეობის წასვლა სერიოზული პრობლემაა, დანარჩენ შემთხვევაში კი დაფიქსირებული იყო მხოლოდ ფაქტი, რომ ახალგაზრდები წავიდნენ სირიაში, ან „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ იყო მომზადებული მასალა. ფრეიმზე, რომ პანკისიდან საომრად გადინება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია პრობლემაა, მედიამ ყველაზე მეტად გაამახვილა ყურადღება. მხოლოდ ორი პანკისელი ამბობდა, რომ სირიაში ახალგაზრდების წასვლა ქვეყნისთვის არ არის საფრთხე და „ისლამური სახელმწიფო“ არ არის ტერორისტული ორგანიზაცია. ეს შეიძლება გამონაკლისად ჩავთვალოთ, ვინაიდან დანარჩენ ყველა შემთხვევაში ISIS-ის რიგებში საქართველოს მოქალაქეების ყოფნა დიდ პრობლემად იყო შეფასებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულმა სატელევიზიო მედიამ ყველაზე მეტ სიუჟეტში წყაროდ პანკისის ხეობის მცხოვრებლები გამოიყენა (იხ. გრაფიკა N12).

„რუსთავი 2-ისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ყურადღება იყო გამახვილებული ფრეიმზე, რომ მე–10 და მე–11 კლასელების, რამზან ბაღაკაშვილისა და მუსლიმ კუშტანაშვილის, საბრძოლველად მომზადებას და ქვეყნიდან გაყვანას გარკვეული ჯგუფები ორგანიზებას უწევდნენ. პანკისელებისა და ასევე ექსპერტების აზრით, სკოლის მოსწავლეები საზღვარს დამოუკიდებლად ვერ გადაკვეთდნენ. პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის შესახებ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალების 51.3% (20 სიუჟეტი) აღინიშნა, რომ სირიაში მოსახლეობის წასვლას გარკვეული ჯგუფები ხელს უწყობენ. „რუსთავი 2-ის“ ეთერში კი სამ სიუჟეტში კი გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ეს ჯგუფები ვაჰაბიტებით იყვნენ დაკომპლექტებულნი, რაც თავად ბრალდებების ადრესატებმა იმავე სიუჟეტებში უარყვეს.

სატელევიზიო მედიაში კიდევ ერთი აქტუალური საკითხი იყო არასრულწლოვნის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადალახვა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გადმოცემული იყო 14 მასალაში, რაც საერთო რაოდენობის 35.9%-ია. მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ნაჩვენები იყო, რომ საქართველოს საზღვარი სათანადოდ არ კონტროლდება.

ბეჭდური მედიისგან განსხვავებით, ტელევიზიების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში იშვიათად იყო ნახსენები, რომ სირიაში საბრძოლველად არა მხოლოდ პანკისიდან, არამედ აჭარიდან და ქვემო ქართლიდანაც მიდიან. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ხუთ სიუჟეტში დაფიქსირდა (12.9%), ისიც ექსპერტების მხრიდან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სატელევიზიო მედიისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდების პანკისიდან გადინების თემა, ვიდრე სხვა რეგიონებიდან.

ხელისუფლების რეაგირების შეფასებას სატელევიზიო მედიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო, ამ კუთხით აქტიური „რუსთავი 2“ იყო, სადაც უმეტესად პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესაჩერებლად ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები უარყოფითად იყო შეფასებული (იხ.

გრაფიკა N11). საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტებში ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ხელისუფლების უმოქმედობაზე, მასალებში უფრო მეტად ხაზია გასმული, რომ პანკისიდან სირიაში მოქალაქეების გადინების შეჩერება მთავრობამ, ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ.



გრაფიკა N11. სირიაში წასვლასთან დაკავშირებით ხელისუფლების რეაგირება TV მედიაში - რაოდენობრივი მონაცემები

პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესახებ სატელევიზიო მედიაში გამოყენებული ტერმინებითა და კონტექსტით ნათლად გამოჩნდა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ყურადღება გამახვილებულია ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოზე“ (იხ. ცხრილი N15). 10 მასალაში კი აღინიშნა, რომ თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ შიშანი, რომელსაც „ჟღალ გენერალს“ უწოდებდნენ, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაური იყო. ამ 10 სიუჟეტის 80% საზოგადოებრივ მაუწყებელზე მოდიოდა.

ცხრილი N15. სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდების გადინების შესახებ TV მედიაში გამოყენებული ტერმინები (ანალიზის ერთეული - სატელევიზიო მასალა)

ტერმინები, ფრეიმები	„რუსთავი 2“	„პირველი არხი“	ჯამი
პანკისი	17	16	33
ისლამური სახელმწიფო	8	19	27
ISIS	3	3	6
ტერორიზმი	1	3	4
ტერაქტი	2	3	5
ტერორისტი	2	5	7
ისლამისტი	2	3	5
საფრთხე	9	9	18
უსაფრთხოება	3	1	4
ტრაგედია	1	1	2
ტერორისტული აქტი	0	2	2
თავდასხმა	0	2	2
თავდამსხმელი	0	1	1
ჯიჰადისტი	0	6	6

საზოგადოებრივი მაუწყებლის შვიდ მასალაში დეტალურად იყო აღწერილი ინფორმაცია ISIS-ის სიძლიერისა და სისასტიკის შესახებ, ასევე ჟურნალისტების მხრიდან ისმოდა სიტყვები „ნომერ პირველი ტერორისტული ორგანიზაცია“. „რუსთავი 2-ზე“ კი ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ისტორიისა და მიზნების შესახებ მხოლოდ ერთ სიუჟეტში იყო მოთხრობილი, რაც დადებითი ფაქტია, რადგან ხშირად აპელირებამ, რომ ISIS ძლევამოსილი ტერორისტული დაჯგუფებაა, შესაძლოა, შიშიც და ამავე დროს მის მიმართ ახალგაზრდების დაინტერესება გამოიწვიოს, ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია იმ ფონზე, როცა მედიაში არაერთხელ აღინიშნა, რომ პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდები იდეოლოგიის გამო მიდიან.

პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების გადინების მიზეზების ძიებას სატელევიზიო მედიამ გარკვეული ყურადღება დაუთმო. შესწავლილი მასალებიდან ზოგიერთში აღინიშნა, რომ სირიაში იდეოლოგიის გამო მიდიან, ასევე ნათქვამი იყო, რომ თარხან ბათირაშვილის პიროვნება ახალგაზრდებზე გავლენას ახდენს, ოთხ მასალაში კი ფინანსურ დაინტერესებაზე იყო საუბარი, სიუჟეტებში ასევე გამოიკვეთა, რომ პანკისის ხეობაში უმუშევრობის პრობლემაა, რამაც შესაძლოა სირიაში ახალგაზრდების გადინებას ხელი შეუწყოს. ბეჭდური მედიისგან განსხვავებით, სატელევიზიო მედიაში მასალების მხოლოდ 5.1%-ში აღინიშნა, რომ პანკისში განათლების დონე დაბალია და ამ პრობლემაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი N16).

ცხრილი N16: სირიაში საბრძოლველად წასვლის მიზეზები სატელევიზიო მედიაში

სირიაში წასვლის მიზეზები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 იდეოლოგია	7	17.9	17.9
2 თარხან ბათირაშვილის გავლენა	4	15.6	15.6
3 ფინანსური დაინტერესება	4	10.2	10.2
4 უმუშევრობა, სოციალური პრობლემეი	6	10.2	10.2
განათლების ნაკლებობა	2	5.1	5.1
არ გამოვლინდა	16	41	41
ჯამი	39	100.0	100.0

ორივე მედიას რესპონდენტებად ძირითადად, პანკისის ხეობის მცხოვრებლები, ხეობიდან სირიაში წასული ახალგაზრდების ოჯახის წევრები, ექსპერტები და პოლიტიკოსები ჰყავს. რესპონდენტებს შორის იყვნენ ვაჰაბიტები პანკისის ხეობიდან, რომლებიც გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს, ისინი ხელს უწყობენ ხეობიდან სირიაში საომრად ახალგაზრდების წასვლას, კატეგორიულად უარყოფდნენ. უნდა ითქვას, რომ „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში წყაროთა ბალანსი დაცული იყო. სიუჟეტებში წარმოჩენილი იყო პანკისის ხეობის

უხუცესთა საბჭოს შეხედულება, ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლების აზრი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელთან, მექა ხანგოშვილთან, პირდაპირ ეთერში ინტერვიუც გავიდა (იხ. გრაფიკა N12).



გრაფიკა N12. სირიაში ახალგაზრდების გადინების შესახებ სატელევიზიო მედიაში გამოყენებული წყაროები

კვლევის ფარგლებში სამი თვის განმავლობაში ორი ტელევიზიის მთავარ საინფორმaციო გამოშვებებში შესწავლილი მასალების 17.9%-ში (შვიდი სიუჟეტი) რუსეთის ფაქტორზე გამახვილდა ყურადღება. სამ სიუჟეტში ნაჩვენები იყო, რომ პანკისის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლა რუსეთისთვის სარგებლის მომტანია და მას ეს აწყობს, 4 მასალაში კი გამოიკვეთა, რომ რუსეთს საქართველოში დაძაბულობის შემოტანა და დესტაბილიზაცია სურს.

მიგრაციის კონტექსტი მხოლოდ სამ მასალაში წამოიჭრა, ისიც სირიელი ლტოლვილების საქართველოში შემოყვანას გულისხმობდა. მედიასაშუალებებში პოზიტიურად იყო შეფასებული მათი ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა.

პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციას ბეჭდურ მედიასთან შედარებით, სატელევიზიო მედიამ ნაკლები ყურადღება დაუთმო. ეს საკითხი მხოლოდ სამ სიუჟეტში ახსენეს და ისიც შეფასების გარეშე, ნეიტრალურ კონტექსტში.

ბეჭდური მედიისგან განსხვავებით, საკვლევი პერიოდის ფარგლებში, საერთოდ არ გაშუქებულა საქართველოს მიმართ გავრცელებული ვიდეომიმართვები, ხოლო „ისლამური სახელმწიფოს“ გზავნილი კი, რომლის ადრესატიც ერთ შემთხვევაში რუსეთი, ერთხელ კი მსოფლიო იყო, ორ სიუჟეტში გაჟღერდა. კადრებთან ერთად, გახმოვანებული იყო ტერორისტების ხმაც. შესაბამისად, ჟურნალისტებმა წყაროდ თავდამსხმელები გამოიყენეს. მიმართვების გარდა, ორჯერ სატელევიზიო მედიამ წყაროდ ტერორისტები კიდევ გამოიყენა, როდესაც მათ განცხადებები გაავრცელეს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სატელევიზიო მედიაში აღინიშნა, რომ საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების გადინება ქვეყნისთვის პრობლემა და საფრთხეა, მედიამ ყურადღება გაამახვილა პანკისიდან სირიაში წასვლის მიზეზებზე, სატელევიზიო მედიაში ასევე აქცენტირებული იყო საქართველოს საზღვრის უკონტროლობა. „მოამბესა“ და „კურიერში“ უმნიშვნელო იყო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი.

3.4. საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში (2015 წლის აპრილი, მაისი, ივნისი)

2015 წლის სამი თვის, აპრილის, მაისისა და ივნისის განმავლობაში 6 ქართულ ბეჭდურ მედიაში: „პრაიმ ტაიმი“, „კვირის ქრონიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ახალი თაობა“, საქართველოდან სირიაში საბრძოლველად წასვლაზე 57 მასალა დაიბეჭდა. მათგან ყველაზე მეტი პუბლიკაცია, 24 - „ახალ თაობაში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“ – 10, „რეზონანსში“ –

11, „საქართველო და მსოფლიოში“ – 4, „კვირის ქრონიკაში“ – 1, „პრაიმ ტაიმში“ – 7 (იხ. დიაგრამა N3, სადაც % დამრგვალებულია).



რაოდენობრივი მონაცემების სრულყოფილად გაანალიზებისთვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, გამოგვეკვლია პანკისიდან და ასევე სხვა რეგიონებიდან ახალგაზრდების სირიაში საომრად წასვლის შესახებ ქართულ ბეჭდურ მედიაში რა ტიპის, ჟანრის მასალები დაიბეჭდა. 57 მასალიდან 29 ინტერვიუ იყო, რაც საერთო რაოდენობის 50.49%-ია, თითქმის, ნახევარი (იხ. დიაგრამა N4).



მასალის ტიპებს თითოეული გაზეთის მიხედვით ცალკე ცხრილი დავუთმეთ. მასში მოცემულია 6 შესწავლილ გაზეთში დაბეჭდილი მასალის რაოდენობა, რომლიდანაც გამოიკვეთა, რომ ინტერვიუს მეთოდი ყველაზე ხშირად, 15-ჯერ „ახალმა თაობამ“ გამოიყენა, „კვირის ქრონიკაში“ კი პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საომრად წასვლის გაშუქებისას იტერვიუ საერთოდ არ დაიბეჭდა (იხ. გრაფიკა N13).



ბეჭდური მედიის შინაარსობრივ ნაწილს რაც შეეება, 57 პუბლიკაციიდან 42-ში (73.7%) გამოკვეთილი იყო, რომ სირიაში ახალგაზრდების საქართველოდან, ძირითადად კი პანკისის ხეობიდან წასვლა - მნიშვნელოვანი პრობლემაა. სამ მასალაში გამოვლინდა, რომ ახალგაზრდების საომრად წასვლა არც თუ ისე დიდი პრობლემა და საფრთხეა ქვეყნისთვის. დანარჩენ მასალებში კი აღნიშნული იყო თავად ფაქტი, რომ პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდები წავიდნენ, თუმცა საფრთხეებსა და გამოწვევებზე არ გამახვილებულა ყურადღება. პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესახებ ქართულ მედიაში აქცენტირებული საკითხია სირიაში მოქალაქეების გადინებაში პრობლემის დანახვა (იხ. დიაგრამა N5). რესპონდენტებთან ერთად, ჟურნალისტებიც აღნიშნავდნენ, რომ სირიაში ახალგაზრდების წასვლა საფრთხის შემცველია.



საკვლევ პერიოდში ომალოს სკოლის მოსწავლეები, 18 წლის რამზან ბაღაკაშვილი, რომელიც მე–11 კლასში სწავლობდა და მე-10 კლასის მოსწავლე, 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილი, სირიაში წავიდნენ. სწორედ ამ დროიდან აქტიურდება მედია და აშუქებს პანკისში განვითარებულ მოვლენებს. შესწავლილი სამი თვის განმავლობაში მედია სირიაში ახალგაზრდების გადინების შესახებ ყველაზე მეტად დაინტერესდა აპრილის დასაწყისსა და ივნისის ბოლოს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ასევე განპირობებულია 24 ივნისს ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციითაც.

აღსანიშნავია, რომ საგაზეთო მასალებში პანკისიდან სირიაში წასული ახალგაზრდების სხვადასხვა რიცხვია დასახელებული. რესპონდენტები, მათ შორის პანკისელი ადგილობრივები განსხვავებულ მონაცემებზე საუბრობდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში ეს იყო 50, ან უფრო ნაკლები, ან 100 და უფრო მეტი.

არასრულწლოვნის მიერ, რომელიც სირიაში საბრძოლველად გაემგზავრა, საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადალახვა ბეჭდური მედიისთვის განსაკუთრებით საყურადღებო გახდა. აღნიშნულზე აქცენტი 24 მასალაში დაისვა, რაც საერთო რაოდენობის ნახევარს ცოტათი ჩამორჩება. საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების

გადინების შესახებ ბეჭდურ მედიაში ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ საქართველოს საზღვარი არასრულწლოვანმა გადაკვეთა, შესაბამისად, ორი პრობლემა გამოიკვეთა: პირველი - სირიაში ახალგაზრდები საომრად მიდიან და მეორე - საზღვარი სათანადოდ არ კონტროლდება.

პრესაში მნიშვნელოვანი საკითხი იყო სირიაში ახალგაზრდების წასვლის მიზეზების ძიება. ამ შემთხვევაში, რამდენიმე ფაქტორი გამოიკვეთა. შესწავლილი მასალებიდან 18-ში აღნიშნული იყო, რომ პანკისიდან სირიაში მოქალაქეების წასვლის ძირითადი მიზეზი იდეოლოგიაა და მხოლოდ 5 პუბლიკაციაში გამოიკვეთა, რომ საომრად სირიაში ახალგაზრდები ფინანსური დაინტერესების გამო მიდიან. იდეოლოგიაზე საუბრისას მნიშვნელოვანია თარხან ბათირაშვილის, იგივე ომარ ალ შიშანის ხსენება. პრესაში გამოიკვეთა, რომ პანკისის ხეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ ლიდერს (2015) გარკვეული გავლენა ჰქონდა ხეობაში და ახალგაზრდები მისი იდეის მიმდევრები იყვნენ. ბათირაშვილი როგორც ISIS-ის ერთ-ერთი ლიდერი ნახსენები იყო 14 პუბლიკაციაში, ხოლო პანკისში მის გავლენასა და როლზე კი 15 სტატიაში დაიწერა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მედიამ ტერორისტების პოპულარიზაციას ხელი არ უნდა შეუწყოს.

ქართულმა ბეჭდურმა მედიამ გარკვეული ყურადღება დაუთმო პანკისის ხეობაში განათლების დაბალი დონის, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემის გამოკვეთას. აღნიშნულის შესახებ 11 სტატიაში დაიწერა, რაც საერთო რაოდენობის 19.3%-ია. იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ეს ფაქტორი ხელს უწყობს ახალგაზრდებზე ზემოქმედების მოხდენას და მათ გადაბირებას, არც თუ ისე დიდი ყურადღება დაუთმო ბეჭდურმა მედიამ. ეს საკითხი არ გაანალიზებულა. მასზე ძირითადად ექსპერტები და ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი, მექა ხანგოშვილი საუბრობდა. საინტერესო იქნებოდა რეპორტაჟების მომზადება პანკისიდან. ხეობის მკვიდრთა დამოკიდებულების გაგება (იხ. გრაფიკა N14).



მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდურ მედიაში ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მაშინდელ ერთ-ერთ ლიდერზე ინფორმაცია იბეჭდებოდა, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ISIS-ის ისტორიასთან დაკავშირებით მხოლოდ ხუთი მასალა დაიბეჭდა, რაც შეიძლება დადებით ფაქტად შეფასდეს, რადგან ე.წ. ისლამური სახელმწიფო აქტუალიზებული არ არის. ის მოხსენიებული იყო როგორც ტერორისტული დაჯგუფება, თუმცა სხვა ცნობები არ დაბეჭდილა.

2015 წლის სამი თვის განმავლობაში დაბეჭდილ სტატიებში აღნიშნული იყო, რომ სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდები პანკისის ხეობიდან მიდიან, აქვე, 16 მასალაში გამოიკვეთა, რომ სირიაში საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც მიდიან, მათ შორისაა აჭარა, ქვემო ქართლი, თუმცა ექსპერტები ნათლად მიუთითებდნენ, რომ საომრად წასვლის პრობლემა ძირითადად პანკისიდან იკვეთება. ფაქტია, რომ იმ დროისთვის ეს გამოწვევა ნამდვილად იყო, თუმცა 4 მასალაში ხეობა ტერორიზმთან უშუალოდ კავშირში წარმოჩინდა. ამან კი შესაძლოა პრობლემა კიდევ უფრო გაამძაფროს.

პანკისიდან სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდების წასვლასთან დაკავშირებით ბეჭდურ მედიაში უსაფრთხოების საკითხი გამოიკვეთა - ქვეყანაში

რელიგიური დაპირისპირების საფრთხე. აღნიშნული პრობლემის შესახებ შვიდ პუბლიკაციაში დაიბეჭდა. რაც საერთო მასალის 12.3%-ია, რაც არც თუ ისე დიდი მაჩვენებელია იმის სათქმელად, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულად პრობლემური იყო.

კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ ექვსჯერ დაიწერა, მათგან სამ შემთხვევაში ის დადებითად შეფასდა, სამ პუბლიკაციაში კი ნეიტრალურად, მხოლოდ ფაქტი აღინიშნა.

პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების გადინებისა და მიგრაციის თემები ერთმანეთთან ბეჭდური მედიის ცხრა მასალაში დაკავშირდა. მათგან ერთ სტატიაში აღინიშნა, რომ ლტოლვილებისა და ოსების ემიგრაციის შედეგად ვაინახების დიდი ჯგუფია ხეობაში, შვიდ მასალაში სირიელი ლტოლვილების მიღებაზე იყო საუბარი, ხოლო ერთ პუბლიკაციაში დაიწერა მხოლოდ, რომ მოქალაქეობის მინიჭება საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის.

2015 წლის სამი თვის განმავლობაში დაბეჭდილი 57 მასალიდან მხოლოდ 3 მათგანში გამოიკვეთა რუსეთის ფაქტორი. თუმცა სამივე მათგანში დაიწერა, რომ პანკისის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების გადინება რუსეთისთვის სარგებლის მომტანია და მას ეს აწყობს. მხოლოდ ერთ სტატიაში დაიბეჭდა დასავლეთის ფაქტორის შესახებ და აღინინშა, რომ პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლა დასავლეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ბრალია, ანუ გამოიკვეთა ანტიდასავლური რიტორიკა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ხელისუფლების რეაგირებაზე ყურადღება გამახვილებულია 19 სტატიაში, რაც საერთო რაოდენობის 33.3%-ია. ბეჭდურ მედიაში უფრო მეტად აქცენტირებულია ხელისუფლების წარმომადგენელთა რეაგირების უარყოფითი შეფასება, რაც სირიაში ახალგაზრდების გადინებაზე ძირითადად, დაგვიანებულ რეაქციას გულისხმობდა. 4 სტატიაში შეფასდა ყოფილი ხელისუფლების დამოკიდებულება პანკისში არსებულ სიტუაციაზე (იხ. გრაფიკა N15).



გრაფიკა N15. ხელისუფლების რეაგირების შეფასება ბეჭდურ მედიაში

კვლევის ერთი კითხვა მედიაში ტერმინების გამოყენების შესწავლას ეთმობა. უნდა აღინიშნოს, რომ პანკისიდან და ასევე სხვა რეგიონებიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლასთან დაკავშირებით მედიამ უფრო ხშირად სხვა ტერმინები გამოიყენა, ვიდრე რომელიმე შესწავლილი ტერორისტული აქტის გაშუქებისას. ყველაზე მეტ მასალაში სიტყვა - პანკისი გამოიყენეს (იხ. ცხრილი N17). ტერმინების დათვლის შემთხვევაში ანალიზის ერთეული ჟურნალისტური მასალა იყო. 6-ვე მედიასაშუალების მასალების საერთო რაოდენობა 57 იყო. შესაბამისად, მასალების 85.9%-ში ტერმინი „პანკისი“ გამოიყენეს დანარჩენში კი არა, ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ კი - 73.7%, საფრთხე - 50.9%. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბეჭდურ მედიაში პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას უფრო მეტ მასალაში გამოიყენეს სიტყვა „ისლამისტი“, ვიდრე „ტერორისტი“. დანარჩენი სიტყვების რაოდენობა შედარებით მცირე იყო, ასევე, თითქმის, არ დაფიქსირებულა ის ტერმინები, რომლებიც ტერაქტების გაშუქების შესწავლისას გვქონდა მოცემული, ამიტომ ცხრილში არ არის წარმოდგენილი.

ცხრილი N17. სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდების გადინების შესახებ ბეჭდურ მედიაში გამოყენებული ტერმინები

ტერმინები, ფრეიმები	ახალი თაობა	რეზონანსი	პრაიმ ტაიმი	საქართველოს რესპუბლიკა	საქართველო და მსოფლიო	კვირის ქრონიკა	ჯამი (სულ:57)
პანკისი	21	8	7	8	4	1	49
ისლამური სახელმწიფო	18	6	5	10	3	0	42
ტერორიზმი	11	5	0	5	2	0	23
ტერაქტი	5	3	1	0	0	1	10
ტერორისტი	4	3	3	5	0	1	11
ბოევიკი	2	2	1	1	2	0	8
ისლამისტი	7	3	2	6	0	1	19
საფრთხე	14	4	4	4	2	1	29
უსაფრთხოება	4	1	3	3	2	1	14
ტრაგედია	2	1	1	0	0	0	4
ტერორისტული აქტი	2	2	1	4	1	0	10
ჯიჰადისტი	0	0	0	4	0	0	4
ISIS	7	4	2	3	1	0	17

მნიშვნელოვანია, გაგვერკვია თუ რა წყაროები გამოიყენა ქართულმა ბეჭდურმა მედიამ პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაშუქებისას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ შემთხვევაში ბეჭდური მედიის რესპონდენტები ძირითადად ექსპერტები იყვნენ (იხ. გრაფიკა N16).



გრაფიკა N16. სირიაში ახალგაზრდების გადინების შესახებ ბეჭდურ მედიაში გამოყენებული წყაროები

კვლევის მიხედვით, დადგინდა, რომ ბეჭდური მედიისთვის მნიშვნელოვანი იყო პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის მიზეზების ძიება. ასევე, მედიამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს საზღვრის დაუცველობაზე.

3.5. ჟურნალ „შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერაქტის ქართულ სატელევიზიო მედიაში გაშუქება

ჟურნალ „შარლი ებდოზე“ განხორციელებულ ტერაქტს, რომელსაც კიდევ მოჰყვა თავდასხმები და მძევლების აყვანა, მსოფლიო მედიისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით მოექცა. ჟურნალზე თავდასხმა მსოფლიო ლიდერებმა და საზოგადოებამ აღიქვა არა მხოლოდ უბრალოდ ერთ ტრაგედიად და ტერაქტად, არამედ როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე შეტევა, რასაც მათი განსაკუთრებული პროტესტი მოჰყვა.

აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებამდე მედიამ მიიტანა. საქართველოში „რუსთავი 2-ისა“ და ასევე „პირველი არხის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვებების შესწავლით დადგინდება, როგორ გააშუქა ქართულმა სატელევიზიო მედიამ „შარლი ებდოზე“ განხორციელებული თავდასხმა, რა ფრეიმები გამოიყენა.

ჟურნალ „შარლი ებდოზე“ 2015 წლის 7 იანვარს თავდასხმა განხორციელდა, რომლის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, ჟურნალის რედაქტორი, კარიკატურისტები და პოლიციელიც. „შარლი ებდოს“ მთავარი რედაქტორი სტეფან შარბონიე, იგივე „შარბი“, ტერაქტამდე ტერორისტული დაჯგუფება „ალ ქაიდას“ მთავარი სამიზნეების სიაში იყო შეყვანილი.

მომდევნო დღეს ფრანგი პოლიციელი ქალი სროლებს ემსხვერპლა, 4 ადამიანი, რომელიც 9 იანვარს მძევლად აიყვანეს, სუპერმარკეტზე შტურმის დროს დაიღუპა. პარიზის მოვლენებს ჯამში 17 ადამიანი ემსხვერპლა.

ჟურნალ "შარლი ებდოზე" მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობა დაადასტურა "ალ ქაიდამ" და საფრანგეთს ტერაქტების გაგრძელებით დაემუქრა.

ჟურნალი „შარლი ებდო“ ცნობილია თავისი სკანდალური კარიკატურებით, მათ შორის წინასწარმეტყველ მუჰამედზე. როგორც გაირკვა, 2015 წლის 7 იანვარს სატირულ ჟურნალზე განხორციელებული თავდასხმა სწორედ კარიკატურას უკავშირდებოდა. მიუხედავად ტერაქტისა და მუქარისა, რომ საფრანგეთი ტერაქტის მსხვერპლი კიდევ გახდებოდა, იმავე წლის 14 იანვარს, თავდასხმიდან ზუსტად 1 კვირაში„ შარლი ებდომ“ 5 მილიონიანი ტირაჟით ახალი ნომერი გამოსცა, რომელიც 6 ენაზე დაიბეჭდა. ჟურნალი წინასწარმეტყველ მუჰამედის ფოტოთი ახალი პროტესტის მიზეზი გახდა. ისლამურმა ორგანიზაციებმა, ასევე ირანის ხელისუფლებამ ფაქტი დაგმეს, თუმცა აუცილებელია ითქვას, რომ პარალელურად, საფრანგეთში, ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მხარდამჭერი აქციები იმართებოდა. აქციის

მონაწილეები ლოზუნგით „მე შარლი ვარ“ ჟურნალს სოლიდარობას უცხადებდნენ. 2015 წლის 11 მაისს საფრანგეთში სოლიდარობის მარში გაიმართა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შეუერთდნენ.

2015 წლის 7-21 იანვარს „რუსთავი 2-ისა“ და „პირველი არხის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში 46 მასალა გავიდა, რომელთაგან 19 – „რუსთავი 2-ზე“, 27 კი - საზოგადოებრივ მაუწყებელზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ორივე ტელეარხის დღის გამოშვებებში ასევე აქტიურად შუქდებოდა საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტი. 11 მაისს პარიზში გამართულ ფართომასშტაბიანი სოლიდარობის მარშის პირდაპირი ტრანსლაცია გადაიცემოდა, „კურიერი“ საფრანგეთიდან სპეციალური ფორმატით და ეთერით გავიდა, წამყვანებმა პარიზიდან წაიყვანეს „კურიერი“. ორივე ტელეარხის ჟურნალისტები პირდაპირი ჩართვის დროს ემბლემით, ან ტრაფარეტით „JE SUISE CHARLIE“ სოლიდარობას უცხადებდნენ ფრანგულ სატირულ გამოცემას.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ქართული მედიის მიერ გამოხატულ თანაგრძნობას ფრანგული სატირული ჟურნალისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიმართ. ისევე როგორც, თითქმის, მთელი მსოფლიო საფრანგეთის მხარდასაჭერად გაერთიანდა, ასევე იდეოლოგიურად ერთიანი იყო ქართული სატელევიზიო მედია.

მიუხედავად დიდი სოლიდარობისა, იყო „შარლი ებდოს“ მიმართ პროტესტი. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ნათქვამი იყო, რომ ტერაქტის შემდეგ ერთ კვირაში ახალი ნომრის გამოცემა იერუსალიმში გააპროტესტეს. აქცია საქართველოშიც გაიმართა. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ „მოამბეში“ საუბარი იყო, რომ სოფელ დუისში მცხოვრებმა მუსლიმებმა წინასწარმეტყველი მუჰამედის ის კარიკატურა გააპროტესტეს, რომელიც ფრანგულ

სატირულ ჟურნალ „შარლი ებდოს“ რედაქციამ 7 იანვარს მომხდარი ტერაქტის შემდეგ გამოსული ნომრის გარეკანზე დაბეჭდა.

აქციაზე შეკრებილები მსგავს კარიკატურებს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად აფასებდნენ, თუმცა ტერორიზმსაც მკაცრად გმობდნენ.

პანკისის ხეობასთან ერთად, აქციები გაგრძელდა გროზნოშიც, სადაც, დუისისგან გასხვავებით, ფრანგულ ჟურნალზე მომხდარი თავდასხმა, გარკვეულწილად, გაამართლეს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სატელევიზიო მედია ტერაქტზე ინფორმაციის მიწოდებისას იყენებდა როგორც სიუჟეტის ტიპს, ასევე პირდაპირ ჩართვას, სიუჟეტსა და ჩართვას ერთად და ახალ ამბავსაც, იშვიათად ინტერვიუს ჟანრსაც (იხ. ცხრილი N18).

ცხრილი N18: „შარლი ებდოზე“ მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული მასალის ტიპები სატელევიზიო მედიაში

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	11	23.9	23.9
2 სიუჟეტი	21	45.7	45.7
3 ინტერვიუ	3	6.5	6.5
4 სიუჟეტი+ჩართვა	7	15.2	15.2
5 პირდაპირი ჩართვა	4	8.7	8.7
ჯამი	46	100.0	100.0

ცხრილი N17-დან ნათლად ჩანს, რომ „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სტატიის ტიპი ჭარბობს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში უფრო მეტი ახალი ამბისა და სიუჟეტთან ერთად პირდაპირი ჩართვის ტიპი გავიდა, ვიდრე „რუსთავი 2-ის“ ეთერში (იხ. გრაფიკა N17).



გრაფიკა N17. "შარლი ებდოზე" მომხდარი ტერაქტის შესახებ მასალის ტიპები TV-ის მიხედვით - რაოდენობრივი მაჩვენებელი

ქართულ სატელევიზიო მედიაში ჟურნალ „შარლი ებდოზე“ განხორციელებული თავდასხმის გაშუქებისას ძირითადი ფრეიმია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე შეტევა და მისი დაცვა. ასევე ყურადღება გამახვილებულია ტერაქტში ეჭვმიტანილების დადგენასა და ლიკვიდაციის ოპერაციაზე. აღნიშნული საკითხი უფრო მეტად საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაშუქდა. სატელევიზიო მედიაში ცალსახად იყო გამოხატული, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა უმნიშვნელოვანესია. „რუსთავი 2-ის“ ეთერში მუდმივად ისმოდა მოსაზრება, რომ დაუშვებელია თავისუფლებაზე შეტევა (იხ. ცხრილი N19).

ცხრილი N19: „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტისა და ჟურნალის მიერ გამოქვეყნებული კარიკატურების კავშირი სატელევიზიო მედიაში

ტერაქტისა და კარიკატურების კავშირი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 „შარლი ებდოს“ კარიკატურები შეურაცხმყოფელია	6	13	13
2 სიტყვის თავისუფლების დაცვა მნიშვნელოვანია	17	37	37

3 კარიკატურებისა და ტერაქტის უბრალოდ დაკავშირება	9	19.6	19.6
5 არ დაფიქსირდა	14	30.4	36.1
ჯამი	46	100.0	100.0

ტერაქტის აღსაწერად ქართულ სატელევიზიო მედიაში ჟურნალისტები იყენებდნენ ტერმინებს - შემზარავი, საზარელი, ტრაგედია. ამ შემთხვევაში საინტერესოა რეინოლდსისა და ბარნეტის მიერ (2003) ჩატარებული მედია კვლევის შედეგის გაანალიზება, რომლის მიხედვით, ახალ ამბებში ტერორისტული შეტაკებები ზოგჯერ ნახსენები იყო, როგორც ომი, ჟურნალისტები კი მაზე საუბრისას იყენებდნენ ტერმინებს „შემაძრწუნებელი“, „დაუჯერებელი“. ავტორების რეკომენდაციებით, მედიამ ტერორისტული აქტები ოპერატიულად უნდა გააშუქოს, ოღონდ ჟურნალისტებმა შეფასებებისგან თავი უნდა შეიკავონ.

სატირულ ჟურნალზე მომხდარი ტერაქტის აღწერისას სატელევიზიო მედიის ყველაზე მეტ მასალაში დაფიქსირდა სიტყვა - „თავდასხმა“. აუცილებელია ამ ფაქტს ხაზი გავუსვათ, რადგან სხვა ტერორისტული აქტების გაშუქებისას ქართული მედია, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, იყენებს ტერმინს - „ტერაქტი“. ქართულ სატელევიზიო მედიაში „შარლი ებდოზე“ მომხდარი თავდასხმის გაშუქებისას ასევე დაფიქსირდა ტერმინები: ტერორიზმი, ტერორისტი. ალექსანდრ სპენსერმა 2001-2005 წლებში ბრიტანული გამოცემა The SUN-ში დაბეჭდილ სტატიებში ტერორიზმთან და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით გამოყენებული მეტაფორები გამოიკვლია. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ტერორიზმი ძირითადად 4 მეტაფორითაა წარმოდგენილი: ომი, დანაშაული, არაცივილური ბოროტება და ავადმყოფობა, ხოლო ანტიტერორიზმი კი გაიგივებულია სამხედრო პასუხისმგებლობასთან, კანონის ზომებთან (Spencer, 2012). ქართულ სატელევიზიო მედიაში ტერორიზმთან დაკავშირებული მეტაფორები ნაკლებად გამოიყენება, უფრო ჭარბობს თავად ტერმინები „ტერორიზმი“, „ტერაქტი“, „საფრთხე“, „ტერორისტი“, თუმცა ასევე გაიჟღერა სიტყვამ „ბოროტება“ (იხ. ცხრილი N20).

ცხრილი N20. „შარლი ებდოზე“ მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებული ტერმინები ქართულ ტელემედიაში (რაოდენობრივი მონაცემები. ანალიზის ერთეული - ჟურნალისტური მასალა).

ტერმინები	„რუსთავი 2“	„საზოგადოებრივი“	ჯამი - მასალა (სულ:46)
ტერაქტი	14	16	30
ტერორისტი	10	18	28
ტერორისტული აქტი	7	10	17
თავდასხმა	14	21	35
თავდამსხმელი	5	9	14
„ისლამური სახელმწიფო“	2	6	8
ტერორიზმი	10	19	29
აფეთქება	3	2	5
ტრაგედია	8	10	18
საფრთხე	6	11	17
უსაფრთხოება	8	11	19
ისლამისტი	2	5	7
ჯიჰადისტი	1	2	3
ISIS	1		1
ალ ქაიდა	4	5	9
პანკისი	1	2	3
ბოევიკი	2	1	3

ტერმინებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დაირღვეს. ქართულ სატელევიზიო მედიის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი ტერაქტში ეჭვმიტანილზე საუბრობს, თუმცა ასევე მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ ის დაესხა თავს სატირულ ჟურნალს. როდესაც პირი ეჭვმიტანილია, მასზე გადაჭრით იმის თქმა, რომ ზუსტად ის იყო თავდამსხმელი, არ შეიძლება, სანამ ამას ოფიციალური წყაროები არ დაადასტურებენ.

საერთაშორისო მედიის რეკომენდაციით (CNN, BBC) შესაძლოა, სიტყვა - ტერორისტის გამოყენებამ საზოგადოება დააბნიოს და ამიტომ უმჯობესია ის სხვა სიტყვით ჩანაცვლდეს, მაგალითად, თავდამსხმელი, თუმცა ქართულ სატელევიზიო მედიაში სიტყვა „ტერორისტი“ გაცილებით ხშირად გამოიყენება, ვიდრე „თავდამსხმელი“. :Reuters-ის ტერმინთა განმარტებების მიხედვითაც, როდესაც რესპონდენტის ციტატაში სიტყვა ტერორისტია ნახსენებია, ჟურნალისტმა ის არ უნდა შეცვალოს, თავად კი ჟურნალისტი ამ ტერმინის გამოყენებას უნდა მოერიდოს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ შემუშავებული წესებით (2015), „საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია ტერორიზმთან და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, თუმცა მედიას აკისრია პასუხისმგებლობა, უნებურად არ გახდეს ხელშემწყობი ტერორისტული შინაარსის მიმართვების თუ მოწოდებების ტირაჟირებისა. ტერორისტული აქტები თუ მასთან დაკავშირებული სხვა ამბები უნდა გაშუქდეს ზუსტად, სრულად, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით და დიდი პასუხისმგებლობით“.

ქართულ სატელევიზიო მედიაში „შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერაქტის გაშუქებისას საქართველო ნახსენებია 17 მასალაში, რაც შესწავლილი სიუჟეტების 34.8%-ია. 16-დან 13 მასალაში სოლიდარობის გამოხატვაზეა საუბარი, სამ მათგანში საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებია შეფასებული და ასევე აღნიშნულია პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის შესახებ. რომ შესაძლო

საფრთხეზეც არის საუბარი. ექსპერტების მხრიდან ყურადღება გამახვილებულია პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდების წასვლაზე.

ორ სიუჟეტშია მხოლოდ ინფორმაცია გადაცემული საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი მიმართვების გავრცელების შესახებ. ხოლო ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს მუქარებზე კი ინფორმაცია, სადაც ჩვენი ქვეყანა არ ფიგურირებდა, 6 მასალაში დაფიქსირდა, საიდანაც 2 მათგანში ტერორისტების ხმაც იყო მოცემული, მუქარის ტექსტი გადათარგმნილი. „მედიის განვითარების ფონდი“ 2017 წელს ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით ამბობს, რომ მედიამ არ უნდა გაავრცელოს ტერორისტების მოწოდებები და არ უნდა მოახდინოს მათი მიზნების პოპულარიზაცია. „გაიხსენეთ მარგარეტ ტეთჩერის სიტყვები – „საჯაროობა ტერორიზმის ჟანგბადია“ და მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ ტერორიზმის საკითხების გაშუქებისას, რათა უნებლიედ დაინტერესებულმა ჯგუფებმა მედიის ინსტრუმენტალიზაცია არ მოახდინონ და მიაღწიონ საკუთარი მოტივების აღიარების და შიშის დათესვის სასურველ შედეგს“ (კინწურაშვილი, გელავა, 2017. გვ. 54).

ძალიან საინტერესო მოსაზრება აქვთ ვიმენსა და ვინს (1994) რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ტერორიზმის და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას მედია კონცენტრირებულია ადამიანური ინტერესების წარმოჩენაზე. ავტორების თქმით, უმეტესად სიუჟეტებში მოვლენების ისტორიული ბექგრაუნდი ნახსენებიც კი არ არის. მიუხედავად ამ მოსაზრებისა, უნდა ითქვას, რომ ქართულ სატელევიზიო მედიაში გასული სიუჟეტები საკმაოდ ინფორმაციული იყო, აღწერილი იყო მოვლენის ბექგრაუნდი და პარალელები გავლებულიც იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტთან თავისი მასშტაბურობისა და შემდეგ უკვე საზოგადოების მხრიდან გამოხატული სოლიდარობის კუთხით. 11 მასალაში გადმოცემული იყო ტერაქტის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია, 7 სიუჟეტში კი ტერორისტული აქტი დეტალურად აღიწერა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასალების 24% (11 სიუჟეტი) პარიზსა და სხვა ქალაქებში გამართულ სოლიდარობის მარშსა და აქციების შესახებ ინფორმაციას დაეთმო. ბეჭდური მედიისგან განსხვავებით, სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მარშის შესახებ მხოლოდ ნეიტრალური ხასიათის ინფორმაცია გავიდა და არა შეფასებითი.

ქართულმა სატელევიზიო მედიამ „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უსაფრთხოების ზომების გამკაცრების საკითხს, ოღონდ საფრანგეთში (იხ. ცხრილი N21).

ცხრილი N21. „შარლი ებდოზე“ მომხდარი თავდასხმის შემდეგ უსაფრთხოების ზომების გამკაცრების შესახებ გადმოცემული ინფორმაცია სატელევიზიო მედიაში

უსაფრთხოების ზომების გამკაცრება	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 უსაფრთხოების გამკაცრება საფრანგეთში	16	34.8	34.8
2 უსაფრთხოების გამკაცრება ევროპაში	2	4.3	4.3
3 უსაფრთხოების გამკაცრება საქართველოში	1	2.2	2.2
4 არ დაფიქსირდა	27	58.7	58.7
ჯამი	46	100.0	100.0

სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში „შარლი ებდოს“ გაშუქების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 19 მასალაში გამოკვეთილი იყო, რომ ტერორიზმი არის თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა და საფრთხე და აუცილებელია მასთან ბრძოლა.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე წყაროების ვინაობა. ქართულ სატელევიზიო მედიაში რესპონდენტები არიან საფრანგეთის მოქალაქეები, ტერაქტების თვითმხილველები, სოლიდარობის აქციის მონაწილეები, მსოფლიო ლიდერები, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, ექსპერტები და პოლიტიკოსები.

გამოყენებულია ტერორისტული დაჯგუფება „ალ ქაედას“ ერთ-ერთი ლიდერის ვიდეომიმართვა, რომელშიც ჰარის ალ ნაზარი პარიზს ახალი ტერაქტებით ემუქრება. ასევე წყაროდ გამოყენებულია სხვა ტერორისტებიც. „რუსთავი 2-ის“ ეთერში დაფიქსირებული იყო მუსლიმთა თემის მოსაზრებაც, რომელთა აზრით, ტერორიზმი დასაგმობია და მას რელიგია არ გააჩნია (იხ. გრაფიკა N18).



კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა სატელევიზიო მედიამ სატირულ ჟურნალ „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებას დიდი

ყურადღება დაუთმო. უმეტეს შემთხვევაში თავდასხმის შესახებ ინფორმაცია პირველ ამბად გადაიცემოდა. 46 მასალიდან 42 ტერაქტის მოწყობიდან პირველ კვირაში გავიდა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში. 31 მასალა საეთერო ბადეში პირველ 4 ამბად გადაიცა, მათგან 29 ტერორისტული აქტის პირველივე კვირას გავიდა ეთერში.

ასევე ისიც აღსანიშნავია, რომ ქართულმა სატელევიზიო მედიამ მხარდაჭერა გამოხატა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ.

3.6. ჟურნალ „შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერაქტის ბეჭდურ მედიაში გაშუქება

2015 წლის 7 იანვარს ფრანგულ სატირულ ჟურნალ „შარლი ებდოზე“ მომხდარ ტერაქტს 6-მა ბეჭდურმა მედიამ - „რეზონანსმა“, „ახალმა თაობამ“, „საქართველოს რესპუბლიკამ“, „კვირის ქრონიკამ“, „პრაიმ ტაიმმა“ და „საქართველო და მსოფლიომ“ 86 მასალა მიუძღვნა. მათგან რაოდენობრივად ყველაზე მეტი პუბლიკაცია „ახალ თაობაში“ დაიბეჭდა, ყველაზე ცოტა კი „პრაიმ ტაიმში“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „საქართველო და მსოფლიო“ კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოიცემა, მიუხედავად იმისა, მან სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით, „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებას უფრო დიდი ყურადღება დაუთმო (იხ. გრაფიკა N19).



გრაფიკა N19. "შარლი ებდოზე" მომხდარი ტერაქტის შესახებ მასალების რაოდენობა ბეჭდურ მედიაში

ჟურნალზე განხორციელებული ტერაქტის გაშუქებისას ბეჭდურ მედიაში მასალის ტიპები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი N22):

ცხრილი N22: „შარლი ებდოზე“ მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული მასალის ტიპები ბეჭდურ მედიაში

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	32	37.2	37.2
2 სტატია	34	39.5	39.5
3 ინტერვიუ	13	15.1	15.1
4 თვალსაზრისი	4	4.7	4.7
5 სხვა	3	3.5	3.5
ჯამი	86	100.0	100.0

ცხრილი N22-დან ჩანს, რომ 7 იანვარს მომხდარი ტერორისტული თავდასხმის შესახებ ქართულ ბეჭდურ მედიაში, თითქმის, თანაბარი რაოდენობის სტატია და ახალი ამბავი დაიბეჭდა. შედარებით იშვიათად გამოიყენეს ინტერვიუს ტიპი. კატეგორია - სხვაში იგულისხმება სოციალურ ქსელ Facebook-ზე გამოქვეყნებული პოსტები, რომელიც ბეჭდურმა მედიამ უცვლელი სახით გადმოიტანა პრესის ფურცლებზე.

„შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერორისტული აქტის გაშუქებისას თითოეულ გაზეთში მასალის ტიპები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. გრაფიკა N20):



მიუხედავად იმისა, რომ „ახალი თაობა“ ყოველდღიური ტირაჟით, „საქართველო და მსოფლიო“ კი კვირაში ერთხელ იბეჭდება, გრაფიკა N20-დან ნათლად იკვეთება, რომ ორივე გაზეთმა სტატიისა და News-ის ტიპები თითქმის, თანაბარი რაოდენობით გამოიყენეს.

გაზეთის პირველ 4 გვერდზე 37 მასალა დაიბეჭდა, დანარჩენ პუბლიკაციებს კი პრესის მომდევნო ფურცლები დაეთმო. 37-მასალიდან 33 ტერაქტის მოწყობიდან ერთი კვირის განმავლობაში დაიბეჭდა. თავდასხმის შესახებ 2 კვირის განმავლობაში დაბეჭდილი მასალებიდან კი ტერაქტის შემდეგ პირველ კვირას 66 გამოქვეყნდა, 76.7%-ია.

„შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერაქტის შესახებ დაბეჭდილ მასალებში აქტუალური იყო ტერაქტისა და ჟურნალში დაბეჭდილი კარიკატურების დაკავშირება.

ქართული მედია „შარლი ებდოს“ ჟურნალისტების საქმიანობასა და ტერორისტების თავდასხმასთან პარალელს ავლებდა. ბეჭდურ მედიაში ყურადღება იყო გამახვილებული მოსაზრებაზე, რომ „შარლი ებდოს“ მიერ გამოქვეყნებული კარიკატურები შეურაცხმყოფელი იყო, ამასთან ერთად პრესაში დაიწერა, რომ სიტყვის თავისუფლების დაცვა მნიშვნელოვანია და რომ ტერორისტული აქტი პირველ რიგში, ამ ფასეულობის წინააღმდეგ იყო მიმართული (იხ. ცხრილი N23).

ცხრილი N23: „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტისა და კარიკატურების ურთიერთკავშირი ბეჭდურ მედიაში

ტერაქტისა და კარიკატურების დაკავშირება	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 „შარლი ებდოს“ კარიკატურები შეურაცხმყოფელია	25	29.1	29.1
2 სიტყვის თავისუფლების დაცვა მნიშვნელოვანია	12	13.9	13.9
3 კრიტიკა, ვინც სიტყვის თავისუფლების დაცვაზე ლაპარაკობს	7	8.1	8.1
4 ტერორიზმი დაუშვებელია, რა მიზეზიც არ უნდა იყოს	11	12.8	12.8
5 არ დაფიქსირდა	31	36.1	36.1
ჯამი	86	100.0	100.0

მხოლოდ „საქართველო და მსოფლიოში“ გაკრიტიკებულნი იყვნენ ის ადამიანები, ვინც სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობაზე საუბრობდნენ. გაზეთში ყურადღება გამახვილებულია არა უშუალოდ ჟურნალზე მომხდარ ტერაქტზე, არამედ კარიკატურების კრიტიკაზე. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა იმ ფაქტმაც, რომ ტერაქტი აღწერილია თავდახმის შემდეგ გამოცემული ნომრის (14 იანვარი) 21-ე გვერდზე, მაშინ, როცა 14 მასალა წინა გვერდებზეა დაბეჭდილი და სადაც ნათქვამია, რომ გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, აღნიშნულია, რომ ტერორიზმი დაუშვებელია, თუმცა მას მოსდევს სიტყვა „მაგრამ“.

„საქართველო და მსოფლიო“, ასევე „საქართველოს რესპუბლიკა“ ხაზს უსვამდა, რომ „შარლი ებდოს“ კარიკატურები შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო და, შესაბამისად, ის გახდა თავდასხმის მიზეზი. მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობთ: „ევროპის ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი ქვეყანა, 65 მილიონიანი მოსახლეობით, ერთი თუნდაც, მებრძოლი, პრინციპული უშიშარი ჟურნალის უტაქტობის, სხვა რელიგიათა მიმდევართა გაშარჟების გამო მსოფლიოს ომში არ უნდა ჩაბმულიყო“ (ქობულია, 2015, გვ. 1). ან მაგალითად, ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერია: „მოხდებოდა თუ არა ჟურნალის რედაქციაზე თავდასხმა, რომ არა კარიკატურისტთა გამომწვევი მოქმედება? პირდაპირ და უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ არა! (ჭიპაშვილი, 2015. გვ. 6).

სატელევიზიო მედიისგან განსხვავებით, სადაც ცალსახად იყო აღნიშნული, რომ ტერორიზმი გაუმართლებელია და მას არ შეიძლება მოსდევდეს სიტყვა „მაგრამ“, რომ „შარლი ებდოზე“ მომხდარი თავდასხმა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისკენაა, მიმართული, ზოგიერთ ბეჭდურ მედიაში ფრანგულ გამოცემაზე ტერორისტული აქტი არ არის შეფასებული როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, პირიქით, პრესაში გაკრიტიკებულია კარიკატურები. უნდა ითქვას, რომ ტერაქტის შემდეგ ჟურნალის კრიტიკა, ნაწილობრივ, ტერორიზმის გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან როცა მას მოსდევს „მაგრამ“, გამოდის, რომ ის ბოლომდე არ არის დაგმობილი. თავდასხმის შემდეგ გამოცემის სარედაქციო პოლიტიკის კრიტიკა ტერორისტების მიზანს, თავისდაუნებურად, ხელს შეუწყობს, რაც განსაკუთრებით, მედიის მხრიდან დაუშვებელია.

სატირულ ჟურნალზე მომხდარი ტერაქტის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საპროტესტო აქციებისა და მარშის შესახებ ქართულმა ბეჭდურმა მედიამაც დაწერა (იხ. ცხრილი N24), თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში გამოხატულ სოლიდარობის მარშზე მხოლოდ ორ სტატიაში დაიწერა, რაც მცირე რაოდენობაა.

ცხრილი N24: „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის შემდეგ გამართული მარშის შესახებ მასალები (ჯამი მოიცავს მხოლოდ ამ თემაზე მომზადებულ მასალებს)

მარშის შეფასება	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 დადებითი შეფასება	1	7.1	7.1
2 უარყოფითი შეფასება	6	42.9	42.9
3 ნეიტრალური	7	50	50
ჯამი	14	100.0	100.0

როგორც 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას, „შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შესახებ დაწერილ მასალებშიც გარკვეული ყურადღება დაეთმო დასავლეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კონტექსტის განხილვას. ექვს მასალაში დასავლეთი უარყოფით კონტექსტში იყო წარმოჩენილი, ძირითადად კი, აღნიშნული იყო, რომ ევროპა საქართველოს ვერ დაიცავს. უშუალოდ ევროპის დაუცველობის შესახებ შვიდ პუბლიკაციაში იყო საუბარი, ხოლო 10 მასალაში კი ხაზი გაესვა, რომ ტერაქტი ევროპის ქვეყანაში მოხდა.

„შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტი დეტალურად მასალების საერთო რაოდენობის 12.8%-ში (11 სტატია) აღიწერა. გარდაცვლილებისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია კი ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი პუბლიკაციების 24.4%-ში (21 სტატია) იყო გადმოცემული, რაც ტერაქტის დეტალურად აღწერას, თითქმის, ორჯერ აღემატება.

ტერაქტის შემდეგ საფრანგეთში უსაფრთხოების ზომების გამკაცრების შესახებ ქართული ბეჭდური მედიის ცხრა მასალაში დაიწერა, ხოლო ევროპაში ზომების გამკაცრების თაობაზე კი ოთხ პუბლიკაციაში იყო ყურადღება გამახვილებული.

2015 წლის ნოემბერში პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისგან განსხვავებით, „შარლი ებდოზე“ განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში, ბეჭდური მედიის სამ მასალაში იყო დაკავშირებული ტერორიზმი და მიგრაცია ერთმანეთთან. სტატიებში აღნიშნული იყო, რომ ლტოლვილების რიცხვის ზრდა ტერორიზმის საფრთხეს ზრდის.

ამ შემთხვევაში რაოდენობრივი მაჩვენებელი შეიძლება დიდი არ არის, მაგრამ ტერორიზმის საფრთხესთან ლტოლვილების პირდაპირ გაიგივება არ შეიძლება, რადგან მედიამ ხელი არ უნდა შეუწყოს მიგრანტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შექმნას.

„შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი მასალების 34.9%-ში (30 სტატია) აღნიშნული იყო, რომ ტერორიზმი საერთაშორისო საფრთხე და გამოწვევაა, ხოლო 26.7%-ში (23 პუბლიკაცია) კი ტერორიზმთან ბრძოლაზე იყო ყურადღება გამახვილებული.

ფრანგულ სატირულ გამოცემაზე განხორციელებული თავდასხმის გაშუქებისას ქართული ბეჭდური მედიის 13 მასალაში საქართველოს მიმართ გავრცელებული მუქარის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა მკითხველს, მათგან რვაში მიმართვის ტექსტები გადმოცემული იყო, მხოლოდ ხუთში კი მხოლოდ ინფორმაციამ გაიჟღერა.

„შარლი ებდოზე“ განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით ბეჭდური მედიის ყველაზე მეტ მასალებში გამოიყენებული სიტყვებია: „ტერაქტი“, „ტერორისტი“, „თავდასხმა“, „ტერორისტული აქტი“, „საფრთხე“. 22 მასალაში ნახსენები იყო ტერმინი - „ისლამისტი“. მიუხედავად იმისა, რომ სატირულ ჟურნალზე თავდასხმა „ალ ქაიდამ“ განახორციელა, ქართულ ბეჭდურ მედიაში უფრო ხშირად გამოიყენეს დაჯგუფება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ სახელი, ვიდრე „ალ ქაიდა“ (იხ. ცხრილი N25).

ცხრილი N25. „შარლი ებდოზე“ განხორციელებული თავდასხმის გაშუქებისას ბეჭდურ მედიაში გამოყენებული ტერმინები

ტერმინები, ფრეიმები	ახალი თაობა	რეზონანსი	პრაიმ ტაიმი	საქართველოს რესპუბლიკა	საქართველო და მსოფლიო	კვირის ქრონიკა	ჯამი(სულ 86)

ტერაქტი	13	14	1	4	13	5	50
ტერორისტული აქტი	11	9	1	2	7	5	35
ტერორიზმი	11	15	2	4	7	5	44
ისლამური სახელმწიფო	7	10	2	2	8	1	30
ტერორისტი	7	16	2	3	13	7	48
ბოევიკი	2	0	0	0	2	2	6
ისლამისტი	6	5	0	0	6	5	22
საფრთხე	8	14	1	1	4	3	30
უსაფრთხოება	3	4	2	2	5	2	18
ტრაგედია	8	5	2	3	6	4	28
ჯიჰადისტი	4	2	0	0	2	1	9
ალ ქაედა	2	3	1	2	6	5	19
თავდასხმა	12	15	2	3	8	2	42
თავდამსხმელი	3	4	0	0	2	2	11
აფეთქება	3	1	1	1	1	1	8
ISIS	1	1	1	0	0	2	5
პანკისი	4	6	1	0	2	2	15

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 36 სტატიაში საქართველო იყო ნახსენები, რაც შესწავლილი მასალების 41.9%-ია, ანუ ნახევარზე ცოტა ნაკლები. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართული ბეჭდური მედია საქართველოს ხშირად ახსენებდა და მიმოიხილავდა საფრთხეებს. „საქართველო და მსოფლიოში“, „საქართველოს რესპუბლიკასა“ და „კვირის ქრონიკაში“ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება, „ნაციონალური მოძრაობა“ იყო გაკრიტიკებული. მასალებში აქცენტი კეთდებოდა, რომ ის ადამიანები, ვინც „შარლი ებდოს“ მხარდამჭერები არიან, „ნაციონალური მოძრობის“ ხელისუფლებაში ყოფნის

დროს მომხდარ დარბევებზე არ რეაგირებდა. „შარლი ებდოზე“ განხორციელებული ტერაქტის გაშუქებისას „საქართველოსა და მსოფლიოსგან“ განსხვავებული ფრეიმები გამოიკვეთა გაზეთ „რეზონანსში“. მასალებში მოყვანილი ლოზუნგები, ციტატები, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ სიტყვის თავისუფლებისა და „შარლი ებდოს“ მხარდაჭერისთვის გამოიყენა: „მეც შარლი ვარ“, „თავდასხმა დემოკრატიულ ღირებულებებზე“, თუმცა ამ შემთხვევაში ავტორი „ნაციონალური მოძრაობის“ დროსთან პარალელებს არ ავლენს და არ აღნიშნავს, რომ მაშინ ეს საზოგადოება აქტიური არ იყო. „საქართველო და მსოფლიო“ წერს: „ტერორისტული აქტის შემდეგ ერთ-ერთი პირველნი საფრანგეთის საელჩოსთან თანადგომის გამოსახატად ის ნაძირლები მივარდნენ, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის ყველა დანაშაულს ამართლებდნენ, იქნებოდა ეს ტელეკომპანია „იმედის“ შტურმი, მიტინგების დარბევა თუ უბრალოდ კაცთაკვლა“ (მონიავა, 2015. გვ. 4).

„შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართული ბეჭდური მედია უცხოურ მედიას და საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს იყენებდა წყაროდ. ასევე რესპონდენტები ხშირად იყვნენ ქართველი ექსპერტები. კატეგორიაში „სხვა“ იგულისხმება ტერაქტის თვითმხილველი და თავდამსხმელების ოჯახის წევრი. (იხ. გრაფიკა N21).



კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა გამოცემა „შარლი ებდოზე“ მომხდარ ტერაქტის მიზეზებს განსხვავებულად აშუქებდა. მათი ნაწილი ჟურნალის მიერ გამოქვეყნებულ კარიკატურებს შეურაცხმყოფელს უწოდებდა და ტერაქტთან პირდაპირ აკავშირებდა, ნაწილი კი კარიკატურების შეფასებისგან თავს იკავებდა.

3.7. მოსკოვში მომხდარი ტერაქტის სატელევიზიო მედიაში გაშუქება

2010 წლის 29 მარტს მოსკოვში მომხდარი აფეთქებების შესახებ იმავე წლის 29 მარტიდან 2 კვირის განმავლობაში ‘‘რუსთავი 2-ისა’’ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული 11 მასალა შევისწავლეთ აქედან „კურიერის“ – 5, „მოამბის“ კი - 6 (იხ. დიაგრამა N6, სადაც % დამრგვალებულია). (სატელევიზიო მედიის არქივებში რამდენიმე დღის მასალა ვერ მოვიძიეთ, შესაბამისად,

ჩვენთვის ძნელია იმის თქმა საკვლევ პერიოდში მხოლოდ 11 მასალა გავიდა თუ მეტი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს დიდ სხვაობას მაინც არ მოგვცემდა, რადგან ვერ მოვიძიეთ მხოლოდ ოთხი დღის მასალა, ისიც 8-11 აპრილის პერიოდის, ანუ ტერაქტის მოწყობიდან მეორე კვირის ბოლოს, როდესაც, როგორც კვლევის შედეგებიდან ნათლად დადასტურდა, ტერორისტულ აქტებზე მასალა, მცირე რაოდენობით შუქდება). უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის დედაქალაქში მომხდარ ტერორისტულ აქტს ორივე ტელემაუწყებელმა სიუჟეტების, თითქმის, თანაბარი რაოდენობა დაუთმეს. სხვა ტერაქტებთან შედარებით რაოდენობრივად მოსკოვში მომხდარ ტერორისტულ აქტს ქართულ სატელევიზიო მედიაში ცოტა მასალა მიეძღვნა. ორივე არხზე ტერაქტის შესახებ სიუჟეტის ტიპი იყო გამოყენებული.



მოსკოვში მომხდარ აფეთქებებთან დაკავშირებით სიუჟეტების ყველაზე დიდ რაოდენობაში (8) დაფიქსირდა სიტყვა „ტერაქტი“. მედიამ ასევე ხშირად გამოიყენა სიტყვა „აფეთქება“. ქართული მედია მოსკოვში მომხდარი თავდასხმის აღსაწერად სწორედ სიტყვა „აფეთქებას“ იყენებდა, განსაკუთრებით ტერაქტის მოწყობიდან პირველ დღეებში. სიუჟეტების, თითქმის, ნახევარში ახსენეს სიტყვა „თავდასხმა“, ამის

მიუხედავად, სიტყვა „თავდამსხმელი“ სატელევიზიო მედიამ მხოლოდ ერთხელ გამოიყენა (იხ. ცხრილი N26).

ცხრილი N26. მოსკოვში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული ტერმინები TV მედიაში

ტერმინები	(ანალიზის ერთეული - მასალა - 11)
აფეთქება	7
ტერაქტი	8
ტერორისტული აქტი	5
ტერორიზმი	4
ტერორისტი	5
თავდასხმა	4
თავდამსხმელი	1
ისლამისტი	1

„რუსთავი 2-ისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტები არის ინფორმაციული ხასიათის. გადმოცემულია მოვლენათა ქრონოლოგია, კადრებზე ჩანს, რა ხდებოდა მეტროსადგურებ ’’ლუბიანკასა’’ და ’’კულტურის პარკში’’ აფეთქებების დროს. „კურიერის“ სამ სიუჟეტში გადმოცემული იყო დაშავებულებისა და გარდაცვლილების შესახებ ინფორმაცია.

სატელევიზიო მედიის შვიდ სიუჟეტში საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურებაა გაშუქებული და ნათქვამია, რომ მსოფლიო ლიდერები მოსკოვში მომხდარ ტერაქტს გმობენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებულ გამოხმაურებებს უფრო მეტი ყურადღება დაეთმო (იხ. გრაფიკა N22).



გრაფიკა N22. მოსკოვში მომხდატი ტერაქტთან დაკავშირებული წყაროები TVმედიაში

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სატელევიზიო მედიაში ყურადღება იყო გამახვილებული, რომ მოსკოვში მომხდარი ტერაქტის ფონზე, რუსეთიდან საქართველოს შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს, (იხ. ცხრილი N27). ქართულ სატელევიზიო მედიაში ტერაქტის მოწყობიდან პირველსავე დღეს ხაზგასმული იყო რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები.

ცხრილი N27. საქართველოსა და რუსეთთან დაკავშირებით გამოვლენილი ფრეიმები სატელევიზიო მედიაში

საქართველოსა და რუსეთთან დაკავშირებული ფრეიმები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
რუსეთიდან საფრთხე მოდის	5	45.45	45.45
პანკისში სიტუაციის დაძაბვაა	1	9.1	9.1
მოსალოდნელი			
არ გამოვლინდა	5	45.45	45.45
სტატიების ჯამი	11	100.0	100.0

საინტერესოა იმის გარკვევა თუ როგორ მოიხსენიებდნენ „კურიერსა“ და „მოამებში“ რუსეთის ხელისუფლებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსკოვში მომხდარი ტერაქტის ქართულ სატელევიზიო მედიაში გაშუქებისას რუსეთის ხელისუფლება მასალების 36.4%-ში (11 სიუჟეტი) უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული, დანარჩენში კი ნეიტრალურად. ბეჭდური მედიისგან განსვავებით, სატელევიზიო მედიაში რუსეთი დადებით კონტექსტში არ იყო მოხსენიებული.

8 წლის წინ მომხდარი ტერაქტის გასახსენებლად და მოვლენების ადვილად გასაანალიზებლად, „კურიერისა“ და „მოამბის“ ეთერში გასულ რამდენიმე საინტერესო სიუჟეტს განვიხილავთ.

2010 წლის 29 მარტსვე „კურიერში“ აქცენტირებულია რუსი ბიზნესმენის, ბორის ბერეზოვსკის სკანდალური განცხადება, რომლის მიხედვითაც, მან მოსკოვში მომხდარ ტერაქტებში ვლადიმერ პუტინი დაადანაშაულა. სიუჟეტში ასევე ნათქვამია, რომ დიმიტრი მედევდევის პრეზიდენტობისას ეს მოსკოვში პირველი ტერაქტია, განსხვავებით პუტინის საპრეზიდენტო პერიოდისგან, რომელსაც მუდმივად თან ახლდა ტერაქტები და მსხვერპლი. მათ შორისაა ბესლანი, ნორდოსტი, 2004 წლის აფეთქება მეტროში. მუსულმანთა კავშირის თავმჯდომარის, ჰეიდარ ჯამალისა და ჟურნალისტის, იულია ლატინინას აზრით, ეს ყველაფერი რუსეთის ხელისუფლების მიერ კავკასიაში გატარებული პოლიტიკის შედეგია.

„რუსთავი 2-ის“ მთავარ საიფორმაციო გამოშვებებში მოსკოვში მომხდარ აფეთქებებთან დაკავშირებით მასალები ინფორმაციულია. მთავარი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ სად, როგორ მოხდა ტერაქტი, ვინ არის ტერორისტი, ასევე ყურადღება გამახვილებულია რუსეთის მთავრობის და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა თუ ჟურნალისტების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, რომლებიც პუტინის ინტერესებზე საუბრობენ. მოგვიანებით, დოკუ უმაროვის მიერ ვიდეომიმართვის გავრცელების შემდეგ, მისი პიროვნების შესახებ ინფორმაციაა გადმოცემული.

„მოამბეში“ ითქვა, რომ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტერაქტის შესახებ წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია ძალოვან უწყებებს, თუმცა მისი აღკვეთა მაინც ვერ განხორციელდა, თუმცა აღნიშნული ცნობა სამართალდამცავმა უწყებებმა არ დაადასტურეს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ხაზგასმულია რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, ნიკოლას პატრუშევის, პროვოკაციულ განცხადებაზე, რომლის მიხედვით, მოსკოვის ტერაქტში შესაძლოა, ქართული გვარი გამოიკვეთოს. სიუჟეტში მოყვანილია ქართველი დეპუტატების კომენტარები, რომლებიც პატრუშევის განცხადებას მორიგ პროვოკაციად აფასებენ. ნაჩვენებია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია. საგარეო უწყებამ 2005 წელს გორში მომხდარი ტერაქტი გაიხსენა და აღნიშნა, რომ ტერორისტულ აქტს პატრუშევი ხელმძღვანელობდა. მასალებში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთი მედიაზე კონტროლს ამკაცრებს და ტერორისტებზე ინფორმაციის გავრცელებას უკრძალავს.

3.8. მოსკოვში მომხდარი ტერაქტის ქართულ ბეჭდურ მედიაში გაშუქება

2010 წლის 29 მარტს მოსკოვში მომხდარი ტერაქტის გაშუქება ხუთ ბეჭდურ გამოცემაში შევისწავლეთ: „საქართველო და მსოფლიო“, „პრაიმ ტაიმი“, „ახალი თაობა“, „რეზონანსი“ და „საქართველოს რესპუბლიკა“. 29 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში დაბეჭდილი მასალების კვლევა ჩატარდა. რუსეთის დედაქალაქში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით 2 კვირის განმავლობაში 45 პუბლიკაცია დაიბეჭდა. მოსკოვის ტერაქტს „საქართველო და მსოფლიომ“ 6 მასალა მიუძღვნა, „პრაიმ ტაიმმა“ – 2, „ახალმა თაობამ“ – 12, „რეზონანსმა“ – 17 და „საქართველოს რესპუბლიკამ“ კი – 8. აქედან გამომდინარე, მოსკოვში მომხდარ ტერორისტულ აქტს რაოდენობრივად ყველაზე მეტი მასალა „რეზონანსში“ დაიბეჭდა, ყველაზე ცოტა კი „პრაიმ ტაიმში“ (იხ. გრაფიკა N23).



საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა ტიპის მასალები იბეჭდებოდა. „საქართველოსა და მსოფლიოში“ 3 სტატია, 1 ინტერვიუ და 2 ახალი ამბავი დაიწერა, „პრაიმ ტაიმში“ მოსკოვში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით დაბეჭდილი ორივე მასალა სტატია იყო, „ახალ თაობაში“ 5 ახალი ამბავი, 5 სტატია და 2 ინტერვიუ დაიბეჭდა, „რეზონანსში“ – 10 სტატია, 4 ახალი ამბავი, 3 ინტერვიუ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ კი - 3 ინტერვიუ, 2 ახალი ამბავი და 3 სტატია დაიწერა. საერთო ჯამში, ბეჭდურ მედიაში 23 სტატია, 9 ინტერვიუ და 13 ახალი ამბავი გამოქვეყნდა (იხ. გრაფიკა N24).



მიუხედავად იმისა, რომ 2 კვირის განმავლობაში დაბეჭდილი მასალები შევისწავლეთ, აღმოჩნდა, რომ ბეჭდურ მედიაში ტერაქტის უშუალო აღწერა, ბექგრაუნდი მწირად იყო წარმოდგენილი, აღნიშნული მხოლოდ შვიდ სტატიაში შეგვხვდა. მოცემული. „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს კი ტერაქტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, პრაქტიკულად, არ მიეწოდა. ბეჭდურმა მედიამ ტერორისტული აქტის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაშუქება არ ჩათვალა საჭიროდ, მედიამ ძირითადი აქცენტი ტერაქტის დაგეგმვის ვერსიებზე მსჯელობას დაუთმო. უმჯობესი იქნებოდა, რომ სტატიებში აფეთქებასთან დაკავშირებითაც დეტალური ინფორმაცია ყოფილიყო გადმოცემული, რათა მკითხველს ტერორისტების მიზნებსა და დაგეგმვის ვერსიებზე ანალიზი გაადვილებოდა.

45 მასალიდან 10-ში გადმოცემული იყო ტერაქტის შედეგად გარდაცვლილებისა და დაშავებულების შესახებ ცნობები. ტერორისტული აქტი რვა მასალაში დაიგმო. ხუთ პუბლიკაციაში აღინიშნა, რომ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

ოთხ პუბლიკაციაში ხაზი გაესვა ტერორისტების ვინაობას. ყურადღება იყო გამახვილებული ჩეჩნურ წარმომავლობაზე, ამით მედიას სურდა, გამოეხატა, რომ

ჩეჩნეთი ტერორიზმთან არის დაკავშირებული. მოსაზრების ამ ფორმით წარმოჩენამ შესაძლოა, საზოგადოებაში ჩეჩნეთის წარმომადგენლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და სიძულვილი გააჩინოს. მედიამ მსგავსი სტერეოტიპის დამკვიდრებას ხელი არ უნდა შეუწყოს.

ძალიან მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ, ტერორიზმის გარდა სხვა რომელი უსაფრთხოების საკითხი გამოიკვეთა მოსკოვის ტერაქტის გაშუქების დროს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ 9 მასალაში დაიწერა. მოსკოვში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ ბეჭდურ მედიაში ყურადღება გამახვილდა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, ნიკოლაი პატრუშევი (2010) ტერაქტის უკან მდგომ ქართულ კვალზე ალაპარაკდა. ექსპერტები ამბობდნენ, რომ ეს განცხადება შესაძლოა, ახალი კონფლიქტის დაწყების წინაპირობა ყოფილიყო. თუმცა სხვა მედიასაშუალებების რიტორიკიდან განსხვავებული იყო „საქართველო და მსოფლიო“. გაზეთი აშკარად პრორუსულ განწყობას გამოხატავდა. საავტორო სვეტში ბონდო მძინარაშვილი (2010) წერდა, რომ საქართველოს კვალზე რუსეთში განცხადება არავის გაუკეთებია მანამ, სანამ „ჟურნალისტმა, იულია ლატინინამ რუსეთის ხელისუფლება არ გააფრთხილა - ტერაქტებიც საქართველოს არ დააბრალოთო“... „ლატინინას „ეს მეგობრული გამოქომაგება“ ასეც შეიძლება გავიგოთ - ამ ტერაქტებს საქართველოს ხომ არ დააბრალებდითო? ამის შემდეგ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა, ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ შესაძლოა, ამ ტერაქტებში „ქართული კვალი“ გამოჩნდეს. ამ ფონზე სინანულით უნდა გავუსვა ხაზი იმ ნიშნის მოგებას, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ქართულ სახელისუფლებო ტელეარხებზე გასულ სიუჟეტებს - ტერაქტებს კი ვგმობთ, მაგრამ ეს ყველაფერი მოსკოვის მიერ წარმოებული ანტიტერორისტული კამპანიის შედეგია და შაჰიდებმა სპეცოპერაციებისას ლიკვიდირებული მეთაურებისთვის შური იძიესო... მესმის, რომ ეს „შეფარული ქირქილი“ ნაცპროპაგანდის ნაწილია, მაგრამ ასეთი პროპაგანდა, სულ მცირე, უგუნურებაა და ამასთან, სახიფათო ფარისევლობაც“- წერს მძინარაშვილი,

რომელიც ასევე აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ არ გაფანტულა ჰექსოგენისა და ტროტილის სუნი მოსკოვის მეტროსადგურებში და ძალიან გამაღიზიანებელია, როცა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას აკრიტიკებ“. სტატიაში აშკარად იკვეთება რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულება. ვრცელი პუბლიკაციის მცირე ამონარიდის გაცნობის შემდეგ ნათელია, რომ ავტორი პატრუშევის განცხადების გამართლებას ცდილობს. ის რუსეთის ხელისუფლებისადმი გამოთქმულ უარყოფით დამოკიდებულებებს აკრიტიკებს.

ბეჭდური მედიის სამ სტატიაში რუსეთი აშკარად დადებით კონტექსტში იყო მოხსენიებული, ერთგან ნეგატიურად, დანარჩენ შემთხვევაში კი ნეიტრალურად. „საქართველო და მსოფლიო“ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას უსვამდა ხაზს. აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნდა სამი სტატია, ორ პუბლიკაციაში ნეგატიური დამოკიდებულებაა გამოხატული ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. ჟურნალისტმა, ჯაბა ჟვანიამ ბარაკ ობამას მიმართ ქსენოფობიური გამონათქვამი გამოიყენა: „თეთრი სახლის შავი მამასახლისი“. „საქართველო და მსოფლიოში“ აღინიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს, ამას თან ახლდა რუსეთის დადებით კონტექსტში მოხსენიება და ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების გაკრიტიკება იმ კუთხით, რომ ის კი არ უნდა იყოს საქართველოს მთავარი მოკავშირე და პარტნიორი, არამედ რუსეთი. „საქართველო და მსოფლიოს“ გარდა, სხვა არცერთ გაზეთში კრემლი დადებით კონტექსტში არ იყო ნახსენები.

გარდა იმისა, რომ „საქართველო და მსოფლიო“ აშკარად პრორუსული აზრის მატარებელი იყო, გაზეთი მკვეთრად ნეგატიურ კონტექსტში აშუქებდა საქართველოს ხელისუფლებას. სტატიაში „ყოველ წამს უნდა ველოდეთ ტერორისტულ აქტებს“ ავტორმა, ჯაბა ჟვანიამ საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი (2010) „ტერორისტად“ მოიხსენია. მსგავსი ტიპის შეფასება ჟურნალისტისგან დაუშვებელია.

ქართულ ბეჭდურ მედიაში აღინიშნა, რომ ტერაქტების განმეორების საფრთხე არსებობდა. ექვს პუბლიკაციაში დაიწერა, რომ რუსეთში უსაფრთხოების ზომები გამკაცრდა.

ტერაქტის დაგეგმვის ორგანიზატორებთან დაკავშირებით არსებულ ვერსიებზე 22 საგაზეთო მასალაში დაიწერა. „საქართველო და მსოფლიოს“ და „პრაიმ ტაიმის“ თითო-თითო სტატიაში იყო მხოლოდ ვერსიებზე მსჯელობა. ამ საკითხს ყველაზე დიდი ყურადღება „რეზონანსმა“ დაუთმო. გაზეთის 9 სტატია ვერსიებზე საუბარს მიეძღვნა. აღნიშნულ საკითხზე „საქართველოს რესპუბლიკის“ 6 პუბლიკაციაში და „ახალი თაობის“ 5 მასალაში დაიწერა. გრაფიკა N25-დანაც კარგად ჩანს, რომ ბეჭდურ მედიაში აქტიურად იყო მსჯელობა ტერაქტის უკან მდგომ ქართულ კვალზე, აღსანიშნავია, რომ მედიასაშუალებები ცდილობდნენ იმის ახსნას, რომ მოსკოვში მომხდარი ტერაქტის უკან ქართული კვალი არ არსებობს, „საქართველო და მსოფლიოში“ კი ცდილობდნენ საკითხი ისე წარმოეჩინათ, რომ, თითქოს, მოსკოვში მსგავსი აზრი არც დაფიქსირებულა და კრემლში არავინ ფიქრობს, რომ თავდასხმის უკან საქართველო დგას. ბეჭდური მედიის ექვს მასალაში ახსენეს, რომ მოსკოვში მომხდარი ტერაქტის უკან შესაძლოა, თავად რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ.



გრაფიკა N25. მოსკოვის ტერაქტთან დაკავშირებული ვერსიები ქართულ ბეჭდურ მედიაში

მოსკოვის ტერაქტზე საუბრისას მნიშვნელოვანია, აღინიშნოს მედიაში საქართველოსთან დაკავშირებული პარალელები. რვა მასალაში კონკრეტულად აღინიშნა, რომ რუსეთისგან საფრთხე მომდინარეობდა. მოსკოვში განხორციელებული ტერორისტული აქტის გაშუქებისას გამოიკვეთა კონფლიქტის საფრთხის არსებობა. ორ სტატიაში დაიწერა, რომ პანკისის ხეობაში სიტუაცია შეიძლება დაძაბულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტებს დამატებითი ინფორმაცია არ მოუწოდებიათ. უნდა ითქვას, რომ ეს თემა კარგად გაანალიზებული არ იყო, არ აღინიშნა, თუ კონკრეტულად რა საფრთხე და რამდენად მნიშვნელოვანი საფრთხე იგულისხმებოდა (იხ. ცხრილი N28).

ცხრილი N28. საქართველოსა და რუსეთთან დაკავშირებით გამოვლენილი ფრეიმები ბეჭდურ მედიაში (მოსკოვში მომხდარი ტერაქტის გაშუქება)

საქართველოსა და რუსეთთან დაკავშირებული ფრეიმები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
რუსეთიდან საფრთხე მოდის	8	17.8	17.8
პანკისში სიტუაციის დაძაბვაა მოსალოდნელი	2	4.4	4.4
საქართველოში ტერორიზმის საფრთხეა	2	4.4	4.4
არ გამოვლინდა	33	73.3	73.3
სტატიების ჯამი	45	100.0	100.0

მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, ქართულ ბეჭდურ მედიას ვინ ჰყავდა რესპონდენტად. გრაფიკა N26-დან ჩანს, რომ ქართულმა ბეჭდურმა მედიამ წყაროდ ყველაზე ხშირად რუსეთის ხელისუფლების მოსაზრება გამოიყენა. 22 პუბლიკაციაში ბეჭდურმა მედიამ რუსეთის ხელისუფლება, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია გაშუქდა. 11 სტატიაში ქართულმა ბეჭდურმა მედიამ წყაროდ სხვა მედიასაშუალებები გამოიყენა, ძირითადად, რუსული მედია. რესპონდენტები იყვნენ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები, ექსპერტები, საქართველოს ხელისუფლება, ოპოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პრესაში რუსეთში მოღვაწე მხოლოდ 2 ოპოზიციონერის აზრი გაჟღერდა. ქართულ ბეჭდურ მედიაში თავდამსხმელების მიერ გავრცელებული ინფორმაციაც გაშუქდა, ასევე უცხოურ მედიაზე დაყრდნობით, ტერორისტის ოჯახის წევრთან ინტერვიუ იყო შემოთავაზებული (იხ. გრაფიკა N26).



მოსკოვში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ბეჭდური მედიის ყველაზე მეტ მასალაში გამოიყენეს ტერმინები - „ტერაქტი“, „აფეთქება“. უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭდურ მედიაში მოსკოვში მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით სიტყვა „ტერორისტი“ უფრო ხშირად გამოიყენეს, ვიდრე „ტერორიზმი“. როგორც სხვა შემთხვევებშიც, აქაც „თავდამსხმელი“, პრაქტიკულად, არ გამოიყენეს. სამჯერ ახსენეს ტერმინი - „ისლამისტი“ (იხ. ცხრილი N29).

ცხრილი N29. მოსკოვში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ქართულ ბეჭდურ მედიაში გამოყენებული ტერმინები

ტერმინები	მასალების რაოდენობა (სულ: 45)
აფეთქება	21
ტერაქტი	33
ტერორისტული აქტი	23
ტერორიზმი	18
ტერორისტი	19
თავდასხმა	4
თავდამსხმელი	2
ისლამისტი	3

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსკოვში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართულ ბეჭდურ მედიაში მნიშვნელოვანი იყო რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების გაანალიზება, თუმცა აღნიშნული საკითხი „საქართველო და მსოფლიოში“ არ გამოიკვეთა.

3.9. 2005 წლის I თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტის სატელევიზიო მედიაში გაშუქება

2005 წლის პირველ თებერვალს გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან აფეთქება მოხდა. ეს არის საქართველოში მომხდარი მეორე ტერაქტი, რომლის გაშუქებასაც ვიკვლევთ. ქართულ ბეჭდურ მედიაში 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის გაშუქება შევისწავლეთ, გორში მომხდარი ტერორისტული აქტის შემთხვევაში კი როგორც ბეჭდური, ასევე სატელევიზიო მედია გამოვიკვლიეთ.

სამხარეო პოლიციასთან განხორციელებული ტერაქტიდან ორი კვირის განმავლობაში „რუსთავი 2-ისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ

საინფორმაციო გამოშვებებში 30 მასალა გავიდა. აუცილებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება. 2005 წლის 2 თებერვალს პრემიერმინისტრი, ზურაბ ჟვანია გარდაცვლილი იპოვეს. ქართული მედია ჟვანიას დაღუპვას მთავარ ამად გადასცემდა, სამხარეო პოლიციასთან მომხდარი ტერაქტის შესახებ ახალი ამბები კი ძირითადად, პირველ თებერვალს გაშუქდა და შემდეგ გორში მომხდარი ტერაქტის გაშუქების ინტენსივობამ იკლო. მაგალითად, „კურიერში“ ისიც კი ითქვა, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ, საქართველოში განხორციელებული ტერორისტული აქტების ფონზე, სამხარეო პოლიციასთან მომხდარი ტერაქტი ყველაზე მასშტაბური იყო და რომ არა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ამბავი, მას გაცილებით დიდი ყურადღება დაეთმობოდა. პრემიერმინისტრის (2005) გარდაცვალების დღეს „რუსთავი 2-ზე“ საინფორმაციო მაუწყებლობა, პრაქტიკულად, არ შეწყვეტილა. მომდევნო დღეებში 21:00 საათიანი „კურიერის“ პირველი ბლოკი მთლიანად ჟვანიას თემას ეთმობოდა, გორის ტერაქტის შესახებ სიახლე მე-8, მე-9 ამბად გადაიცემოდა, ან საერთოდ არ შუქდებოდა.

გორში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ქართულ სატელევიზიო მედიაში სიუჟეტის ტიპი ჭარბობს, თუმცა, თითქმის, იგივე რაოდენობის ახალი ამბავი გადაიცა ეთერში (იხ. ცხრილი N30).

ცხრილი N30: გორში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული მასალის ტიპები სატელევიზიო მედიაში

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	10	33.3	33.3
2 სიუჟეტი	11	36.7	36.7
3 ინტერვიუ	1	3.3	3.3
4 პირდაპირი ჩართვა	8	26.7	26.7
ჯამი	30	100.0	100.0

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სატელევიზიო მედიაში მნიშვნელოვანი ფრეიმი იყო სამხარეო პოლიციის შენობასთან ტერაქტის მოწყობა. მედია ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ტერორისტული აქტის შედეგად პოლიციელები დაიღუპნენ. ამ საკითხს შესწავლილი 30 მასალიდან 19 მიეძღვნა, რაც 63.3%-ია, სხვა არცერთი ფრეიმი სატელევიზიო მედიაში ასეთი დიდი რაოდენობით არ დაფიქსირებულა.

ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება. ხელისუფლების წარმომადგენლები, ოპოზიციის წევრები თუ ექსპერტები ირიბად მიანიშნებდნენ, რომ ტერაქტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაიგეგმა, ამას ემატებოდა იმის აღნიშვნა, რომ აფეთქება კონფლიქტის ზონასთან განხორციელდა. ასევე, მედიაში პანკისის ხეობის საკითხიც აღინიშნა. ანალიტიკოსები სვამდნენ კითხვას, ვის აწყობდა საქართველოში დაძაბულობა და კონფლიქტი. ტერაქტის ორგანიზების ყველა კვალი რუსეთამდე მიდიოდა. ახალი ამბის გაცნობის შემდეგ ტელემაყურებელს ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ტერაქტი რუსული მხარის მიერ დაიგეგმა. მედიამ შეკრიბა ფაქტები, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების აზრი და ჩარჩო ისე შეადგინა. ექსპერტების აზრით, უსაფრთხოების კონცეფცია ქვეყნისთვის აუცილებელი იყო, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა საქართველოში არაერთი ტერორისტული აქტი განხორციელდა, მათ შორის ყველაზე მასშტაბური ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა და გორში მომხდარი აფეთქება იყო. მიუხედავად ამისა, „მოამბეში“ ტერაქტთან დაკავშირებით ანალიტიკური მასალა არ მომზადებულა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გორში მომხდარი აფეთქება სიღრმისეულად არ გაანალიზებულა.

„კურიერისა“ და „მოამბის“ 13 სიუჟეტში ტერაქტი დეტალურად აღიწერა, რაც საერთო მასალის 43.3%-ია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ტელემედიამ ტერორისტულ აქტის, მისი ბექგრაუნდის შესახებ საზოგადოებას, თითქმის, სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდა, რაც მისასალმებელია. გარდაცვლილებსა და დაშავებულებზე ცნობები 30-დან 12 მასალაში გადაიცა, რაც 40%-ს უდრის, გამოძიების

მიმდინარეობის შესახებ კი რვა მასალაში იყო საუბარი, რაც სიუჟეტების საერთო რაოდენობის 27%-მდეა (იხ. გრაფიკა N27).



გრაფიკა N27. გორში მომხდარი ტერაქტის აღწერა TV მედიაში

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორივე მედიასაშუალების მთავარი საინფორმაციო გამოშვების ყველაზე მეტ მასალაში სიტყვები - „გორი“, „აფეთქება“ და „ტერაქტი“ გამოიყენეს (იხ. ცხრილი N30).

ცხრილი N31. გორში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული სიტყვები სატელევიზიო მედიაში

ტერმინები	მასალა (სულ: 30)
გორი	29
სამხარეო პოლიცია	14
პოლიციელები	9
აფეთქება	26

ტერაქტი	26
ტერორისტული აქტი	8
ტერორისტი	3
ტერორიზმი	7
საფრთხე	8
უსაფრთხოება	9
რუსეთი	11

საინტერესოა იმის აღნიშვნა თუ რა წყაროები გამოიყენა ქართულმა სატელევიზიო მედიამ მოსკოვში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სატელევიზიო მედიაში ყურადღება იყო გამახვილებული ხელისუფლების მოსაზრებაზე (იხ. გრაფიკა N28). აუცილებელია აღინიშნოს, რომ სატელევიზიო მედიაში საქართველოს ხელისუფლების, ძალოვანი სტრუქტურების მიმართ, პრაქტიკულად, უარყოფითი მოსაზრება არ გაჟღერებულა, განსაკუთრებით კი „კურიერში“. მხოლოდ სამ სიუჟეტში აღინიშნა, რომ აუცილებელია უფრო მტკიცე ნაბიჯების გადადგმა უსაფრთხოების ზომების გასამკაცრებლად, ამ მოსაზრებას კი კრიტიკას ვერ დავარქმევთ.



გრაფიკა N28. გორში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას სატელევიზიო მედიაში გამოყენებული წყაროები

სატელევიზიო მედიის დეტალურად განხილვისთვის უმჯობესია ცალკეული საკითხები „რუსთავი 2-ისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს ცალ-ცალკე განვიხილათ.

„კურიერში“ ტერორისტული აქტის შესახებ 14 ამბავი გავიდა, აქედან ჟურნალისტის 4 პირდაპირი ჩართვა, საიდანაც 2-ს სიუჟეტი ერთვოდა, 1 სტუმართან ინტერვიუ, 5 ნიუსი და კიდევ 4 სიუჟეტი (იხ. გრაფიკა N29).



გრაფიკა N29. გორის ტერაქტთან დაკავშირებით „რუსთავი 2-ში“ გასული მასალების მონაცემები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გორში მომხდარი ტერაქტის დღეს, პირველ თებერვალს, „რუსთავი 2“ საგანგებო ეთერით მაუწყებლობდა. ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით ახალი ამბები უწყვეტ რეჟიმში გადაიცემოდა. მთელი დღის განმავლობაში მაყურებელს დიდი რაოდენობით ინფორმაცია მიეწოდებოდა. 21:00 საათზე „კურიერში“ კი აფეთქებასთან დაკავშირებით - 10 ამბავი გავიდა. ტერაქტის მოწყობის პირველ დღეს „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 2 კვირის განმავლობაში ტერორისტული აქტის შესახებ გაშუქებული მასალების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი ამბავი გავიდა. 21:00 საათიანი „კურიერი“ პირველ თებერვალს გორის სამხარეო პოლიციასთან მომხდარი აფეთქების ახალი ვიდეოკადრებით დაიწყო. ახლო ხედით ნაჩვენები იყო დასისხლიანებული ადამიანები, დაშავებულების სახეები, დაზიანებული მანქანები. ვიდეოში ორჯერ აღინიშნა, რომ გორში ტერაქტი მოხდა. უნდა ითქვას, რომ კადრები საკმაოდ მძიმედ საყურებელი იყო, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასახული იყო ფაქტები და რეალური მოვლენა.

პირველ თებერვალსვე დაზუსტდა დაშავებულებისა და გარდაცვლილების შესახებ ინფორმაცია. „კურიერმა“ აღნიშნულის შესახებ საზოგადოებას 7 სიუჟეტში აცნობა.

„რუსთავი 2-მა“ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ტერორისტული აქტი სამხარეო პოლიციასთან მოხდა და პოლიციელები დაიღუპნენ. დეტალურად გაშუქდა გარდაცვლილი სამართალდამცავების შესახებ ინფორმაცია, გავრცელდა ცნობა მათი ვინაობისა და თანამდებობის შესახებ.

„რუსთავი 2-ის“ ეთერში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებას. „კურიერში“ სიუჟეტები და პირდაპირი ჩართვები მიეძღვნა, თუ როგორ მოინახულეს დაშავებულები გორის საავადმყოფოში ხელისუფლების წარმომადგენლებმა. შემოთავაზებული იყო დაჭრილების ინტერვიუები, რომლებიც აფეთქებას იხსენებდნენ. გორელები ამბობდნენ, რომ საზოგადოებაში შიშმა დაისადგურა. შიშზე განსაკუთრებით ისინი საუბრობდნენ, ვინც ისრაელიდან ტერაქტებს გამოექცნენ.

„რუსთავი 2-ის“ ეთერით პოლიტიკოსები ტერაქტს საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივას უკავშირებდნენ. მათი თქმით, გორში მომხდარი რუსეთის სპეცსამსახურების კვალს ჰგავდა. ეს იყო ვარაუდი, შესაბამისად, ჟურნალისტები აფეთქების მიზეზებზე საუბრისგან თავს იკავებდნენ.

მედიის ცნობით, გორის სამხარეო პოლიციასთან „ჟიგულის“ მარკის ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო, რომელიც ამოქმედდა. გამოძიებას მანქანის მფლობელის ვინაობა დადგენილი ჰქონდა. მედიამ აღნიშნა ისიც, რომ ავტომობილი გორის სამხარეო პოლიციის უფროსის კაბინეტთან იდგა, რომელიც აფეთქების მომენტისთვის სამსახურში არ იმყოფებოდა. ჟურნალისტების თქმით, ტერაქტის სავარაუდო სამიზნე სწორედ სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელი, ალექსანდრე სუხიტაშვილი იყო, რომელსაც ანტიტერორისტული სამსახურის მიმართ პრეტენზია ჰქონდა. მით უმეტეს, ამასაც ვერ ვუწოდებთ უარყოფით შეფასებას, მაგრამ

„რუსთავი 2-ის“ ეთერში, პრაქტიკულად, ძალოვანი უწყებების, უშიშროების სამსახურების მიმართ კრიტიკული აზრი არ გაჟღერებულა. „კურიერში“, ფაქტობრივად, ასევე არ იყო დაფიქსირებული ექსპერტთა მოსაზრება. ძალიან საინტერესო იქნებოდა სპეციალისტების შეხედულების გაგება, თუ რას დაუკავშირებდნენ ისინი გორში მომხდარ ტერაქტს.

„რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გორში განხორციელებული ტერორისტული აქტის შესახებ ანალიტიკური მასალა არ მომზადებულა, რაც საზოგადოების ნაკლებ ინფორმირებულობას გამოიწვევდა. ტელემაყურებელს მიეწოდა ცნობები მხოლოდ ტერაქტზე, დაშავებულებსა და გარდაცვლილებზე ინფორმაცია, ხოლო გამომწვევ მიზეზებზე საუბარი, თითქმის, არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ აზრის დაფიქსირებას.

გორის სამხარეო პოლიციასთან მომხდარი ტერაქტის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში პირველიდან 14 თებერვლამდე 16 მასალა გავიდა, რომელთაგან 7 სიუჟეტი იყო, 4 პირდაპირი ჩართვა და 5 ნიუსი (იხ გრაფიკა N30).



გრაფიკა N30. გორის ტერაქტთან დაკავშირებით „მოამბეში“ გასული მასალის რაოდენობა

ტერაქტის მოწყობის პირველ დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე დეტალურად იყო აღწერილი აფეთქების დეტალები. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფომ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღო, პოლიცია ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიდა. კადრებში ნაჩვენები იყო აფეთქების შედეგად დანგრეული შენობები, დაზიანებული მანქანები, დაშავებული ადამიანები.

ტერაქტის მოწყობის დღესვე „მოამბეში“ სავარაუდო ორგანიზატორებზე საუბარი დაიწყო. პოლიტიკოსები დამნაშავეებს საზღვრებს მიღმა ეძებდნენ, თუმცა ეს იყო შეფარვითი, ირიბი მინიშნებები. ტერორისტული აქტის პირველსავე დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ოპოზიციის წარმომადგენლები ტერორიზმის პრევენციაზე ალაპარაკდნენ. „მოამბემ“ ყურადღება გაამახვილა ნატოს მზადყოფნაზე, საქართველოს ტერორიზმთან ბრძოლაში დასახმარებლად, ოღონდ რუსეთს სამხედრო ბაზები ქვეყნიდან უნდა გაეყვანა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ყურადღება იყო გამახვილებული ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებაზე, ასევე ნაჩვენები იყო მოჰყვა თუ არა გორში მომხდარს საერთაშორისო გამოხმაურება.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე გაჟღერდა მოსაზრება გორის ტერაქტსა და ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებას შორის შესაძლო კავშირზე, თუმცა ეს შეხედულება, რომელზეც „მოამბის“ ინფორმაციით, უცხოური მედია წერდა, მოგვიანებით ტელეარხზე აღარ დაფიქსირებულა.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ საქართველოში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართულ სატელევიზიო მედიაში არ იყო აქტუალური ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი. ტერმინი ტერორიზმი სატელევიზიო მედიის მხოლოდ შვიდ სიუჟეტში ახსენეს.

3.10. 2005 წლის I თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტის ქართულ ბეჭდურ მედიაში გაშუქება

13 წლის წინ გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან მომხდარ აფეთქებაზე პირველიდან 14 თებერვლის ჩათვლით ქართულ პრესაში 65 მასალა დაიბეჭდა (იხ. გრაფიკა N30).



გრაფიკა N31-დან ნათლად იკვეთება, რომ შიდა ქართლში განხორციელებულ ტერაქტს ყველაზე მეტი სტატია „ახალმა თაობამ“ მიუძღვნა, ყველაზე ნაკლები კი „კვირის ქრონიკამ“. ამ შემთხვევაში გამოცემების პერიოდულობაც გასათვალისწინებელია, საკვლევი ობიექტებიდან მხოლოდ „კვირის ქრონიკა“ კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა. 1-14 თებერვლის ჩათვლით გაზეთის სამი ნომერი გამოიცა, რომელთაგან ერთი პირველი თებერვლითაა დათარიღებული, შესაბამისად, მაშინ პრესაში ტერაქტზე ვერაფერი დაიწერებოდა, რადგან აფეთქება სწორედ იმ დღეს მოხდა, გაზეთის ნომერი კი უკვე გამოცემული იყო. შესაბამისად, „კვირის ქრონიკის“ ორი ნომრიდან სამხარეო პოლიციის შენობასთან მანქანის აფეთქებასთან დაკავშირებით ორი მასალა დაიბეჭდა, რაც, პერიოდულობის ფაქტორის გათვალისწინების მიუხედავად,

მცირე რაოდენობაა, რადგან ტერაქტს დანარჩენმა სამმა გაზეთმა გაცილებით მეტი სტატია მიუძღვნა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შიდა ქართლის სამხარეო პოლიციასთან განხორციელებული ტერორისტული აქტის გასაშუქებლად ბეჭდური მედია ახალი ამბის ტიპს ანიჭებდა უპირატესობას, მას 41.5% დაეთმო (იხ. ცხრილი N32).

ცხრილი N32: გორში მომხდარი ტერაქტის შესახებ მასალების ტიპები ბეჭდურ მედიაში

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	27	41.5	41.5
2 სტატია	25	38.5	38.5
3 ინტერვიუ	10	15.4	15.4
4 სხვა	3	4.6	4.6
ჯამი	65	100.0	100.0

„ახალ თაობაში“ 11 სტატია, 6 ინტერვიუ და 18 ნიუსი დაიწერა. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 8 ნიუსი, 2 მიმოხილვა, 1 განცხადება, 4 სტატია და 2 ინტერვიუ. „კვირის ქრონიკაში“ - 2 სტატია, „რეზონანსში“ - 8 სტატია, 2 ინტერვიუ და ერთი ნიუსი (იხ. გრაფიკა N32).



გრაფიკა N32. გორის ტერაქტთან დაკავშირებით მასალების რაოდენობა პრესაში

შიდა ქართლში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით ქართულმა პრესამ ყველაზე ხშირად სიტყვები - „ტერაქტი“, „გორი“ და „აფეთქება“ გამოიყენა. ვინაიდან საქართველოში მოხდა ტერაქტი, ამიტომ შესასწავლ სიტყვებში „გორიც“ მოვიაზრეთ და, შესაბამისად, დავთვალეთ სტატიები, სადაც „გორი“ იყო ნახსენები. სხვა ტერმინებთან შედარებით, ქართულ ბეჭდურ მედიაში რუსეთი ბევრჯერ იყო ნახსენები. სტატიებში რუსეთზე რამდენიმე კონტექსტში იწერებოდა. იყო მოსაზრება, რომ ტერაქტის უკან რუსეთი იდგა. ტერორისტული აქტის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა შესახებ ვერსიებზე უფრო ვრცლად შემდგომ ვისაუბრებთ. პრესაში ასევე გამოკვეთილი იყო რუსული მხარის პოზიცია, რომ ჩეჩენი ტერორისტები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, კერძოდ, პანკისის ხეობაში.

„რეზონანსმა“ უცხოეთის რუბრიკაში ყურადღება დაუთმო ჩეჩენ ბოევიკებზე ინფორმაციის გავრცელებას. ორი სტატია მიეძღვნა შამილ ბასაევს „შამილ ბასაევი ცოცხალია“ და „ბასაევი ეშმაკობს. ჩეჩენი ტერორისტი საკუთარი გარდაცვალების შესახებ ინფორმაციებს თავადვე ავრცელებს?“. 10 თებერვალს დაიბეჭდა

ბერეზოვსკისთან ინტერვიუ „ჩეჩენ ბოევიკებს ატომური ბომბი აქვთ?!“ სტატიაშივე აღნიშნული იყო, ბერეზოვსკის ამ ინფორმაციას „ნაბოდვარს“ უწოდებდნენ.

ცხრილი N33. გორში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ქართულ ბეჭდურ მედიაში მოხსენიებული ტერმინების რაოდენობა

ტერმინები	„ახალი თაობა“	„საქართველოს რესპუბლიკა“	„რეზონანსი“	„კვირის ქრონიკა“	ჯამი (სულ:65)
გორი	32	15	8	2	57
სამხარეო პოლიცია	8	3	5	1	17
პოლიციელები	4	3	3	1	11
აფეთქება	21	8	7	2	38
ტრაგედია	9	3	2	0	14
ტერაქტი	33	13	10	2	58
ტერორისტული აქტი	12	7	3	0	22
ტერორიზმი	5	4	2	0	11
ტერორისტი	3	4	6	0	13
ისლამისტი	1	1	0	0	2
რუსეთი	10	7	4	1	22

გორში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ბეჭდურ მედიაში დაბეჭდილი მასალებიდან ირკვევა, რომ პრესაში ტერორიზმთან, როგორც მსოფლიოს გამოწვევასთან ბრძოლაზე დიდი ყურადღება არ იყო გამახვილებული, მედიაში უფრო მეტად აქცენტი გაკეთებული იყო ტერაქტის განმეორების საფრთხეზე. 65 მასალიდან რვა სტატიაში იყო აღნიშული, რომ ტერორიზმთან ბრძოლა აუცილებელია.

ქართულ ბეჭდურ მედიაში საერთოდ არ იყო ნახსენები სიტყვები „თავდასხმა“ და „თავდამსხმელი“, ხოლო მედიაში 13-ჯერ გამოიყენეს სიტყვა „ტერორისტი“. ბეჭდურ მედიაში ორჯერ „ისლამისტიც“ ახსენეს. ორი არ არის დიდი რაოდენობის გამომხატველი, თუმცა აღსანიშნავი ის არის, რომ შიდა ტერორისტული აქტის გაშუქებისას ეს სიტყვა საერთოდ გამოიყენეს.

გორში მომხდარი აფეთქება დეტალურად 65 მასალიდან რვაში აღიწერა. 14 მასალაში დაიწერა გარდაცვლილებისა და დაშავებულების შესახებ. გლოვისა და გარდაცვლილების დაკრძალვის შესახებ ინფორმაცია ოთხ სტატიაში იყო მოცემული. საერთო რაოდენობის 60%-ში მსგავსი დეტალები საერთოდ არ დაფიქსირებულა, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

ცხრილი N34. გორში მომხდარი ტერაქტის შესახებ ფაქტების ბეჭდურ მედიაში გაშუქება

ტერაქტზე ინფორმაცია	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
ტერაქტის დეტალური აღწერა	8	12.31	12.31
გარდაცვლილებისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია	14	21.54	21.54
გლოვა, დაკრძალვა	4	6.15	6.15
არ დაფიქსირდა	39	60	60
სტატიების ჯამი	65	100.0	100.0

პრესაში ხაზი გაესვა ტერორისტული აქტის ადგილმდებარეობას. ბეჭდურ მედიაში აქცენტი გაკეთდა, რომ 2005 წლის პირველ თებერვალს აფეთქება კონფლიქტის ზონასთან ახლოს, სამხარეო პოლიციის შენობასთან მოხდა. შვიდ სტატიაში იყო აღნიშული, რომ ტერორისტული აქტი პოლიციასთან განხორციელდა. შვიდ მასალაში ყურადღება გამახვილდა, რომ ტერაქტის შედეგად პოლიციელები გარდაიცვალნენ. სამ

სტატიაში კი აღინიშნა, რომ აფეთქება შიდა ქართლის პოლიციის უფროსის, ალექსანდრე სუხიტაშვილის კაბინეტთან მოხდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მედიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ტერაქტის გამოძიებას. საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით ინფორმაცია 16 საგაზეთო პუბლიკაციაში დაიწერა. აქედან ხუთში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია ტერორისტულ აქტზე სათანადო გამოძიება ჩატარდეს, ხოლო 11 სტატიაში კი დაიწერა, რომ გამოძიება უკვე მიმდინარეობს. ხუთ მასალაში იყო დამნაშავეების გამოვლენის შესახებ ცნობა მოცემული.

ცხრილი N35. გორში მომხდარი ტერაქტის გამოძიების შესახებ დაბეჭდილი მასალები ბეჭდურ მედიაში

გამოძიებაზე მასალები	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
აუცილებელია ტერაქტი სათანადოდ გამოიძიონ	5	7.6	7.6
გამოძიება მიმდინარეობს	11	17	17
არ დაფიქსირდა	49	75.4	75.4
სტატიების ჯამი	65	100.0	100.0

ქართულმა ბეჭდურმა მედიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გორში მომხდარი აფეთქების დაგეგმვის ვერსიების განხილვას. ტერაქტის პირველად გაშუქების დროსაც კი პრესაში გარკვეული ვერსიები განიხილებოდა. საერთო ჯამში, 65 პუბლიკაციიდან 23-ში ვერსიებზე მსჯელობდნენ. ცალკე განვიხილეთ თუ რა ვერსიებზე წერდა პრესა და როგორი იყო მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი (იხ. გრაფიკა N33). კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ბეჭდურ მედიაში ყველაზე მეტ მასალაში გაჟღერდა მოსაზრება, რომ გორში მომხდარი ტერაქტის უკან რუსეთი იდგა.



გრაფიკა N33. ტერაქტთან დაკავშირებული ვერსიები ქართულ ბეჭდურ მედიაში

ტერორისტული აფეთქების საზღვრის მიღმა დაგეგმვის შესახებ ოთხ სტატიაში დაიბეჭდა. ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ ტერაქტი კონფლიქტის ზონასთან მოეწყო. აღნიშნულთან დაკავშირებით ექვს პუბლიკაციაში დაიწერა. მედიამ განსაკუთრებულად გამოყო ტერაქტთან რუსეთის კავშირი. ის ვერსია, რომ ტერორისტული აქტი რუსეთმა დაგეგმა, 10 სტატიაში აღინიშნა. აქტიურად განიხილებოდა ისიც, რომ გორში მომხდარი აფეთქება საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის (2005) სამშვიდობო ინიციატივაზე იყო პასუხი. პრესაში ოსურ კვალზეც იწერებოდა, ასევე იყო მინიშნება, რომ ტერაქტთან ოსეთი არაფერ შუაშია, თუმცა პარალელურად აღინიშნებოდა ქართულ-ოსური ურთიერთობა, კონფლიქტი. მედიაში ასევე ყურადღება იყო გამახვილებული, რომ ტერორისტული აქტი სამხარეო პოლიციის უფროსის კაბინეტთან განხორციელდა და სამიზნე, რეალურად, პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი იყო, რომელიც აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე სამსახურიდან გავიდა და, შესაბამისად, ტერაქტს გადაურჩა.

ვერსიების მრავალფეროვნებით ყველაზე მეტად „ახალი თაობა“ გამოირჩეოდა. განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე მოსაზრება, მათ შორის ცხინვალთან

დაკავშირებით. სტატიაში „თუ სიმართლე, დავმალეთ, კლანები დაგვაქცევენ“ ავტორმა, გიორგი უძილაურმა რამდენიმე ვერსია გააჟღერა. ის მოქმედ ხელისუფლებას აკრიტიკებდა. მისი თქმით, ტერაქტით დადასტურდა, რომ გორში კანონის მოქმედება ან შეჩერებული იყო ან შენელებული. ავტორის შეფასებით, ხელისუფლება ცდილობდა, რომ აფეთქება ოს სეპარატისტებთან ან რუსეთთან დაეკავშირებინა, მაგრამ უძილაური აღნიშნავდა, რომ შიდა ქართლში გავრცელებული იყო აზრი, რომ ტერაქტი მიმართული იყო ალექსანდრე სუხიტაშვილის მისამართით და ტერორისტულ აქტს ქართველებსა და ოსებს შორის ეთნიკურ პრობლემასთან კაშირი არ ჰქონდა.

„ახალ თაობაში“ პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად აღნიშნული იყო, რომ შიდა ქართლის გუბერნატორი ქარელი კონტრაბანდას ხელს აფარებდა, რადგან ბიზნესდაინტერესება ჰქონდა, მის მარჯვენა ხელად პოლიციის უფროსი, ალექსანდრე სუხიტაშვილი მოიაზრებოდა. ტერაქტის უკან კონტრაბანდული ბიზნესის არსებობაზე „ახალი თაობის“ გარდა, „რეზონანსსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ წერდნენ. შესაბამისად, სატელევიზიო მედიისგან განსხვავებით, ბეჭდურ მედიაში საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისადმი კრიტიკა ისმოდა.

მედიაში ხშირად აღინიშნებოდა, რომ ტერაქტი იმათი მოწყობილია, ვისაც ქვეყანაში დესტაბილიზაცია სურს. მსგავს განცხადებებს ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებდნენ. ისინი კონკრეტულ ვინაობასა და კვალზე არ მიუთითებდნენ, თუმცა კატეგორიულად და გადაჭრით ამბობდნენ, რომ ტერორისტული აქტის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს არ უნდოდათ ქვეყანაში სტაბილურობა შენარჩუნებულიყო. „კვირის ქრონიკაში“ კი გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ კვალი შესაძლოა, აღმოსავლურ ტერორისტულ ორგანიზაციამდეც მიდიოდეს. აღნიშნულის შესახებ სამ სტატიაში დაიწერა.

აუცილებელია ვისაუბროთ, ტერაქტის მიზანთან დაკავშირებით მედიაში რა ფრეიმები გამოიკვეთა. ბეჭდურ მედიაში ტერორისტული აქტის მიზნის შესახებ 13 პუბლიკაციაში დაიწერა. პრესაში სხვადასხვა მიზანს განიხილავდნენ, მათ შორის

ყველაზე აქტიურად აღინიშნა, რომ აფეთქება საქართველოში მიმდინარე პროცესების წინააღმდეგ იყო მიმართული. 6 სტატიაში დაიწერა, რომ ტერორისტული აქტის მიზანი საზოგადოებაში პანიკის დათესვა და მოსახლეობის დაშინება იყო (იხ. გრაფიკა N34).



გრაფიკა N34. გორში მომხდარი ტერაქტის ბეჭდურ მედიაში გაშუქებისას გამოხატული ტერორისტული აქტის მიზანი

სატელევიზიო მედიისგან განსხვავებით, ბეჭდურ მედიაში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა გაკრიტიკებულია. რვა პუბლიკაციაში ნეგატიურადაა შეფასებული საქართველოს ხელისუფლებისა და ძალოვანი უწყებების რეაგირება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაზე. კრიტიკული ხასიათის მასალები ძირითადად „ახალ თაობაში“ ჭარბობდა, მსგავსი შინაარსის ოთხი სტატია აღნიშნულ გაზეთში დაიბეჭდა.

ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა ტერორისტული აქტი, ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ რა წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებდა ინფორმაციას ქართული ბეჭდური მედია. პრესაში რესპონდენტთა უმეტესობა ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა ტელეკომპანიებისგან განსხვავებით, ბეჭდურ მედიაში ოპოზიციისა და ექსპერტების აზრი ხშირად იყო გაჟღერებული. 23 პუბლიკაციაში იყო მთავრობის, ძალოვანი უწყებების, მმართველი გუნდისა თუ

პრეზიდენტის პოზიცია გამოხატული. ოპოზიციის აზრი 12 სტატიაში გაჟღერდა, ხოლო ექსპერტების პოზიცია კი - შვიდ მასალაში. გორის ტერაქტთან დაკავშირებით ბეჭდურ მედიაში აფეთქების თვითმხილველებთან ინტერვიუები, ფაქტობრივად, არ ყოფილა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო დაფიქსირებული მათი შეხედულება. პრესაში წარმოჩენილი იყო ოსეთისა და რუსეთის მხარეების პოზიციები (იხ. გრაფიკა N35).



გრაფიკა N35. გორში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას წყაროები ბეჭდურ მედიაში

ძალიან მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ბეჭდურმა მედიამ გორში განხორციელებულ ტერაქტს პირველ-ორ დღესთან შედარებით, უფრო ნაკლები ყურადღება დაუთმო, თუმცა გაცილებით მეტი, ვიდრე სატელევიზიო მედიამ. პრესაში განიხილებოდა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებისა და ტერორისტული აქტის ერთმანეთთან დაკავშირება, საერთო კვალის ძებნა, ან უბრალოდ ორი მოვლენის ერთად განხილვა, როგორც ქვეყნისთვის საზიანო 2 ფაქტის. ჟვანიას გარდაცვალებასა და სამხარეო პოლიციასთან მომხდარ აფეთქებასთან კავშირის დადგენას ბეჭდური მედიის 10 მასალაში ცდილობდნენ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გორში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ბეჭდური მედიისთვის მნიშვნელოვანი იყო თავდასხმის დაგეგმვის ვერსიების განხილვა.

3.11. 2001 წლის 11 სექტემბერს ა.შ.შ.-ში განხორციელებული ტერაქტების ქართულ მედიაში გაშუქება

9/11 - ასე შევიდა ისტორიაში ყველაზე მასშტაბური და დამანგრეველი ტერორისტული აქტები. ამ მოვლენამ ტერორიზმის მიმართ ინტერესი და შიში გაამძაფრა. ბოლო წლებში ევროპის არაერთ ქალაქში (მაგ. ბრიუსელი, პარიზი) ტერაქტი განხორციელდა, რამაც ცივილიზებული სამყარო კიდევ ერთხელ დააფიქრა, რომ ტერორიზმი კაცობრიობის საფრთხეა, რომ მსოფლიოში ტერორისტებისგან დაცული ქვეყანა არ არსებობს. ამაში საზოგადოება ჯერ კიდევ 2001 წლის 11 სექტემბერს დარწმუნდა, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორისტული აქტების სერია მოეწყო. „ალ-ქაედას“ თვითმკვლელმა ტერორისტებმა ტერაქტი მოაწყვეს. 19-მა ტერორისტმა 4 სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს. გამტაცებლებმა 2 თვითმფრინავი ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის 2 ცათამბჯენს, ე.წ. „ტყუპებს“ შეაჯახეს, სადაც 2 ათას 600 ადამიანზე მეტი დაიღუპა. ორი საათის განმავლობაში ორი ცათამბჯენი ნანგრევებად იქცა. გამტაცებლებმა მე-3 თვითმფრინავი პენტაგონის შენობას შეაჯახეს, რასაც 125 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მე-4 თვითმფრინავი კი პენსილვანიის შტატში მდებარე ველზე ჩამოვარდა. ოთხივე თვითმფრინავის მგზავრები დაიღუპნენ, მათი რაოდენობა 256-ს შეადგენდა.

11 სექტემბერს განვითარებული მოვლენები მედიის მეშვეობით მსოფლიოს დეტალურად ახსოვს. ადგილობრივი თუ საერთაშორისო პრესა, ტელევიზიები, რადიოსადგურები ტერორისტულ აქტებს აშუქებდა. მედიის როლი ტერორიზმთან

დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ძალიან მნიშვნელოვანია. ვიმანის (Weimann, 2008) აზრით, 9/11-ის შემდეგ საზოგადოებამ მედიას მიაპყრო ყურადღება. ხალხს უნდოდა მიეღო ინფორმაცია დაღუპულებისა და დაშავებულების, ზარალის შესახებ. საზოგადოება სიახლის მოლოდინში იყო. ადამიანებს აინტერესებდათ, ვინ იდგა ტერორისტული აქტების უკან. მათ სურდათ, გაეგოთ, ამერიკის შეერთებული შტატები ტერორისტების წინააღმდეგ რა ზომებს მიიღებდა. ამ და სხვა ინფორმაციის მიიღება მედიით იყო შესაძლებელი. თუმცა ამბის გადმოცემასთან, ერთად მედიამ ტერორიზმის გაშუქებისას შესაძლოა, საზოგადოებაში შიში დანერგოს, ძალადობის შემცველი ფოტოებისა და კადრების ვიზუალიზაციით კი ის შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს. შესაძლოა, მედია ტერორისტების მიზნებისთვის იყოს გამოყენებული. საინტერესოა ქართული მედია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებს როგორ აშუქებდა. კვლევის მიზანია ქართულ ბეჭდურ („ახალი თაობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და „რეზონანსი“) და სატელევიზიო მედიაში („რუსთავი 2“) 9/11-ის გაშუქებისას გამოკვეთილი ფრეიმების დადგენა.

2001 წლის 11 სექტემბრიდან 2 კვირის განმავლობაში ტერაქტებზე დაბეჭდილი სტატიები და „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული ახალი ამბები შევისწავლეთ.

2001 წელს ა.შ.შ.-ში განხორციელებული ტერაქტების გაშუქება ოთხ მედიასაშუალებაში („საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“ და „რუსთავი 2“) შევისწავლეთ. ტერორისტული აქტების შესახებ ბეჭდურ მედიაში ორი კვირის განმავლობაში დაბეჭდილი ყველა სტატია, ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული ყველა სიუჟეტი შევისწავლეთ. საკვლევი პერიოდის ფარგლებში ტერაქტებს 192 მასალა მიეძღვნა, საიდანაც 49 – „რუსთავი 2-ის“ ეთერში გავიდა, 143 კი სამ გაზეთში დაიბეჭდა. შედეგების დეტალურად გასაანალიზებლად, ტელევიზიასა და ბეჭდურ მედიას ცალ-ცალკე განვიხილავთ.

3.11.1. 2001 წელს ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტების გაშუქება სატელევიზიო მედიაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ორი კვირის განმავლობაში 49 მასალა გავიდა. მათგან ყველაზე მეტი, 31 სიუჟეტის ტიპი იყო, რაოდენობრივად ყველაზე ცოტა ინტერვიუ და ახალი ამბავი იყო, მათი რაოდენობა 5-5 იყო (იხ. ცხრილი N36).

ცხრილი N36: ამერიკაში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული მასალების ტიპები „კურიერში“

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 ახალი ამბავი	5	14.5	14.5
2 სიუჟეტი	31	1.6	1.6
3 ინტერვიუ	5	37.1	37.1
4 პირდაპირი ჩართვა	8	46.8	46.8
ჯამი	49	100.0	100.0

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართული სატელევიზიო მედიის ყველაზე მეტ სიუჟეტში (37) გამოიყენეს სიტყვა - „ტერაქტი“, რაოდენობრივად შემდეგ ყველაზე მეტ მასალაში (31) ტერმინი „ტერორისტი“ ახსენეს. ასევე „კურიერის“ ეთერში ჟურნალისტების მხრიდან ტერაქტთან დაკავშირებით შეფასება ისმოდა - „ნამდვილი ჯოჯოხეთი“, „ტრაგედია“, „საშინელება“. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული აქტი ნამდვილად შემზარავი იყო, უშუალოდ მედიის წარმომადგენლების მხრიდან მსგავსი შეფასებების გაჟღერებამ საზოგადოებაში შიში გაამძაფროს. კვლევის ჰიპოთეზაში არ იყო მოცემული, რომ ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქებისას ბინ ლადენის სახელი ხშირად გაჟღერდებოდა, თუმცა აღსანიშნავია ის, რომ საკმაოდ ბევრ მასალაში ნახსენებია ბინ ლადენის სახელი. მისი ხსენება მედიასაშუალებაში არ არის გასაკვირი, თუმცა უნდა ითქვას, რომ „კურიერმა“ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ამასთან ერთად, „რუსთავი 2-ის“

მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ყურადღება იყო გამახვილებული თალიბებზე. ხაზი გაესვა ამერიკისა და ავღანეთის ურთიერთობას, ბინ ლადენის ა.შ.შ.-სთვის გადაცემის საკითხს (იხ. ცხრილი N37).

ცხრილი N36. „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებული ტერმინები

ფრეიმები	რაოდენობა - ანალიზის ერთეული (ჟურნ. მასალა სულ: 49)
ტერაქტი	37
ტერორისტული აქტი	10
ტერორისტი	31
ტერორიზმი	27
ბინ ლადენი	21
თალიბები	11
„ალ ქაიდა“	17
პანკისი	7

„კურიერში“ გასული სიუჟეტების შინაარსის შესწავლისას დადგინდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით ფრეიმები ეტაპობრივად იცვლებოდა. თავდაპირველად, ტერაქტიდან 2 დღის განმავლობაში, სიუჟეტებში ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ მოვლენების აღწერაზე, მსხვერპლთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, იმის გარკვევაზე, არიან თუ არა დაშავებულებს შორის საქართველოს მოქალაქეები. ამავე დღეებში ბინ ლადენის სახელი უკვე აქტიურად ისმოდა, თუმცა მოგვიანებით, მასზე უფრო დიდი ყურადღება გამახვილდა. „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აქტიურად განიხილებოდა ტერაქტის შემდეგ ეკონომიკური მდგომარეობა,

საფონდო ბირჟებზე ცვლილებები. 12 სექტემბრის სიუჟეტში ნათქვამია, რომ ა.შ.შ.-ის ეკონომიკა ტერაქტებმა შესაძლოა, კატასტროფამდე მიიყვანოს, ნიუ იორკის საფონდო ბირჟა დაკეტილია, ნავთობის ფასი გაიზარდა“.

ამერიკაში ტერაქტის შედეგებზე საუბარს სატელევიზიო მედიის შვიდი მასალა დაეთმო, თუმცა გაცილებით მეტი სიუჟეტი მიეძღვნა იმის გარკვევას თუ ვინ მოაწყო ტერაქტი.

ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაედას“ შესახებ „კურიერში“ ცალკე სიუჟეტი არ გასულა. საუბარი იყო ბინ ლადენზე, თუმცა უშუალოდ დაჯგუფებაზე არა. ამას ორი მხარე შეიძლება ჰქონდეს, დადებითია ის, რომ მედია ტერორისტული ორგანიზაციის მიზნების შემსრულებელი არ გახდა, დაჯგუფების პროპაგანდა არ მომხდარა, თუმცა, მეორე მხრივ, საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებული დარჩა. ამიტომ სამაუწყებლო კომპანიას „ალ ქაედას“ შესახებ მაყურებლისთვის უნდა მიეწოდებინა ცნობები, თუმცა არა ისე, რომ დაჯგუფება დომინანტურად წარმოჩენილიყო. 18 მასალაში აღინიშნა, რომ ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერორისტული აქტების უკან ბინ ლადენი იდგა (იხ. ცხრილი N38). გარდა ამისა, ტერორისტი კიდევ სამ მასალაში ახსენეს, თუმცა იქ ცალსახად არ იყო აღნიშნული, რომ ის ტერაქტებთან იყო დაკავშირებული. ბინ ლადენს ცალკე სიუჟეტები მიეძღვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ის ნომერ პირველი ტერორისტი იყო. მას 300 მილიონი ჰქონდა ანგარიშზე. ისევე, როგორც საერთაშორისო მედია, დაწყებული CNN-ითა და დამთავრებული „ალ ჯაზირათი“ (ვიმანი, Weimann, 2008) ქართული მედიაც ბინ ლადენზე, როგორც გავლენიან ლიდერზე საუბრობდა. ეს ტენდენცია არცთუ ისე მისასალმებელია, რადგან მედიამ ტერორისტის დომინანტობას ხაზი არ უნდა გაუსვას, რადგან თავდამსხმელის სიძლიერის აღნიშვნა, დიდი ალბათობით, მის მიმართ შიშს კიდევ უფრო გაამძაფრებს, თავად ტერორისტი კი თავს მნიშვნელოვნად ჩათვლის.

ცხრილი N38. ბინ ლადენის სახელის მოხსენიება „კურიერში“

ბინ ლადენის მოხსენიება	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი

ბინ ლადენი იდგა ტერორისტული აქტის უკან	18	36.8	36.8
ბინ ლადენის სახელი ზოგადად	3	6.1	6.1
არ გამოვლინდა	28	57.1	57.1
სიუჟეტების ჯამი	49	100.0	100.0

ყველა მასალის შეჯამების შედეგად, დადგინდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას „რუსთავი 2-მა“ ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმო ტერორიზმის საკითხს. არაერთხელ აღინიშნა, რომ ის არის მსოფლიოს გამოწვევა და საფრთხე, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მასშტაბური ტერაქტი ყველაზე ძლევამოსილ ქვეყანაშიც განხორციელდა (იხ. ცხრილი N39).

ცხრილი N39. ტერორიზმის საკითხი „კურიერში“ ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას

ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
ტერორიზმთან ბრძოლა აუცილებელია	27	55.1	55.1
არ გამოვლინდა	22	44.9	44.9
სიუჟეტების ჯამი	49	100.0	100.0

სიუჟეტებში ყურადღება გამახვილებულია მსოფლიო ლიდერების შეფასებაზე, მათ მიერ ამერიკისადმი გამოხატულ თანაგრძნობასა და სოლიდარობაზე, ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სურვილზე. „რუსთავი 2-მა“ წყაროდ აქტიურად გამოიყენა საერთაშორისო მედია, თუმცა ყველაზე ხშირად წყაროდ ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლები გამოიყენა (იხ. გრაფიკა N36).



ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მედიაში გაივლო თუ არა პარალელი საქართველოსთან. საერთო ჯამში „რუსთავი 2-ის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საქართველო ნახსენები იყო შესწავლილი მასალების 57.1%-ში. „კურიერის“ სიუჟეტებში მუდმივად იყო საუბარი, გაძლიერდა თუ არა საქართველოში უსაფრთხოება, რამდენად მზად არის ქვეყანა ტერორიზმის დასამარცხებლად, ან გასამკლავებლად. „კურიერის“ ცნობით, ამერიკაში ტერაქტის მეორე დღეს რელიგიურ ნიადაგზე რამდენიმე ინციდენტი მოხდა, ტეხასში მეჩეთი დაარბიეს, მუსლიმებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ჟურნალისტის თქმით, რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი საქართველოშიც მწიფდებოდა, კერძოდ, საუბარი იყო გარდაბანში მეჩეთის მშენებლობის შესახებ. დამკვეთის და დამფინანსებლის ვინაობაზე ადგილობრივებს ინფორმაცია არ ჰქონდათ. სიუჟეტში ექსპერტი მამუკა არეშიძე ამბობდა, რომ მეჩეთს ფუნდამეტალისტური ორგანიზაცია აშენებდა. მისი აზრით, მეჩეთის მშენებელთა მთავარი ამოცანა ადგილობრივ, ტრადიციულ, კავკასიურ ისლამთან ბრძოლაა. სიუჟეტში ასევე აღნიშნულია, რომ პანკისში ვაჰაბიტური რელიგიის მიმდევრებმა ჩაიგდეს ძალაუფლება. ჟურნალისტის შეფასებით კი, აღნიშნულთან დაკავშირებით ხელისუფლება არ რეაგირებდა. ამ სიუჟეტში არ იყო

ნაჩვენები პანკისელების პოზიცია, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრება, რაც სრული სურათის მისაღებად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან შესაძლოა, სიუჟეტში აღწერილი მდგომარეობა ზედმეტად გადაჭარბებული იყო, ან, პირიქით, შეიძლება საკითხს უფრო ღრმა ანალიზი სჭირდებოდა. ამ კითხვებზე პასუხს მაყურებელი ვერ მიიღებდა.

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორისტული აქტების განხორციელების დღესვე „რუსთავი 2-ის“ ეთერში სპეციალური საინფორმაციო გამოშვება გავიდა. სამაუწყებლო კომპანიის პირდაპირ ეთერში სინქრონული თარგმნით CNN-ის საინფორმაციო გამოშვება გადაიცემოდა. ვინაიდან კვლევის მიზანი მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალების შესწავლა იყო, „რუსთავი 2-ის“ სპეცეთერი დეტალურად არ გაგვიანალიზებია, თუმცა გარკვეული დრო და ყურადღება მაინც დავუთმეთ, ვინაიდან CNN-ის საინფორმაციო გადაიცემოდა, საინტერესო იყო დაკვირვება თუ რა ინფორმაცია და რა ვიზუალური მასალა შუქდებოდა წამყვანი საერთაშორისო მედიის მედიის მიერ. CNN-ის საინფორმაციო გამოშვებაში, რომელიც „რუსთავი 2-ის“ ეთერში გადაიცემოდა, ნაჩვენები იყო აფეთქების კადრები, დაბნეული ხალხი, ცეცხლმოკიდებული შენობა, ასევე თუ როგორ ხტებიან ე.წ. ცათამბჯენის ფანჯრებიდან ადამიანები. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა, რაც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშ უმცროსმა (2001) მომხდარს „ეროვნული ტრაგედია“ უწოდა. CNN-ის პირდაპირ ეთერში ტერაქტის თვითმხილველები თავიანთ ემოციებზე საუბრობდნენ. თარჯიმანი ხალხის ემოციაზე ლაპარაკობდა. მისი თქმით, ქუჩებში პანიკა იყო, ხალხი კი - შეშინებული, კორესპონდენტები გაოგნებულები იყვნენ, ბევრი ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხალხის ნაწილი ქუჩაში იყო და არ იცოდნენ, საით უნდა წასულიყვნენ. ამერიკაში მომხდარი ტერაქტების სერიის შედეგად დაშავებულებისა და გარდაცვლილების კონკრეტული რიცხვების დასახელებისგან CNN თავს იკავებდა, რათა ხალხში პანიკა არ გამოეწვია, რადგან მოსახლეობა ისედაც შეშინებული იყო. ძალიან მნიშვნელოვანია მედიამ თავი შეიკავოს დაზარალებულების შესახებ დაუზუსტებელი

რაოდენობის დასახელებისგან, რადგან მოსახლეობაში დაბნეულობა და შიში კიდევ უფრო არ გაამწვავოს. პირდაპირი ეთერის დროს CNN სულ იმეორებდა ინფორმაციას, რომ ა.შ.შ.-ის მთავრობა ყველაფერს აკონტროლებდა.

„რუსთავი 2-მა“ CNN-ის მაუწყებლობის ტრანსლირებით მაყურებლებს სრული ინფორმაცია მიაწოდა. კადრებში ნაჩვენები იყო ა.შ.შ.-ში მიმდინარე მოვლენები, ითარგმნებოდა ახალი ამბები, ინტერვიუები, პარალელურად, შუქდებოდა ქართველი ხალხის, ხელისუფლების მიერ გამოხატული სოლიდარობა, პირდაპირ ეთერში ერთვებოდნენ ქართველი ჟურნალისტები, გადაიცემოდა მაღალი თანამდებობის პირების კომენტარები.

3.11.2. 2001 წლის 11 სექტემბერს ა.შ.შ.-ში განხორციელებული ტერაქტის ქართულ ბეჭდურ მედიაში გაშუქება

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მასშტაბური ტერორისტული აქტების გაშუქება სამ ქართულ ბეჭდურ გამოცემაში - „საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „ახალი თაობა“ შევისწავლეთ. საკვლევი პერიოდი ორ კვირას - 2001 წლის 12-24 სექტემბერი, იყო. სამივე გამოცემაში ა.შ.შ.-ში მომხდარ თავდასხმათა სერიას 143 მასალა მიეძღვნა, მათგან ყველაზე მეტი (91) „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა (იხ. ცხრილი N40).

ცხრილი N40. .ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტის შესახებ მასალების რაოდენობა ქართულ ბეჭდურ მედიაში

მედიასაშუალება	მასალა
„საქართველოს რესპუბლიკა“	91
„რეზონანსი“	37

„ახალი თაობა“	15
ჯამი	143

კვლევის შედეგებით, ნათლად გამოიკვეთა სამივე მედიასაშუალებაში საკითხის განსხვავებული სიხშირით გაშუქების ტენდენცია. უნდა ითქვას, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი მასალების რაოდენობა უჩვეულოა, რადგან, დახლოებით, სამჯერ და უფრო მეტჯერ აღემატება სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობას. უფრო მეტ ჭეშმარიტებას შეიძენს ეს მოსაზრება, თუ გავიხსენებთ, რომ ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტების შესახებ „რუსთავი 2-მა“, დაახლოებით, 2-ჯერ ნაკლები სიუჟეტი მოამზადა. კვლევაზე მუშაობისას დადგინდა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდებოდა განკარგულებები, სახელმწიფო დაწესებულებების პრესსამსახურების მიერ მოწვდილი ინფორმაციები, მოკლე ახალი ამბები, რაც საბოლოო ჯამში მომზადებული მასალების რაოდენობას ზრდის. გაზეთი, ძირითადად, ეყრდნობოდა და ავრცელებდა საქინფორმის ცნობებს, რაც ძირითადად საქართველოს სახელმწიფო მეთაურისა თუ მთავრობის წევრების აზრს მოიცავდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამერიკაში განხორციელებული ტერაქტის გაშუქებისას ბეჭდურმა მედიამ, თითქმის, თანაბარი რაოდენობის სტატიისა და ახალი ამბების ტიპი გამოიყენა. ცხრილ N41-ში მოცემულ კატეგორიაში - „სხვა“ მოიაზრება განკარგულებები, მიმართვები (იხ. ცხრილი N41).

ცხრილი N41: ამერიკაში მომხდარ ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი მასალის ტიპები ბეჭდურ მედიაში

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 სტატია	58	40.5	40.5
2 ახალი ამბავი	57	39.9	39.9
3 ინტერვიუ	13	9.1	9.1
4 სხვა	15	10.5	10.5

ჯამი	143	100.0	100.0

ამერიკაში განხორციელებული ტერაქტის გაშუქებისას ყველა მედიასაშუალებამ განსხვავებული ტერმინები გამოიყენა, თუმცა ყველა მათგანში იყო ნახსენები „ტერორიზმი“, „ტერორისტული აქტი“, „ტერაქტი“, „ტრაგედია“, „ბინ ლადენი“, თუმცა რაოდენობა ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია (იხ. ცხრილი N42). უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული უსამა ბენ ლადენზე. ჟურნალისტები მის დასახასიათებლად სხვადასხვა ეპითეტს იყენებდნენ, მათ შორის „გარეწარს“, „ნომერ პირველ ტერორისტს“. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციებში ძირითადად ბენ ლადენის ადგილსამყოფელის შესახებ იწერებოდა. სტატიებში იმ ვერსიებზე მსჯელობდნენ, თუ სად იმალებოდა ბენ ლადენი. „რუსთავი 2-ისგან“ განსხვავებით, პრესაში არ იყო ხაზგასმული ტერორისტის მილიარდერობა, მსგავსი ინფორმაცია მხოლოდ ოთხჯერ აღინიშნა.

ცხრილი N42. ა.შ.შ.-ში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებული ტერმინები ბეჭდურ მედიაში

ტერმინები	„საქართველოს რესპუბლიკა“	„რეზონანსი“	„ახალი თაობა“	ჯამი
ტერორიზმი	74	28	4	106
ტერაქტი	20	31	13	64
ტერორისტული აქტი	67	11	6	84
ტერორისტი	60	25	11	96
თავდასხმა	35	6	7	48
აფეთქება	12	6	9	27
თავდამსხმელი	3	1	2	6
ბინ ლადენი	59	26	12	97
ისლამისტი	5	1	2	6

თალიბები	18	8	6	32
პანკისი	4	5	1	10

ცხრილი N42-დან ჩანს, რომ ბეჭდური მედიის ყველაზე მეტ პუბლიკაციაში გამოიყენეს სიტყვები - „ტერორიზმი“, „ტერორისტი“ და „ტერორისტული აქტი“. განსხვავებული მონაცემებია ცალკეული მედიასაშუალების განხილვის შემთხვევაში. „რეზონანსში“ ყველაზე ხშირად იწერებოდა სიტყვები - „ტერორიზმი“, „ტერორისტი“, „ბენ ლადენი“. „ახალი თაობის“ პუბლიკაციებში ყურადღება გამახვილდა „ტერაქტსა“ და „ბენ ლადენზე“. „საქართველოს რესპუბლიკაში“ ყველაზე აქტიურად დაიბეჭდა ტერმინები - „ტერორიზმი“, „ტერორისტები“, „ბინ ლადენი“, „ტერორისტული აქტები“.

ბეჭდური მედია ყურადღებას ამახვილებდა უსამა ბინ ლადენზე. მასთან ერთად ხშირად არიან ნახსენები თალიბები. უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტები არ განმარტავენ სიტყვებს - „თალიბანი“, „თალიბები“ და „ჯიჰადი“. მსგავსი ტერმინების გამოყენებისას მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის განმარტება, თუ რას ნიშნავს ისინი, რადგან მკითხველმა შესაძლოა, არ იცოდეს რაზეა საუბარი.

სიტყვა „ისლამისტი“ ბეჭდური მედიის რვა მასალაშია ნახსენები. მას იყენებდნენ ტერორისტთა ან ტერაქტებში ეჭვმიტანილთა შესატყვისად, რამაც შესაძლოა, მუსლიმების მიმართ ნეგატიური განწყობები შექმნას. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტებმა ხაზი გაუსვეს ა.შ.შ.-ის მაშინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ნათქვამს, რომ ამერიკა ებრძვის ტერორისტებს და არა მუსლიმებს. საინტერესოა აქ რეზას მოსაზრების (Reza, 2011) გახსენება, რომ მედია ხშირად იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ისლამი ტერორისტი“, „ისლამი ექსტრემისტი“, რამაც შესაძლოა, ისლამის მიმართ, გარკვეულწილად, უარყოფითი დამოკიდებულება გააჩინოს.

მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რა ფრეიმები გამოიკვეთა ტერაქტის გაშუქებისას და უსაფრთხოების რომელმა საკითხებმა იჩინა თავი. „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამერიკისადმი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების, კერძოდ კი ედუარდ

შევარდნაძისა თუ სხვა მაღალჩინოსნების მიერ გამოთქმულ თანადგომასა და მხარდაჭერაზე გამახვილდა ყურადღება. პუბლიკაციებში უცვლელად იყო დაბეჭდილი სახელმწიფო მეთაურის განკარგულებები, მიმართვები. აღნიშნული საკითხი ქართულ ბეჭდური მედიის 51 მასალაში აღინიშნა, რაც 35.67%-ია.

უნდა გამოვყო „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი საინტერესო სტატია „ტერორიზმთან ბრძოლის ინფორმაციული ასპექტები“, სადაც საუბარია მედიის მიერ ინფორმაციის სათანადო გაშუქების მნიშვნელობაზე. პუბლიკაციაში ხაზგასმულია, რომ მედიამ ტერორიზმს პროპაგანდა არ უნდა გაუწიოს და ტერორისტები არ უნდა განადიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მათი რუპორი იქნება. ავტორ თამაზ ქველაძეს შესაბამისი მაგალითიც მოჰყავს. მან 1990 წელს ამერიკის ქალაქ ბერკლის კოლეჯში ტერორისტის მიერ 33 მძევლის აყვანა და მედიის როლი ერთმანეთს დაუკავშირა. ჟურნალისტის ინფორმაციამ, რომ პოლიციელებმა შენობას ალყა შემოარტყეს, კინაღამ ერთ-ერთი მძევლის სიცოცხლე იმსხვერპლა (16.09.2001). უნდა ითქვას, რომ ამ სტატიაში გამოთქმული აზრი დამაფიქრებელი უნდა იყოს თითოეული ჟურნალისტისთვის. პოზიტიურად უნდა შეფასდეს 16 წლის წინ ქართულ პრესაში დაბეჭდილი მსგავსი შინაარსის სტატია. თუმცა იმ პერიოდშივე თავად „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა პუბლიკაცია მსგავსი სტანდარტით დაწერილი არ არის. გაზეთს საზღვარგარეთის რუბრიკა ჰქონდა, სადაც საინტერესო, ზოგჯერ ანალიტიკური სტატიებიც იბეჭდებოდა. საკვლევ პერიოდში მთლიანი გვერდი ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ ა.შ.შ.-ში განხორციელებულ და მასთან დაკავშირებულ ფაქტებს ეთმობოდა, მომდევნო კვირას კი - ნახევარი გვერდი. საზღვარგარეთის გვერდს უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით, ლია გოგიჩაიშვილი უძღვებოდა. 2001 წლის 23 სექტემბერს დაიბეჭდა სტატია „მოლა მოჰამედ ომარი“, სადაც საუბარი იყო თალიბებისა და მათი ლიდერის შესახებ. ჟურნალისტმა მოლა მოჰამედი ვიზუალურად აღწერა, ისიც აღნიშნა, რომ მასთან ინტერვიუ არცერთ დასავლელ კორესპონდენტს არ აუღია, თუმცა, მისი თქმით, პაკისტანელ ჟურნალისტს ბედმა გაუღიმა. „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოთხრობილია, სად დაიბადა მოლა მოჰამედი, როგორ იცხოვრა. „მას „მართლმორწმუნე

მეთაური“ უწოდეს და ტიტული მიანიჭეს, „უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს მეტად გონივრული ნაბიჯი უნდა იყოს: ამის შედეგად მოძრაობამ შეიძინა ერთი, უეჭველი ლიდერი“,- აღნიშნავს ჟურნალისტი. მედიის წარმომადგენელმა მსგავსი შინაარსის შეფასებისგან თავი უნდა შეიკავოს, რადგან კონკრეტული პირებისა თუ დაჯგუფებების წახალისებასა და პოპულარიზაციას არ შეუწყოს ხელი. სტატიაში ასევე ე.წ. ყვითელ ამბებზეც არის ყურადღება გამახვილებული, რომ ბინ ლადენმა მოლა მოჰამედის ქალიშვილს ხელი სთხოვა, ხოლო ტერაქტებში ეჭვმიტანილმა კი თალიბების ლიდერის ქალიშვილზე იქორწინა. აღნიშნულ ინფორმაციას თალიბები არ ადასტურებდნენ. ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილ პირზე ე.წ. ყვითელი ნიუსების წერამ შესაძლოა, მის მიმართ საზოგადოების ინტერესი გაზარდოს.

ტერაქტიდან პირველი ოთხი დღის განმავლობაში ბეჭდურ მედიაში მოვლენის აღწერაზე იყო ყურადღება გამახვილებული. სტატიებში დეტალურადაა გადმოცემული თუ სად და როგორ მოხდა აფეთქებები. ამ პერიოდში ხაზი აქვს გასმული იმასაც, რომ გარდაცვლილებისა და დაშავებულების შესახებ ზუსტი ინფორმაცია უცნობი იყო. უშუალოდ ტერაქტი 18 მასალაში აღიწერა, გარდაცვლილებისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია კი 29 პუბლიკაციაში გაშუქდა (იხ. დიაგრამა N7. პროცენტები დამრგვალებულია).



სამივე გაზეთში ყურადღება დაეთმო ამერიკის მიმართ გამოხატული მხარდაჭერის აღნიშვნას, თუმცა „საქართველოს რესპუბლიკაში“ უფრო მეტად იყო ყურადღება გამახვილებული მთავრობის წევრების, ხელმძღვანელი პირების გამოხმაურებაზე.

ტერაქტიდან მე-3, მე-4 დღეს პრესაში უფრო მეტად გლოვის შესახებ ინფორმაცია ჭარბობს. ტერორისტული აქტის გაშუქების ნებისმიერ დროს ისმის მიზეზებზე მინიშნება. რესპონდენტების ნაწილი საუბრობდა, რომ მასშტაბური ტერაქტის მოწყობა ამერიკის სპეცსამსახურების კრახს ნიშნავდა. გლოვის შესახებ ინფორმაცია მკითხველს 14 მასალაში მიეწოდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, სატელევიზიო მედიის მსგავსად, ბეჭდურმა მედიამაც ყურადღება გაამახვილა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხზე (იხ. ცხრილი N43).

ცხრილი N43. ტერორიზმის საკითხი ბეჭდურ მედიაში ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას

ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
ტერორიზმთან ბრძოლა აუცილებელია	47	32.9	32.9
არ გამოვლინდა	96	67.1	67.1
სიუჟეტების ჯამი	143	100.0	100.0

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შესწავლილი მასალებიდან 48-ში საქართველო ახსენეს, რაც 33.6%-ია, მათ შორის საუბარი იყო პანკისის ხეობაზე. გამოვყობთ ცალკე საქართველოსა და რუსეთის კონტექსტს. პრესაში რუსი პოლიტიკოსის, ბორის ნემცოვის განცხადებას, რომ თუ საქართველო პანკისის ხეობაში შეფარებულ ჩეჩენ ტერორისტებს რუსეთს არ გადასცემს, მის ქვეყანას უფლება ექნება, საქართველოზე დარტყმა განახორციელოს, გამოხმაურება მოჰყვა. გენერალ-ლეიტენანტის, ვალერი ჩხეიძის აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი მოთარეშეები არიან, თუმცა არა იმდენი, რამდენზეც რუსეთის გარკვეული წრეები საუბრობდნენ. ის კითხვასაც სვამდა, სად ყოფილა ტერორისტების გავრცელების კერა, აქ თუ რუსეთში? თუმცა მსჯელობიდან გამომდინარე, პასუხი ცხადია იყო - რუსეთი (18.09.2001, „საქართველოს რესპუბლიკა“). „საქართველოს რესპუბლიკის“ სხვა სტატიებშიც მსგავსი პოზიცია გაჟღერდა, მაგალითად, „საქართველო ტერორისტების თავშესაფარი არ არის. ისინი საუკეთესო თავშესაფარს ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის ტელეეკრანებზე პოულობენ“, „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაცია, რომ ტერორისტები - გოჩიევი და კრიმშამხალოვი პანკისის ხეობაში არ იმყოფებოდნენ“. უნდა აღინიშნოს, რომ სტატიებში უმეტეს შემთხვევაში კონკრეტულად არ იყო დასახელებული, რომელი მეზობელი ქვეყანა იგულისხმებოდა, თუმცა პუბლიკაციის შინაარსიდან გამომდინარე, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის იყო რუსეთი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს პირდაპირ იყო გაცხადებული. პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის

განცხადებით (15.09.2001, „რეზონანსი“), რუსეთი შეეცდება, ამერიკის ტრაგედია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. „შემთხვევითი არ იყო, რომ რუსეთმა ერთ-ერთმა პირველმა გაუგზავნა სამძიმრის წერილი ამერიკის მთავრობასა და ხალხს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ პუტინი ამ ორი დღის განმავლობაში ბუშს ოთხჯერ ესაუბრა. რუსეთი საკითხს პირდაპირ სვამს: რუსეთი და ამერიკა ერთად უნდა დავდგეთ! ეს, რასაკვირველია, კონიუნქტურაა. ძალიან ძნელია დღეს ერთ სიბრტყეში განვიხილოთ რუსეთის პრობლემა ჩეჩნეთში და ამერიკის გუშინწინდელი მოვლენები. ცინიზმია, როდესაც პოლიტიკოსები ცდილობენ, ამერიკის ეს დიდი ტრაგედია პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს“ (15.09.2001, „რეზონანსი“).

„რეზონანსის“ სტატიაში „რუსებმა შეიძლება გვესროლონ“ (19.09.2001) ჟურნალისტი კახა ჭაბაშვილი წერდა, რომ „რუსეთის მხარემ საქართველოს გუშინ ოფიციალური მომართვა, ნოტა გამოუგზავნა, თქვენ პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკები რომ არიან, სასწრაფოდ გადმოგვეცითო. პანკისში რომ არანაირი ბოევიკები არ არიან, ჩვენში ბავშვმაც კი იცის, მაგრამ ასე სჭირდება რუსეთს და რას იზამ. არ არის გამორიცხული, რუსულმა მხარემ მთლად აიღოს სინდისზე და თავზე ხელი და ჩეჩნეთს დაუნდობლად შეუტიოს, მისი იავარქმნის შემდეგ კი საქართველოსაც გადმოსწვდება უსათუოდ - საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ვიბრძვი და ამერიკაში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორების ნაწილი თავს პანკისის ხეობას აფარებსო“. იგივე ავტორი სხვა სტატიაშიც წერს, რომ „ჩვენი მხრივ კი, მსოფლიოს ნომერი პირველი ტერორისტების სიას სიამოვნებით განვაგრძობთ პუტინამდე ელცინი, ცოტა იქით ბრეჟნევი, იქით სტალინი, ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს“ 20.09.2001). მნიშვნელოვანია, რომ მედიაში ყურადღება გამახვილებულია რუსეთის მხარეზე, ტერორისტებისადმი მის ინტერესებზე. უნდა ითქვას, რომ „რეზონანსში“ ბორის ნემცოვის განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჟურნალისტები და რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ თავდამსხმელებს საქართველო კი არა, რუსეთი შეიძლება, მფარველობდეს.

„ახალ თაობაში“ რუსეთის ფაქტორი ნახსენები, თითქმის, არ არის. მხოლოდ ორ სტატიაში იყო საუბარი რუსეთის შესახებ - „რუსეთის ჩამოგდებული ბომბი მე მომარტყით“, „რუსეთი თალიბებს მეორე ფრონტს უმზადებს“. აღსანიშნავია, რომ „ახალ თაობაში“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერაქტის სიღრმისეული ანალიზიც არ გაკეთებულა. გარდა ამისა, არ არის გაშუქებული იმ დროს საქართველოში მიმდინარე პროცესები. ჟურნალისტები არ წერდნენ, გაძლიერდა თუ არა ქვეყანაში უსაფრთხოების ზომები. „რეზონანსსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოში უსაფრთხოების ზომების გაძლიერებაზე ინფორმაციის გადმოცემას ყურადღება დაეთმო. სტატიები მიეძღვნა იმის გარკვევას, თუ როგორ აისახებოდა ამერიკის ტერორისტული აქტების ექო საქართველოზე.

„რეზონანსმა“ ასევე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ტერაქტის შემდეგ მსოფლიო საფონდო ბირჟებზე არსებულ ფასებზე დაკვირვებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის გაშუქებას „რუსთავი 2-მა“ ბეჭდურ მედიასთან შედარებით, გაცილებით დიდი ყურადღება დაუთმო.

კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ა.შ.შ.-ში მომხდარი ტერაქტის ბეჭდურ მედიაში გაშუქებისას მნიშვნელოვანი საკითხი იყო ტერორიზმთან ბრძოლა და მკითხველისთვის ტერორისტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მათ მიმართ ჟურნალისტების მხრიდან ნეგატიური შეფასებები ისმოდა, რაც მედიის ეთიკის სტანდარტებს სცილდება.

3.12. 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის მედიაში გაშუქება

1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო მეთაურზე, ედუარდ შევარდნაძეზე, თავდასხმა განხორციელდა, რომელსაც ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიენიჭა. აღნიშნული ტერაქტის მედიაში გაშუქების შესწავლის მიზნით 1995 წლის 29 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე სამი გაზეთის, „საქართველოს რესპუბლიკის", „ახალი თაობისა" და „რეზონანსის", კვლევა ჩატარდა. ამ პერიოდში ტელევიზიებიდან მხოლოდ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ფუნქციონირებდა, თუმცა ტელეკომპანიის არქივში მასალები არ არის შენახული.

2 კვირის განმავლობაში სახელმწიფო მეთაურზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ ბეჭდვით გამოცემებში 62 მასალა დაიბეჭდა, რომელთაგან ყველაზე მეტი „საქართველოს რესპუბლიკაში", სადაც 36 მასალა დაიბეჭდა, თუმცა ამ მონაცემებში სტატიებთან ერთად, იგულისხმება შევარდნაძისადმი მიმართვები, წერილები, განკარგულებები, ბრძანებები და ცნობებიც. „რეზონანსში" 14 მასალა დაიბეჭდა, „ახალ თაობაში" კი - 12 (იხ. დიაგრამა N8, პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებულია).



ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის შესახებ ბეჭდურ მედიაში უმეტესად დაიბეჭდა განცხადებები, წერილები, მოკლე ინფორმაციები, რაც ცხრილ N44-ში მოცემული კატეგორიაში სხვა. შესაბამისად, კვლევის ჰიპოთეზა, რომ ტერორიზმის გაშუქებისას ბეჭდური მედია ძირითადად სტატიის ტიპს იყენებს, არ გამართლდა.

ცხრილი N44: შევარდნაძეზე მომხდარ ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი მასალების ტიპების რაოდენობა ბეჭდურ მედიაში

მასალის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 სტატია	28	19.5	19.5
3 ინტერვიუ	3	4.8	4.8
4 სხვა	31	50	50
ჯამი	62	100.0	100.0

აუცილებელია აღინიშნოს, დღევანდელობასთან შედარებით 1995 წლის წერის სტილის სხვაობა. რასაკვირველია, დროის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს და თანამედროვე წერის სტანდარტი 22 წლის წინანდელთან შედარებით, ბევრად დახვეწილი და მარტივია. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 1995 წელს პრესაში მთლიანად არის გადმოტანილი ოფიციალური პირების განცხადებები, განკარგულებები,

ბრძანებები, ასევე სახელმწიფო მეთაურისა თუ ძალოვანი უწყების პრესსამდივნოების განცხადებები. მსგავსი შინაარსის ცნობები თუ წერილები განსაკუთრებით მრავლად არის დაბეჭდილი „საქართველოს რესპუბლიკაში“, „რეზონანსში“ ყველა საგაზეთო მასალას სტატიის ფორმა აქვს, მათ შორის დაბეჭდილია ანალიტიკური სტატიებიც (იხ. გრაფიკა N37).



გრაფიკა N37. შევარდნაძე მომხდარი ტერაქტის შესახებ მასალის ტიპები ბეჭდურ მედიაში (რაოდენობრივი მონაცემები)

საინტერესოა იმის დადგენა თუ როგორ იყო მოხსენიებული მედიაში შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმა (იხ. გრაფიკა N38). გრაფიკა N38-დან ნათლად ჩანს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ყურადღება გამახვილებული იყო არა მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო მეთაურს თავს დაესხნენ, არამედ იმაზე, რომ ტერორისტული აქტი დესტაბილიზაციისკენ და ასევე ქართველი ერის, საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. აღნიშნული ფრეიმი დანარჩენ ორ გაზეთში შედარებით მცირე რაოდენობით დაფიქსირდა.



გრაფიკა N38. შევარდნაძეზე მომხდარი ტერაქტის მოხსენიება ბეჭდურ მედიაში

62 მასალიდან რვა პუბლიკაციაში ტერაქტი დეტალურად აღწერეს. ასევე რვა მასალაში დაიწერა, რომ ტერორიზმი უნდა დაიგმოს.

კოდირების სახელმძღვანელოში ცალკე პუნქტად გამოვყავით 1995 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურზე მომხდარი თავდასხმის გაშუქებისას ბეჭდურ მედიაში ედუარდ შევარდნაძის მოხსენიების კონტექსტი (იხ. ცხრილი N45). დადებით კონტექსტში ედუარდ შევარდნაძე მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკაშია“ მოხსენიებული, თან არც თუ ისე მცირე რაოდენობით.

ცხრილი N44: შევარდნაძეზე მომხდარ ტერაქტის ბეჭდურ მედიაში გაშუქებისას ედუარდ შევარდნაძის მოხსენიების კონტექსტი

შევარდნაძის მოხსენიება	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი
1 დადებითი	9	14.5	14.5
2 უარყოფით	1	1.6	1.6
3 ნეიტრალური	23	37.1	37.1
4 არ გამოვლინდა	29	46.8	46.8
ჯამი	62	100.0	100.0

ტერაქტის მიზეზების ძიებას ბეჭდური მედიის ყველაზე მეტი მასალა „რეზონანსმა“ მიუძღვნა. ექვს პუბლიკაციაში ტერორისტული აქტის შესაძლო ვერსიებზე იყო საუბარი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იგორ გიორგაძის თანამდებობიდან გადაყენება და მისი დაკავშირება ტერორისტულ აქტთან „რეზონანსსა“ და „ახალ თაობაში“, თითქმის, თანაბარი რაოდენობით გაშუქდა. აღნიშნულის შესახებ „რეზონანსის“ ხუთ პუბლიკაციაში დაიწერა და „ახალი თაობის“ ოთხი მასალაში. „საქართველოს რესპუბლიკამ“ კი აღნიშნულ საკითხს მხოლოდ ორი სტატია მიუძღვნა. „რეზონანსის“ სტატიაში განხილულია თუ ვის სჭირდებოდა ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა. პუბლიკაციაში რამდენიმე ვერსიაზეა საუბარი. სტატიას წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 29 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურზე მომხდარი თავდასხმა შეიძლება შეფასდეს, როგორც „მკვლელობის მცდელობა, იმიტაცია ან დაშინება. სტატიაში მოცემულია დანაშაულის რამდენიმე ვერსია. შევნიშნავთ, რომ ამდაგვარი ტერორისტული აქტები ხშირ შემთხვევაში ხდება მაშინ, როდესაც სხვდასხვა დაინტერესებული მხარის ინტერესები ემთხვევა“. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ტერაქტის განხორციელების პირველივე წუთებიდან დამნაშავედ იგორ გიორგაძეს ხშირად მოიხსენიებდნენ, რაც ავტორის აზრით, სავსებით ლოგიკურია. მოსაზრების გასამყარებლად ჟურნალისტს მყარი არგუმენტები მოჰყავს და, შესაბამისად, თავის შეხედულებას, მტკიცედ ასაბუთებს.

ზემოთ მოყვანილი გრაფიკებიდანაც ჩანს, რომ სამივე გაზეთის მასალებში განსხვავებული ფრეიმები გამოიკვეთა. ,,საქართველოს რესპუბლიკამ‘‘ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარ თავდასხმას, რაც სტატიების რაოდენობაშიც გამოჩნდა. ძირითადად კი აქცენტირებულია თუ რამხელა ტრაგედია აიცილა ქვეყანამ თავიდან და რამდენადაა საზოგადოება შეშფოთებული მომხდარი ტერორისტული აქტის გამო. 29 აგვისტოს მომხდარი აფეთქების მეორე დღესვე გაზეთის პირველივე გვერდზე დაიბეჭდა მასალა სათაურით

„საზოგადოებრიობა უაღრესად შეშფოთებულია“, სადაც ნათქვამია, რომ „გუშინ, 29 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტის ეზოში ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი მოხდა“. ამ ფრაზაშივე გამოკვეთილია თავდასხმის მიმართ გაზეთის დამოკიდებულება, რომ ის იყო საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ტერაქტი. გაზეთის პირველივე ფურცელზე დაბეჭდილია პროკურატურის პრესცენტრის განცხადება, ედუარდ შევარდნაძის კომენტარი, რომ „ტერორიზმი მიწასთან გასწორდება“, რუსეთის, პრეზიდენტის, ბორის ელცინის, მოსაზრება ტერორისტული აქტის შესახებ, რომელმაც მომხდართან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა. დაბეჭდილია ასევე თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის, წერილი და მინისტრთა კაბინეტის განცხადება, რომ „განგების ნებით, ბოროტებას აღსრულება არ უწერია!“.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ძირითადად დაბეჭდილია 29 აგვისტოს მომხდარი აფეთქების შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერისა თუ მაღალი თანამდებობის პირების მიერ ედუარდ შევარდნაძისადმი მიმართვები, რომელიც მოცემულია კატეგორიაში „აღშფოთება“, რომლის სათაურია „ჩვენთან არის ღმერთიც, ხალხიც, ჩვენთან არის მსოფლიო“! გაზეთში ასევე მოცემულია ქართველთა მოსაზრება, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება „ზღვარი დავუდოთ ქვეყნის არაკეთილისმსურველთა თავგასულობას“, ასევე დაბეჭდილია ვეტერანთა სიტყვა.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ყურადღება გამახვილებულია ედუარდ შევარდნაძის მნიშვნელობაზე, ქვეყნისთვის მის როლზე. ის დადებით კონტექსტშია მოხსენიებული. მისი მისამართით დაწერილ მიმართვებსა თუ წერილებში სახელმწიფო მეთაურის ღვაწლზე არის საუბარი. მაგალითად, სტატიაში, სადაც უზბეკეთის და საქართველოს ურთიერთობაზეა ლაპარაკი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მკურნალი ექიმის, გულნარა ჩაფიძის, კომენტარია მოცემულია: „ბატონი ედუარდი, რომელიც უზბეკეთს მასზე განხორციელებული ტერორისტული აქტიდან რამდენიმე

დღის შემდეგ გაემგზავრა, საკუთარ ჯანმრთელობაზე წინ საქმეს აყენებს“. ასევე 1995 წლის 31 აგვისტოს გამოცემულ გაზეთში, სადაც საქართველოს პარლამენტის განცხადებაა დაბეჭდილი, საკანონმდებლო ორგანო აცხადებს, რომ მომხდარი ტერორისტული აქტი თანამედროვეობის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაულია, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს ქვეყანაში სტაბილიზაციის პროცესის უკუქცევა, სახელმწიფო წყობილების დამხობა და ქაოსისა და განუკითხაობის დამკვიდრება“.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში „საქართველოს რესპუბლიკაში“ ედუარდ შევარდნაძისა თუ მისი საქმიანობის შესახებ კრიტიკული სტატია, მოსაზრება არ დაბეჭდილა. არც 29 აგვისტოს განხორციელებული თავდასხმის შესახებ სიღრმისეული ანალიზი არ გაკეთებულა. რამდენჯერმეა ნახსენები (ოთხჯერ), რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი არასათანადო და არასაკმარისი იყო, რასაც სახელმწიფო მეთაურზე თავდასხმა მოჰყვა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო მეთაურზე დადებით კონტექსტში იწერება მასალები, აღწერილია არა ერთი მაღალი თანამდებობის პირის შეშფოთება ტერორისტული აქტის მიმართ, ხოლო საკითხზე ანალიზს ნაკლები ყურადღება ეთმობა, ინფორმაციის ერთი კუთხით, ცალმხრივად გაშუქებაზე მიუთითებს. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ მნიშვნელოვანი და აუცილებელია მედიამ ძალოვანი უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დაეყრდნოს, რაც „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ ზუსტად შესრულდა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი მასალებით შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის ემსახურება სახელმწიფო მეთაურის, ხელისუფლების ინტერესების გატარებას. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1995 წლის 31 აგვისტოს გამოცემული გაზეთის პირველივე გვერდზე დაბეჭდილი საქართველოს პარლამენტის განცხადება „საქართველოს ხელისუფლება არ გადაუხვევს დემოკრატიის კურსს და იმ ღირებულებას, რომლებსაც აღიარებს და ამკვიდრებს საქართველოს კონსტიტუცია, არ

დაუშვებს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების ჩაშლას“! განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ „პარლამენტი უმკაცრეს შეფასებას აძლევს ტერორიზმთან ბრძოლის ყველა სამსახურის, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტს დაქვემდებარებული სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობას და გადაუდებელ აუცილებლობას მიიჩნევს კარდინალურ ცვლილებებს მის მუშაობაში“.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი მომხდარ ტერორისტულ აქტზე მცირე, ზედაპირულ ინფორმაციას მიიღებს, ვინაიდან პუბლიკაციებში ძირითადად ყურადღება თავდასხმის გამო საზოგადოების მიერ გამოხატულ შეშფოთებაზეა გამახვილებული.

„საქართველოს რესპუბლიკისგან“ განსხვავებით, გაზეთ „რეზონანსში“ ოფიციალური უწყებისა თუ ლიდერების განცხადებები პირდაპირ არ არის გადმოტანილი, მათზე საუბარია სტატიებში. „რეზონანსში“ 1995 წელს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შესახებ ანალიტიკური სტატიებიც დაიბეჭდა.

„საქართველოს რესპუბლიკისგან“ განსხვავებით, სადაც ინფორმაციის წყარო არის ოფიციალური პირების, სამდივნოების განცხადებები, „რეზონანსში“ ამას ემატება ტერორისტული აქტის თვითმხილველების ნაამბობიც. 1995 წლის პირველ სექტემბერს გამოცემულ „რეზონანსში“ დეტალურადაა აღწერილი იმავე წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმა. პუბლიკაციაში „სახელმწიფოს მეთაური დაუჯავშნავი მანქანით დადიოდა“ ნათქვამია, რომ სახელმწიფო მეთაურის პრესსამდივნოს ცნობით, ავტომობილი შავი ფერის „ვოლგა“, რომელშიც ედუარდ შევარდნაძე თანმხლებ პირებთან ერთად იჯდა, ჯავშნიანი არ იყო, ხოლო ქალაქის პოლიციის მაშინდელი უფროსის, დემურ მიქაძის თქმით, სახელმწიფო მეთაური ჯავშნიანი მანქანით საერთოდ არ დადიოდა. სტატიაში აღნიშნულია, რომ 29 აგვისტოს პარლამენტის სხდომის დამთავრების შემდეგ დეპუტატების დიდი ნაწილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისკენ კონსტიტუციაზე ხელის მოწერის საზეიმო

ცერემონიალზე გაემართა. 18:30 საათისთვის სახელმწიფო მეთაურის დაცვის ესკორტმა რუსთაველის გამზირი გადაკვეთა და გეზი სასახლისკენ აიღო. 5 წუთის შემდეგ კი ძლიერი აფეთქება მოხდა, 15 წუთის შემდეგ სახანძრო მანქანები მივიდა. ხანძრის შედეგად პარლამენტის ეზოში მდგარი 8 მანქანა დაიწვა, მათ შორის იყო ავტომობილი, რომელშიც ედუარდ შევარდნაძე, ვიცესპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე ისხდნენ.



გრაფიკა N39. შევარდნაძეზე მომდარი ტერაქტის გაშუქებისას ბეჭდურ მედიაში გამოყენებული წყაროები

გაზეთ „რეზონანსის“ სტატიაში „კანონი ხელისუფლების სამსახურში“ გაკრიტიკებულია იმდროინდელი მედიასაშუალებები. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ტელევიზიებითა და რადიოთი გადაცემულ ცნობებს ახლავს ისტერიული კომენტარები ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. სტატიაში ნათქვამია, რომ ამა თუ იმ პირის დაკავებასთან დაკავშირებით იშვიათად ისმის ტერმინი „ეჭვმიტანილი“, თითქმის, ყველა დაკავებული დამნაშავედ არის გამოცხადებული. მათი უმეტესობა მხედრიონელია, მიუხედავად, ორგანიზაციის რეპუტაციისა, არასწორია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. ავტორის აზრით, დანაშაულზე წასწრების შემთხვევაშიც მას დამნაშავე არ უნდა ეწოდოს, ეს სასამართლოს პრეროგატივაა. ეს

მოსაზრება ძალიან საინტერესოა. პრინციპულად მნიშვნელოვანია, მედიის მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დაირღვეს.

„რეზონანსის“ სტატიებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმის გარკვევაზე, თუ ვინ დაგეგმა ტერორისტული აქტი, ვის აწყობდა შევარდნაძეზე თავდასხმა. სტატიებში აქცენტი დასმულია ჯაბა იოსელიანსა და იგორ გიორგაძეს შორის მეგობრულ ურთიერთობაზე.

„ახალ თაობაშიც“ „რეზონანსის“ მსგავსად, თანამდებობის პირების განცხადებები უცვლელად არ არის გადმოტანილი. უნდა ითქვას, რომ გაზეთში საკმაოდ მრავალფეროვანია რესპონდენტთა სია, მათ შორის არიან სახელმწიფო მეთაური, ირინა სარიშვილი, ჯაბა იოსელიანი, იგორ გიორგაძის მამა, პანტელეიმონ გიორგაძე.... „ახალ თაობაში“ მოცემულია ინტერვიუც და კომენტარიც. კომენტარის სახითაა მოცემული თუ რა აზრის არიან პოლიტიკოსები შევარდნაძეზე თავდასხმის შესახებ, ასევე, უშიშროების ხელმძღვანელობიდან იგორ გიორგაძის გადაყენებასთან დაკავშირებით. საინტერესო ინტერვიუ ირინა სარიშვილთან, რომლის აზრით, ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა თანსუ ჩილერის ვიზიტის დროს შემთხვევით არ იყო.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა ტერმინები გამოიყენა ბეჭდურმა მედიამ 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის გაშუქებისას (იხ. ცხრილი N46).

ცხრილი N46. შევარდნაძეზე მომხდარი ტერაქტთან დაკავშირებული ტერმინები ბეჭდურ მედიაში (რაოდენობრივი მონაცემები, ანალიზის ერთეული - პუბლიკაცია)

ტერმინები	„საქართველოს რესპუბლიკა“	„რეზონანსი“	„ახალი თაობა“	ჯამი
თავდასხმა	10	3	5	18
აფეთქება	6	7	7	20
ტერორისტული აქტი	32	6	8	46

ტერაქტი		2	2	4
ტერორიზმი	7	1	2	10
ტერორისტი	4	2	0	6
ბოროტება	3	0	0	3
ტრაგედია	1	0	0	1
საფრთხე	1	0	2	3
უსაფრთხოება	1	1	0	2
თავდამსხმელი	0	0	0	0

როგორც ცხრილ N46-შია მოცემული, ბეჭდური მედიის ყველაზე მეტ მასალაში ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით გამოყენებულია ტერმინი - „ტერორისტული აქტი“. ასევე ხშირად ახსენეს სიტყვები - „აფეთქება“, „თავდასხმა“. უნდა ითქვას, რომ სხვა ტერორისტული აქტების მედიაში გაშუქების კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად მედია სიტყვა - „ტერაქტს“ იყენებს, თუმცა 1995 წელს აღნიშნული ტერმინი ჩანაცვლებულია „ტერორისტული აქტით“. შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა ტერაქტის გაშუქებისას ტერმინებიც შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ ტერმინი - „თავდამსხმელი“ მედიამ საერთოდ არ გამოიყენა. ბეჭდურმა მედიამ ტერორიზმზეც გაამახვილა ყურადღება, თუმცა მცირე რაოდენობით, რაც ამ ტერმინის რაოდენობრივ მაჩვენებელში ჩანს. უშუალოდ ტერორიზმთან ბრძოლაზე ყურადღება ცხრა მასალაში (14.5%) გამახვილდა.

თავი 4. დასკვნა

ქართული მედიის შესწავლით პასუხი გაეცა ყველა საკვლევ შეკითხვას. საკვლევი პერიოდის ფარგლებში 836 ჟურნალისტური მასალა დამუშავდა. პასუხი გაეცა კვლევით კითხვას:: *გამოიკვეთა თუ არა განსხვავებული ფრეიმები ქართულ მედიაში სხვადასხვა დროს ტერორიზმის გაშუქებისას?* კვლევის - „ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წწ.)“ შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ სხვადასხვა დროს ტერორიზმის გაშუქებისას ქართულ მედიაში განსხვავებული ფრეიმები იკვეთება. ცხრილი N47-დან ჩანს, რომ ტერორიზმზე ყველაზე მეტჯერ ყურადღება 2001 წელს ამერიკაში მომხდარი ტერაქტის დროს გამახვილდა ყურადღება, თუმცა ეს მხოლოდ ბეჭდურ მედიაში აისახა, სატელევიზიო მედიამ ტერორიზმის საკითხზე ყველაზე მეტი მასალა 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში განხორციელებული თავდასხმას მიუძღვნა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოზე“ მედია ყველაზე დიდ ყურადღებას 2015 წელს ამახვილებდა, ხოლო „ალ ქაედაზე“ კი 2001 წელს მომხდარი თავდასხმის დროს. პანკისით ქართული მედია ძირითადად, 2015 წელს იყო დაინტერესებული. სიტყვა - „სამხარეო პოლიცია“ მხოლოდ 2005 წელს გორში მომხდარი ტერაქტის გაშუქების დროს გამოიყენეს, თუმცა ამ ფრეიმმა მედიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ცხრილი N47. სხვადასხვა ტერაქტის დროს ფრეიმების რაოდენობრივი განაწილება ქართულ მედიაში

ფრეიმები	2015 წ.13 ნოემბერი	2015წ.აპრილი, მაისი,ივნისი	2015წ.7 იანვარი	2010წ.	2005წ.	2001წ.	1995წ.	ჯამი
ტერორიზმი	89	27	73	22	18	121	10	360
ტერაქტი	120	15	80	41	84	101	4	445
ტერორისტული აქტი	65	12	52	28	30	94	46	327

ტერორისტი	107	18	66	24	16	111	6	348
თავდასხმა	51	3	77	8	7	77	18	241
აფეთქება	35	2	13	28	64	63	20	225
თავდამსხმელი	11	1	25	3	5	17	0	62
ბინ ლადენი	0	0	2	0	0	118	0	120
სამხარეო პოლიცია	0	0	0	0	31	0	0	31
„ისლამური სახელმწიფო“	121	69	38	5	0	0	0	233
ISIS	47	23	6	2	0	0	0	78
„ალ ქაედა“	6	11	28	1	6	101	0	153
ისლამისტი	36	24	29	4	2	10	0	105
ჯიჰადისტი	19	10	12	0	0	0	0	41
ბოევიკი	16	10	8	6	5	5	0	50
თალიბები	2	3	0	0	0	43	0	48
პანკისი	29	82	18	4	3	17	0	153

პასუხი გაეცა კვლევის კითხვას: *ტერაქტების გაშუქებისას რა ტერმინებს იყენებდა ქართული მედია? მედია იყენებდა თუ არა დაჯგუფება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მუქარის შემცველ მიმართვებს და რა ფორმით?* კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2010-2015 წლების განმავლობაში მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას ქართულ მედიაში ჭარბობს ტერმინები - „ტერაქტი“, „ტერორისტი“, „ტერორიზმი“, 1995-2005 წლებში ყველაზე მეტ მედიასაშუალებაში გამოიყენებოდა სიტყვა - „ტერორისტული აქტი“, ხოლო „თავდამსხმელი“ ნაკლებად. ამასთან ერთად, მედია ნაცვლად ტერმინისა - „თავდამსხმელი“, აქტიურად იყენებდა - „ტერორისტს“, „ჯიჰადისტს“, „ისლამისტს“. სიტყვა „ისლამისტის“ გამოყენებამ შესაძლოა, მუსლიმების მიმართ გარკვეული ნეგატიური განწყობის შექმნას შეუწყოს ხელი. „მედიის განვითარების ფონდის მიერ“ ჩატარებული კვლევის ფარგლებში (2017) გამოკითხული მუსლიმი ახალგაზრდები

მედიაში გაჟღერებულ მათთვის ყველაზე მიუღებელ სიტყვებში „ისლმისტსა“ და „ჯიჰადისტს“ ასახელებდნენ, რადგან მათი შეფასებით, ტერორიზმის რელიგიასთან დაკავშირება დაუშვებელია. საინტერესოა წლების განმავლობაში როგორ იცვლებოდა ტერაქტში მონაწილეთა მიმართ გამოთქმული სიტყვების მოხსენიების სიხშირე (იხ. გრაფიკა N40). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სიტყვები - „ისლამისტი“ და „ჯიჰადისტი“ 1995 წელს მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას მედიას საერთოდ არ გამოუყენებია, ხოლო ყველაზე ხშირად კი ეს ტერმინები ქართულ მედიაში პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის შესახებ ინფორმაციისა და პარიზში მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას დაფიქსირდა. სიტყვა თავდამსხმელი ყველაზე ხშირად „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას იყო ნახსენები,



გრაფიკაN40. ტერაქტში მონაწილეთა მიმართ გამოთქმული სიტყვები მოხსენიება წლების განმავლობაში

გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ქართულ მედიაში ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე მასალაში მოხსენიებული იყო, როგორც თავდამსხმელი, ტერორისტი და როგორც ეჭვმიტანილი. მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ტერორიზმთან დაკავშირებული ტერმინების გამოყენებას დიდი ყურადღება დაუთმოს, რადგან უარყოფითი განწყობების შექმნას ხელი არ შეუწყოს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მიმართ მუქარის შემცველ მიმართვების ტექსტები ბეჭდურ მედიაში უფრო ქვეყნდებოდა, ვიდრე სატელევიზიო

მედიაში, თუმცა ტერორისტული დაჯგუფება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებულ მიმართვებს ორივე მედიასაშუალება ავრცელებდა. სწორედ ამ მიმართვების გავრცელებით მედია შესაძლოა, ტერორისტებს მიზნებს მიღწევაში დაეხმაროს და საზოგადოებაში შიში დაამკვიდროს. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქართულ მედიაში აქტიურად შუქდებოდა ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ ცნობა. იმის აღნიშვნამ, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ ნომერ პირველი ტერორისტული ორგანიზაციაა, შესაძლოა, მის მიმართ ახალგაზრდების დაინტერესება გამოიწვიოს.

პასუხი გაეცა კვლევის კიდევ ერთ კითხვას: *ტერორიზმთან ბრძოლის ხაზგასმა ქართულ მედიაში აქტუალური უფრო საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას იყო თუ საქართველოში მომხდარი ტერორისტული აქტების გაშუქებისას?* დადასტურდა კვლევის ჰიპოთეზა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას უფრო აქტუალურია, ვიდრე საქართველოში მომხდარი თავდასხმების გაშუქებისას. გრაფიკა N41-დან ჩანს, რომ ყველაზე ნაკლები სიხშირით აღნიშნული თემა 1995 წელს ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი ტერაქტისა და 2005 წელს გორში მომხდარი აფეთქების გაშუქებისას წარმოჩინდა, ხოლო ყველაზე მეტი ყურადღება კი 2001 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტების გაშუქებისას დაეთმო (იხ. გრაფიკა N41).



გრაფიკაN41. ტერორიზმთან ბრძოლის საკითხის აქტუალობა ქართულ მედიაში

კვლევის შედეგებით პასუხი მივიღეთ კითხვაზე: *ტერორიზმის გაშუქებისას უსაფრთხოების რომელი საკითხი წამოიჭრა?* დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ქართულ მედიაში ტერორიზმის გაშუქებისას უსაფრთხოების საკითხად აქცენტირებულია მიგრაცია, თუმცა აღნიშნული თემა ყველა ტერაქტის გაშუქების დროს არ დაფიქსირდა. ეს საკითხი ძირითადად საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტების გაშუქებისას წამოიჭრა. მაგალითად, 2015 წლის ნოემბერში პარიზში მომხდარი ტერაქტის გაშუქების შესწავლისას გამოიკვეთა მიგრაციის საკითხი. ბეჭდური მედია გარკვეულ შემთხვევებში საფრანგეთში მომხდარ ტერორისტულ აქტს მიგრანტების ქვეყანაში შესვლას უკავშირდება. საგაზეთო პუბლიკაციებში გაკრიტიკებული იყო საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება მიგრანტების ქვეყანაში მიღებასთან დაკავშირებით. ცალსახად იმის აღნიშვნამ, რომ მიგრანტების რიცხვის ზრდა საფრთხეა, მათ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შექმნას ხელს შეუწყობს. არ შეიძლება მედიამ ერთმანეთს პირდაპირ დაუკავშიროს ტერორიზმი და მიგრაციის პრობლემა.

პასუხი გაეცა კვლევის კითხვას: *ევროპაში მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას მედია ხაზს უსვამდა თუ არა ევროპის დაუცველობას და ევროპას, როგორც არაუსაფრთხო*

ადგილს? გამოიკვეთა თუ არა ანტიდასავლური მესიჯები? პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების გაშუქებისას ქართულ მედიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრეიმი იყო ევროპის ქვეყნების დაუცველობა და ასევე უსაფრთხოების ზომების გამკაცრება. ბეჭდურ მედიაში ანტიდასავლური მესიჯები გამოიკვეთა, თუმცა ის სატელევიზიო მედიაში არ დაფიქსირებულა. ბეჭდური მედია ზოგჯერ ტერაქტს ანტიდასავლური მესიჯების გასავრცელებლად იყენებდა. მედიის მხრიდან იმაზე ხაზგასმა, რომ ტერაქტი ევროპასა და ამერიკაში მოხდა და შესაბამისად, მსოფლიო დაუცველია, საზოგადოებაში შიშს დაამკვიდრებს.

ფრანგულ გამოცემა „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას მედიამ ყურადღება დაუთმო გამოცემის მიერ კარიკატურებისა და ტერორისტული აქტის ერთმანეთთან დაკავშირებას. „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის შესახებ სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალების მხოლოდ 13%-ში აღინიშნა, რომ ჟურნალის მიერ დაბეჭდილი კარიკატურები შეურაცხმყოფელი იყო, ხოლო იგივე საკითხი ბეჭდური მედიის პუბლიკაციების 29.1%-ში გამოვლინდა, რაც სატელევიზიო მასალების რაოდენობას, თითქმის, ორჯერ აღემატება.

„შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას სატელევიზიო მედიაში აქცენტირებული იყო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. ქართულ სატელევიზიო მედიაში თავისუფლების მნიშვნელობას სიუჟეტების 37%-ში ხაზი გაესვა. აღნიშნული მოსაზრება ბეჭდური მედიის მხოლოდ 14%-ში დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში ცალკე უნდა ვისაუბროთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ მასალებზე. „შარლი ებდოზე“ მომხდარი ტერაქტის შესახებ ამ გაზეთში დაბეჭდილი პუბლიკაციების 63.6% იმ ადამიანების კრიტიკას ეთმობა, ვინც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე აკეთებს აქცენტს. ბეჭდური მედიიდან განსაკუთრებით, „საქართველო და მსოფლიო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ „შარლი ებდოს“ მიერ გამოცემულ კარიკატურებს აკრიტიკებდა. კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ ბეჭდურ მედიაში ტერორიზმი დაგმობილი იყო, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მას მოსდევდა

სიტყვა „მაგრამ“. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერაქტის შემდეგ ჟურნალის კრიტიკა, ნაწილობრივ, ტერორიზმის გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან როცა მას მოსდევს „მაგრამ“, გამოდის, რომ ის ბოლომდე არ არის დაგმობილი. თავდასხმის შემდეგ გამოცემის სარედაქციო პოლიტიკის კრიტიკა ტერორისტების მიზანს, თავისდაუნებურად, ხელს შეუწყობს, რაც განსაკუთრებით, მედიის მხრიდან დაუშვებელია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართული მედია საქართველოში არსებულ სიტუაციასაც მიმოიხილავდა. ქართული მედია ინტერესდებოდა, არსებობდა თუ არა საქართველოში ტერორიზმის საფრთხე. ერთგვარი მოულოდნელობაც კი იყო ზოგიერთ შემთხვევაში საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას საქართველოს მოხსენიების სიმრავლე. მაგალითად, პარიზში 2015 წლის 13 ნოემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტის შესახებ მომზადებული მასალების 74.4%-ში საქართველოზე იყო საუბარი.

საქართველოში განხორციელებული ორივე ტერაქტების გაშუქებისას მნიშვნელოვანი იყო შედეგებზე საუბარი. ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის გაშუქებისას კი აქცენტირებული თემა იყო იმის აღნიშვნა თუ ვის მიმართ იყო ტერაქტი განხორციელებული - ქართველი ერის წინააღმდეგ, დესტაბილიზაციისკენ თუ სახელმწიფო მეთაურის განადგურებისკენ. ამ საკითხს ქართულ მედიაში ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი ტერაქტის შესახებ დაბეჭდილი მასალების 61.3% დაეთმო. შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის გაშუქებისას ქართული მედია შევარდნაძეს დადებით კონტექსტში მოიხსენიებდა, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა „საქართველოს რესპუბლიკა“.

გორში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ბეჭდურმა მედიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თავდასხმის გამოძიებას, ხოლო სატელევიზიო მედიამ კი უშუალოდ ტერორისტული აქტის აღწერას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სატელევიზიო მედიაში ბეჭდური მედიისგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლების, ძალოვანი

უწყებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და კრიტიკული მოსაზრება, პრაქტიკულად, არ გაჟღერებულა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2005 წლის 3 თებერვალს ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა და თავად მედიის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის ეს თემა უფრო აქტუალური გახდა, ვიდრე გორის ტერაქტი. ტერორისტული აქტის მოწყობიდან პირველ-ორ დღეს გაცილებით მეტი რაოდენობის მასალა გაშუქდა, ვიდრე მომდევნო დღეებში.

პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების საბრძოლველად წასვლის შესახებ მომზადებულ მასალებში ბეჭდურ და სატელევიზიო მედიაშიც ცალსახად იყო გამოკვეთილი, რომ პანკისიდან სირიაში საომრად წასვლა ქვეყნისთვის საფრთხის მომტანია. მედიის მიერ ხაზგასმული იყო პანკისში თარხან ბათირაშვილის, იგივე ომარ ალ შიშანის გავლენა, ამაზე აპელირებამ შესაძლოა, ახალგაზრდების დაინტერესება კიდევ უფრო გამოიწვიოს. სირიაში ახალგაზრდების საომრად წასვლის მიზეზად ქართულ მედიაში ძირითადად, იდეოლოგია სახელდებოდა, ხოლო ბეჭდურ მედიაში ერთ-ერთ მიზეზად პანკისში განათლების დონის ნაკლებობა დასახელდა, ბეჭდურ მედიაში ხაზი გაესვა, რომ აუცილებელია ხეობაში ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა. სატელევიზიო მედიაში კი ერთ-ერთ ხელშემწყობ მიზეზად უმუშევრობა და დაბალი სოციალური ფონი სახელდებობდა. გარდა ამისა, სატელევიზიო მასალებში ყურადღება იყო გამახვილებული საქართველოს ხელისუფლების რეაგირების შეფასებაზე. აღნიშნულ საკითხს საქართველოდან საომრად ახალგაზრდების გადინების შესახებ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალის 50%-ში ყურადღება დაეთმო. ბეჭდურ მედიაში ასევე აქცენტირებული ფრეიმი იყო - არასრულწლოვნის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და დაუცველი საზღვარი. აღნიშნულის შესახებ ამ თემაზე შესწავლილი მასალების 45.3%-ში დაიბეჭდა. უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვნის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაზე სატელევიზიო მედიამაც გაამახვილა ყურადღება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას მედია წყაროდ ყველაზე ხშირად საქართველოს ხელისუფლების

წარმომადგენლებს იყენებდა. საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტების გაშუქებისას კი სატელევიზიო მედია უფრო ხშირად იმ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს იყენებდა წყაროდ, სადაც თავდასხმა მოხდა, ასევე სატელევიზიო მედია საერთაშორისო გამოხმაურებითაც ინტერესდებოდა, ხოლო ბეჭდური მედია კი წყაროდ ყველაზე ხშირად საქართველოში მცხოვრებ ექსპერტებს იყენებდა. გარდა ამისა, ქართული ბეჭდური და სატელევიზიო მედიის წყარო ტერორისტებიც იყვნენ.

ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქებისას ბეჭდურ მედიაში სტატიის ტიპი უფრო ხშირად გამოიყენება. შესწავლილი ბეჭდური მედიის მასალების საერთო რაოდენობის (589) 43.8% სტატიის ტიპი იყო. ასევე დადასტურდა ამავე ჰიპოთეზის მეორე ნაწილიც, რომ სატელევიზიო მედიის მიერ ძირითადად სიუჟეტის ჟანრს ენიჭება უპირატესობა. ქართულ სატელევიზიო მედიაში შესწავლილი 247 მასალიდან 55.4% სიუჟეტის ტიპი იყო.

როგორც სატელევიზიო, ასევე ბეჭდურ მედიაში ტერორისტული აქტის გაშუქება თავდასხმის მოწყობის პირველ კვირას უფრო აქტუალური იყო, ვიდრე მეორე კვირას. ასევე ტერაქტიდან ერთ კვირაში მასალები ძირითადად, სტატიის პირველ 4 გვერდზე იბეჭდებოდა, ტელევიზიების შემთხვევაში კი, პირველ 4 სიუჟეტში იყო გაშუქებული.

კვლევის ფარგლებში საკმაოდ დიდი რაოდენობით მასალა დამუშავდა. გარდა ამისა, შევისწავლეთ 20 წლის განმავლობაში მომხდარი ტერაქტები და ვიკვლიეთ დროთა ცვლილების ფონზე, ქართულ მედიაში ტერორიზმთან და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ფრეიმები და გაშუქების ტენდენცია როგორ შეიცვალა.

ძირითადი მიგნებები:

- ქართული მედია აქტიურად იყენებს ტერმინებს - ტერაქტი, ტერორისტი, ტერორისტული აქტი, ასევე ისლამისტი, ჯიჰადისტი და ნაკლებად სიტყვებს - თავდამსხმელი, თავდასხმა.

- ერთი და იგივე მასალაში სავარაუდო თავდამსხმელი მოხსენიებულია როგორც ეჭვმიტანილად და როგორც ტერორისტული აქტის ორგანიზატორად.
- ქართული მედია აშუქებდა თავდამსხმელების მიერ გავრცელებულ მიმართვებს, ქართულ ენაზე გადათარგმნილი იყო ტერორისტების გზავნილები
- ევროპაში მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართულ მედიაში აქტიურად განიხილებოდა ევროპის დაუცველობის საკითხი. ასევე ზოგიერთ მედიასაშუალებაში უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებოდა ევროპა, დასავლეთი. ტერორიზმის საფრთხის კონტექსტი გამოყენებული იყო ანტიდასავლურ მესიჯებშიც.
- საზღვარგარეთ მომხდარი ტერაქტის გაშუქებისას ქართული მედია ინტერესდებოდა საქართველოში არსებული უსაფრთხოების დონით.
- ზოგიერთ მედიასაშუალებაში მიგრანტების საკითხი ტერაქტთან პირდაპირ დაკავშირებულია
- ქართული მედია გარკვეულ შემთხვევებში წყაროდ ტერორისტებს იყენებდა
- ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით 20 წლის განმავლობაში ბეჭდურ მედიაში უფრო მეტი მასალა გამოქვეყნდა, ვიდრე სატელევიზიო მედიაში.
- ბეჭდურ მედიაში სტატიის ტიპი ჭარბობს, სატელევიზიო მედიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში კი სიუჟეტი.

თავი 5. კვლევის ლიმიტი და სამომავლო პერსპექტივა

კვლევის ფარგლებში 1995-2015 წლებში მომხდარი 6 ტერორისტული აქტისა და პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლასთან დაკავშირებული საკითხების ქართულ მედიაში გაშუქება შევისწავლეთ. კვლევის შედეგად დიდი რაოდენობის მასალა (836) დამუშავდა. ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ასევე საინტერესო იქნება სხვა ტერაქტების გაშუქების კვლევაც ჩატარდეს. ამით მიღებული ცოდნა უფრო მრავალფეროვანი გახდება. გარდა ამისა, საინტერესო იქნება საზოგადოების განწყობების შესწავლა და იმის დადგენა თუ რა ზეგავლენას ახდენს ტერორიზმთან დაკავშირებული მედიაფრეიმები აუდიტორიაზე. თუმცა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩატარებული კვლევის შედეგად შეუძლებელია, რადგან პასუხის მისაღებად კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია განსხვავებული უნდა იყოს. სამომავლოდ, ამის დასადგენად, შესაძლებელია, ჩატარდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუები, გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფები.

აღნიშნულ ნაშრომს აქვს კვლევის სამომავლო პერსპექტივა და მისი შედეგები მნიშვნელოვანი წყარო იქნება დაინტერესებული, ფართო აკადემიური წრეებისთვის.

დანართი 1. კოდირების სახელმძღვანელო

1. **სიუჟეტის საიდენტიფიკაციო ნომერი (001 –)**
2. **ტელევიზია**
    1. საზოგადოებრივი მაუწყებელი
    2. „რუსთავი 2“
3. **სტატის საიდენტიფიკაციო ნომერი (001 –)**
4. **ბეჭდური მედია**
    1. „საქართველოს რესპუბლიკა“
    2. „რეზონანსი“
    3. „ახალი თაობა“
    4. „კვირის ქრონიკა“
    5. საქართველო და მსოფლიო“
    6. „პრაიმ ტაიმი“

5. ეთერში გასვლის თარიღი

6. მასალის ტიპი TV მედიაში

1. ახალი ამბავი
2. სიუჟეტი
3. ინტერვიუ
4. პირდაპირი ჩართვა
5. პირდაპირი ჩართვა+სიუჟეტი
6. სხვა

7. **მასალის ტიპი ბეჭდურ მედიაში**
    1. ახალი ამბავი
    2. სტატია
    3. ინტერვიუ
    4. სხვა (ბრძანება, წერილი, განცხადება, მიმართვა)

8. უსაფრთხოების გამკაცრება

1. უსაფრთხოების გამკაცრება იმ ქვეყანაში, სადაც ტერაქტი მოხდა

2. უსაფრთხოების გამკაცრება ევროპაში
3. უსაფრთხოების გამკაცრება საქართველოში
4. 4. არ დაფიქსირდა

9. ტერორიზმთან დაკავშირებული სიტყვები/ფრეიმები

1. ტერაქტი
2. ტერორისტული აქტი
3. თავდასხმა
4. აფეთქება
5. ბოროტება
6. ტრაგედია
7. ტერორისტი
8. საფრთხე
9. უსაფრთხოება
10. თავდამსხმელი
11. ისლამური სახელმწიფო
12. ალ ქაედა
13. ჯიჰადისტი
14. ბინ ლადენი
15. თალიბები
16. სხვა

10. ტერაქტის შედეგები

1. ტერაქტის დეტალური აღწერა
2. გარდაცვილებისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია
3. სხვა

11. საქართველოსთან კავშირი

1. საქართველო - ქვეყანა, რომელშიც ტერორიზმის საფრთხეა
2. არ არის საფრთხე
3. არაფერია გამორიცხული

4. საქართველოს ხელისუფლების რეაგირება

ა. დადებითი

ბ. უარყოფითი

გ. ნეიტრალური

5. საქართველოს ყოფილი ხელისუფლების (ნაციონალური მოძრაობა) რეაგირება

ა. დადებითი

ბ. უარყოფითი

გ. ნეიტრალური

12. საქართველოდან ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში წასვლა

1. საფრთხე ქვეყნისთვის
2. თარხან ბათირაშვილის სავარაუდო მხარდამჭერები პანკისში
3. ახალგაზრდების საომრად წასვლის მიზეზების ძიება

ა. ფინანსური დაინტერესება

ბ. იდეოლოგია

გ. რელიგიური ექსტრემიზმი

დ. თარხან ბათირაშვილის გავლენა

ე.განათლების დონის ნაკლებობა

ვ. ბათირაშვილის გავლენა

გ. სხვა

13. სპეცოპერაცია პანკისში

1. სპეცოპერაციის შეფასება

ა. დადებითი

ბ. უარყოფითი

გ. ნეიტრალური

14. საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი მიმართვების მედიაში გავრცელება

ა. მხოლოდ ინფორმაცია გავრცელების შესახებ

ბ. მიმართვის ნაწილობრივი ტექსტი, ან ვიდეოს ნაწილი

გ. სრული მიმართვა, სრული ვიდეო

15. ტერორიზმისა და მიგრაციის დაკავშირება

1. მიგრანტების რიცხვის ზრდა საფრთხეა
2. მიგრანტების რიცხვის ზრდა საფრთხე არ არის

3. მიგრანტების რიცხვის ზრდამ შესაძლოა ტერაქტი გამოიწვიოს
4. სხვა

16. რუსეთის ფაქტორი

1. რუსეთი დაკავშირებულია ტერორისტულ აქტთან
2. რუსეთი ტერორიზმს ხელს უწყობს
3. ტერაქტები რუსეთისთვის სარგებლის მომტანია
4. პანკისის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლაში რუსული კვალია
5. პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლა რუსეთს აწყობს
6. სხვა

17. ევროპის ფაქტორი

1. ევროპა - უსაფრთხოების გარანტი
2. ევროპა - უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს
3. ევროპაში მოხდა ტერაქტ
4. სხვა

18. შარლი ებდოს ტერაქტის გაშუქებისას მის საქმიანობასთან კავშირი

1. შარლი ებდოს კარიკატურები - შეურაცხმყოფელი
2. სიტყვის თავისუფლების დაცვა მნიშცნელოვანია
3. ტერაქტის მიზეზების ძიება
4. საქართველოში გამოხატული სოლიდარობის შეფასება
    1. დადებითი
    2. უარყოფითი
    3. ნეიტრალური
    4. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მომხდარი დარბევების (7 ნოემბერი, 26 მაისი) გახსენება და პარალელის გავლება
    5. სხვა

19. დასავლეთის, ა.შ.შ.-ის კონტექსტი

1. უარყოფითი
2. დადებითი
3. სხვა

20. გორის ტერაქტი

1. დაიღუპნენ პოლიციელები

2. პოლიციასთან მოხდა აფეთქება

21. ვერსიები

1. საზღვრებს მიღმა დაიგეგმა

2. ოს სეპარატისტებთან კავშირი აქვს ტერაქტს

3. რუსეთმა დაგეგმა

4. რუსეთმა დაგეგმა, ოსებმა შეასრულეს

5. კონტრაბანდა

6. პოლიციის უფროსი იყო სამიზნე

7. კრიმინალი გაიზარდა და კრიმინალური გარჩევა

8. სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივაზე პასუხი

9. სხვა.

22. შევარნდაძეზე ტერაქტი

1. თავდასხმა სახელმწიფო მეთაურზე

2. თავდასხმა დესტაბულიზაციისკენ

3. ქართველ ერზე თავდასხმა

23. შევარდნაძის მოხსენიება

1. დადებითი

2. უარყოფითი

3. ნეიტრალური

24. ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი

1. ტერორიზმთან ბრძოლა მნიშვნელოვანი

2. არ გამოვლინდა

25. წყარო

1. საქართველოს ხელისუფლება
2. საქართველოს ოპოზიცია
3. ექსპერტები/საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები
4. პანკისელები
5. ტერაქტის თვითმხილველები
6. ტერორისტები
7. დაზარალებულები
8. თავდამსხმელების ოჯახის წევრები, მეგობრები
9. ეკლესია
10. მუსლიმი თემი
11. იმ ქვეყნის ხელისუფლება, სადაც ტერაქტი მოხდა
12. იმ ქვეყნის ოპოზიცია, სადაც ტერაქტი მოხდა
13. იმ ქვეყნის ექსპერტები, სადაც ტერაქტი მოხდა
14. საერთაშორისო გამოხმაურება
15. მედია
16. სხვა

ბიბლიოგრაფია:

Alexander Y; Latter R, (1990). Terrorism and the Media: Dilemmas for Government, Journalists and the Public, Macmillan Publishing Co, Inc, p. 35-66

Alsultany E. (2013). Arabs and Muslims in the Media after 9/11: Representational Strategies for a "Postrace" Era, American Quarterly, V. 65, Number 1, 03. 2013, pp. 161-169.

Baldwin, David A. (1993). 'Neoliberalism, Neorealism, and World Politics', in David A. Balwin (ed.)Neorealism and Neoliberalism New York: Columbia University Press: 1-25

Basilaia E, (2009). Framing the 2008 war in Georgia in Resonance, Izvestia, and the New York Times. San Jose State University SJSU Scholar Works. Master's Theses and Graduate. Research. (ხელმისაწვდომია: http://scholarworks.sjsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4729&context=etd_theses, ბოლო ნახვა, 2018, იანვარი).

Barnhurst, KG (1991). The literature from terrorism. In A.O. Alali & K.K. Eke, Media coverage of terrorism, methods of diffusion, London, Sage.

Buzan, B. (1996). The timeless wisdom of realism?' in Steve Smith, Ken Booth and Marysia Zaleweski (eds) International Theory: Positivism and Beyond, Cambridge: Cambridge University Press: 47-66.

Brussels explosions: What we know about airport and metro attacks, (2016) ხელმისაწვდომია: http://www.bbc.com/news/world-europe-35869985 ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

Brzezinski, Z 1977-1981. Power and principle: Memoirs of the national security adviser, Farrar, Straus, Giroux New York

BBC, Section 11: War, Terror and Emergencies, (ხელმისაწვდომია http://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies, ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი).

Cameron D: UK must defend Christian values against terror, 27 March 2016, From the section UK ხელმისაწვდომია: http://www.bbc.com/news/uk-35904018 ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

Cappella, J. N., & Jamieson, K. H. (1997). Spiral of cynicism. The press and the public good. New York: Oxford University Press

Callaghan K. & Schnel F, (2005). Framing American Politics, University of Pisttsburg Press, (ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?id=Bc4x3F0fk5cC&printsec=frontcover&dq=framing+american+politics&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwiHyqrP3p3KAhWJ73IKHZWZBXEQ6AEIGzAA#v=onepage&q=framing%20american%20politics&f=false, ბოლო ნახვა, 2017, ოქტომბერი).

Collins A. (2010). Contemporary Security Studies. Second Edition. New York: Oxford University Press Inc., გვ. 10-65.

Cohen-AlmagorR.(2005. Media Coverage of Acts of Terrorism: Troubling Episodes and Suggested Guidelines, V. 30.

Christoph V. (2012). The Role of the Mass Media in the Integration of Migrants, International Mind, Brain, and Education Society and Blackwell Publishing, V. 6, p. 97–107.

Dougherty J, (2004). Chechen 'claims Beslan attack', CNN Moscow Bureau Chief, http://edition.cnn.com/2004/WORLD/europe/09/17/russia.beslan/ ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

Entman, R. B. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. Journal of Communication, 43, 51–58.

Ganor B. (2009) Trends in Modern International Terrorism. Springer, New York, NY, Chapter 2. pp.11-42.

Gamson, W. A., & Modigliani, A. (1989). Media discourse and public opinion on nuclear power: A constructionist approach. American Journal of Sociology, 95(1), 1–37

Gitlin, T. (1980). The whole world is watching. Berkeley: University of California Press

Fiona B. A. (2006). Crossing Borders: International Migration and National Security, by the President and Fellows of Harvard College and the Massachusetts Institute of Technology, Vol. 31, No. 1, Pages 165-199.

Hoffman, B (1998). Inside Terrorism, New York, Columbia University Press.

Jaeho Cho, Michael P. Boyle, Heejo Keum, Mark D. Shevy, Douglas M. McLeod, Dhavan V. Shah & Zhongdang Pan, (2003), Media, Terrorism, and Emotionality: Emotional Differences in Media Content and Public Reactions to the September 11th Terrorist Attacksme 47, Issue 3, pp/ 309-327,

Kavoori A P., Tod Fraley T. (2006). Media, Terrorism and Theory: A reader (ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=0l7y-tZJCrUC&oi=fnd&pg=PR7&dq=terrorism+media&ots=J_O65sX3hb&sig=DOUDg8-k1AVj65G65nLgZigLf74&redir_esc=y#v=onepage&q=terrorism%20media&f=false, ბოლო ნახვა, 2018, იანვარი).

Kissinger, H. (1976). 'Documentation: Foreign Policy and National Security' International Security 1/1: 182-191.

Krippendorff, K. (1980). Content Analysis: An Introduction to Its Methodology. Newbury Park, CA:Sage

Martinez M, Debucquoy-Dodley D, Sanchez R, January 11, 2015. Vignettes: More about the 17 killed in French terror attacks, CNN (ხელმისაწვდომია: http://edition.cnn.com/2015/01/10/world/france-paris-who-were-terror-victims/index.html ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

Mclaughling, G. (1999). Refugees, Migrants and the Fall of the Berlin Wall.

Miller, A. H. (1982). Terrorism, the media, and the law. New York, NY: Transnational Publishers.

Morgenthau, Hans J. (1978). Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace 5th edition New York: Alfred A. Knopf.

Moscow Metro hit by deadly suicide bombings, (2010). (ხელმისაწვდომია: http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/8592190.stm ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

Nacos B. L. (2003). The Terrorist Calculus behind 9-11: A Model for Future Terrorism? Columbia University New York, NY, USA. (ხელმისაწვდომია: https://s3.amazonaws.com/academia.edu.documents/38418795/NacosTerroristCalculus.pdf?AWSAccessKeyId=AKIAIWOWYYGZ2Y53UL3A&Expires=1520848515&Signature=XxdjA0peN24X%2FFdRzRfXZBgCjsw%3D&response-content-disposition=inline%3B%20filename%3DThe_Terrorist_Calculus_behind_9-11_A_Mod.pdf, ბოლო ნახვა, 2018, იანვარი).

Paris attacks: What happened on the night, (2015), (ხელმისაწვდომია: http://www.bbc.com/news/world-europe-34818994 ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

Powell Kimberly A, (2011). Framing Islam: An Analysis of U.S. Media Coverage of Terrorism Since 9/11. Communication Studies, 62:1, 90-112

Reese, S. D., & Lewis, S. C. (2009). Framing the war on terror: The internalization of policy in the US Press. Journalism, 10, 777–797

Reza Syed M. (2011). Representations of Islam and Muslims in Press Coverage. World Journal of Islamic History and Civilization, 1 (4): 234-241. (ხელმისაწვდომია: https://courses.marlboro.edu/pluginfile.php/60787/mod_page/content/9/Reza,%20Representations%20of%20Islam%20and%20Muslims.pdf , ბოლო ნახვა, 2018, იანვარი.

Reuters Handbook of Journalism Reuters (ხელმისაწვდომია: http://handbook.reuters.com/?title=T#terrorism.2C_terrorist, ბოლო ნახვა, 2017, იანვარი.

Ruigrok N & van Atteveldt W. (2007). Global Angling with a Local Angle: How U.S., British, and Dutch Newspapers Frame Global and Local Terrorist Attacks, The International Journal of Press/Politics, p.68-88.

Rudolph C, (2002). Security and the Political Economy of International Migration, University of California, (ხელმისაწვდომია: http://escholarship.org/uc/item/0hd2q0gt#page-1 ბოლო ნახვა, .2017, ნოემბერი)

Reynolds, A., & B. Barnett. (2003). ?'America Under Attack': CNN's Verbal and Visual Framing of September 11." In Media Representations of September 11, ed. S. Chermak, F.Y. Bailey, and M. Brown. New York: Praeger.

Schmid A. (2004). Terrorism-the definitional problem, Case Western Reserve Journal of International Law. V.36. I.2. pp.375-419.

Section 11: War, Terror and Emergencies, (ხელმისაწვდომია: http://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

Semetko Ha & Valkenburg PM, (2000). Framing European politics: a content analysis of press and television news, Journal of Communication, Volume 50, Issue 2, Pp. 93–109.

Shah, D. Watts, M. D., Domke, D., & Fan, D. (2002). News framing and cueing of issue regimes. Explaining Clinton's public approval in spite of scandal. Public Opinion Quarterly, 66, 339–370.

Spencer A. (2012). The social construction of terrorism: media, metaphors and policy implications, Journal of International Relations and Development 15, 393-419

Section 11: War, Terror and Emergencies (ხელმისაწვდომია: http://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი

Statement by the NATO Secretary General on Brussels attacks, (2016). (ხელმისაწვდომია: http://www.nato.int/cps/en/natohq/news_129497.htm ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი

State Department report: Country Reports on Terrorism 2016, (2017) (ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/j/ct/rls/crt/2016/index.htm, ბოლო ნახვა 2018, იანვარი

State Department report: ISIS breaking new ground as new leader in terror groups, By Elise Labott, CNN, (2015). (ხელმისაწვდომია: http://edition.cnn.com/2015/06/19/politics/isis-report-state-department-terror/ ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი

Stoica A-M. (2016), Terrorism in Media Coverage, International Scientific Conference Strategies XXI 3: 32-37. Bucharest: "Carol I" National Defence University.

Tuchman G. (1978). Making News: A Study in the Construction of Reality. *London, New York: Free Press.*

Tewksbury, D, & Scheufele D.A. (2009). News Framing Theory and Research. In J. Bryant & M.B., Oliver (Eds.), Media effects: Advances in theory and research (3rd ed.) (pp. 17-33), New York, NY: Rutledge, Taylor and Francis Group.

Theadgold T. (2009). The Media and Migration in the Yunited Kingdom, 1999 – 2009. Migration Policy Institue.

The 9/11 COMMISSION REPORT, Final Report of the National Commission on Terrorist Attacks Upon the United States, EXECUTIVE SUMMARY (2004), research (ხელმისაწვდომია: http://www.9-11commission.gov/report/911Report_Exec.htm ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი

Tripp E, (2013). Realism: The Domination of Security Studies, ვებგვერდიდან: http://www.e-ir.info/2013/06/14/realism-the-domination-of-security-studies/ ბოლო ნახვა 2018, იანვარი.

Waever O; Buzan B; Kelstrup M; Lemaitre P, Identity, migration and the new security agenda in Europe. New York, New York, St. Martin's Press, 1993. x, 221 p.

Weinberg L, Pedahzur A &Hirsch-Hoefler S. (2004). The Challenges of Conceptualizing Terrorism, Terrorism and Political Violence, Volume 16, Issue 4, 2004 p. 777-794

Weimann, G & Winn, C (1994). The Theatre of Terror: Mass Media and International Terrorism, London, Longman Publishing Group

ალადაშვილი ბ. (2004). ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, მიზნები და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში // ახალი აზრი, № 1 (15).

ახალი და ძველი ტერორისტული აქტები საქართველოში, წამალაშვილი, (2005). ხელმისაწვდომია: http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1539546.html ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

ბუშის ხელყუმბარის ინციდენტში "სავარაუდო ეჭვმიტანილი" დაკავებულია, ხელმისაწვდომია: http://www.civil.ge/geo/article.php?id=10264 ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

გერსამია მ. მაქნილი რ. (2017). მიგრაცია და მედია, მიგრაციის სახელმძღვანელო, გვ.428-456.

„ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ტერორიზმთან გასამკლავებლად" - ფილიპ ბრიდლავი, 2016, ხელმისაწვდომია: Rustavi 2.com 23-03-2016http://rustavi2.ge/ka/news/42542, ბოლო ნახვა, 2018, იანვარი

ზურაბიშვილი თ. (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის/თინათინ ზურაბიშვილი; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა] - თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

თეთრი სახლი: თბილისში ბუშს საფრთხე არ ემუქრებოდა, ხელმისაწვდომია: http://www.civil.ge/geo/article.php?id=9700 ბოლო ნახვა, 2017, ივნისი

კინწურაშვილი თ. გელავა ს. (2017). მუსლიმი ახალგაზრდების დამოკიდებულებები მედია გაშუქებისა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის მიმართ, „მედიის განვითარების ფონდი“, ხელმისაწვდომია: http://mdfgeorgia.ge/uploads/library/77/file/Publication-Geo.pdf ბოლო ნახვა, 2018, იანვარი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), (2015). საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation, ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი.

მეცხრე მსხვერპლი სირიაში პანკისის ხეობიდან, (2014). ხელმისაწვდომია: http://ick.ge/articles/20447-i.html ბოლო ნახვა, 2016, ივლისი

პანკისის ხეობაში სპეცოპერაცია მიმდინარეობს, 2015. ხელმისაწვდომია: http://rustavi2.ge/ka/news/18755 ბოლო ნახვა, 2018, თებერვალი

პანკისიდან სირიაში – სკოლის მერხიდან ომში, 2015, 06 აპრილი. კახეთის საინფორმაციო ცენტრი, ხელმისაწვდომია: http://ick.ge/articles/21354--video.html ბოლო ნახვა, 2016, ივლისი

პანკისის სკოლიდან წაყვანილი ბავშვები ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოში“ [Photo - ექსკლუზივი], 12 აპრილი, 2015. ხელმისაწვდომია: http://ick.ge/articles/21412--photo-.html ბოლო ნახვა, 2016, ივნისი

პანკისიდან სირიაში სკოლის მოსწავლე გოგონა გაგზავნეს, (2015). ხელმისაწვდომია: http://ick.ge/articles/21589-i.html ბოლო ნახვა, 2016, ივნისი

რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, (2011). საერთაშორისო პოლიტიკა/ მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, ხელმისაწვდომია: http://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/9971/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf, ბოლო ნახვა, 2017, დეკემბერი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. ხელმისაწვდომია: http://www.mra.gov.ge/geo/static/3653, ბოლო ნახვა, 2017, იანვარი.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, (2016). ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის, ხელმისაწვდომია: http://qartia.ge/media/1000907/2017/07/31/86278ccf2a44c8b77de1ad9937657456.pdf , ბოლო ნახვა, 2018, თენერვალი.

სირიაში სავარაუდოდ კიდევ რამდენიმე პანკისელი დაიღუპა, რეგინფო, (2017). ხელმისაწვდომია: http://reginfo.ge/people/item/2311-siriashi-savaraudod-kidev-ramdenime-pankiseli-daigupa ბოლო ნახვა 2018 თებერვალი

სვანიძე, 2014, ექსპერიმენტი - საძიებო სიტყვა „დევნილი", ხელმისაწვდომია: http://www.media.ge/ge/portal/articles/302116/, ბოლო ნახვა, 2017, იანვარი.

სომხური დიასპორის ბრძოლა სირიაში და ტერაქტების შემდეგ გაძლიერებული უსაფრთხოება ერევანში, (2015). ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/73509/ ბოლო ნახვა, 2016, ივნისი

სპეცოპერაცია პანკისის ხეობაში – დაკავებულია ჯოყოლოს იმამი [Photos - Video], ხელმისაწვდომია: http://ick.ge/articles/22271-i.html ბოლო ნახვა, 2016, ივნისი

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]

ურუშაძე, მ. (2007). გლობალიზაცია - გლობალური ტერორიზმის საფრთხე, უნივერსალი

ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, კონტენტ-ანალიზი. თავი 4. გვ.27-28. ხელმისაწვდომია: http://api.ning.com/files/cZ-SnQ88P2qCHzHZaE9mdQKs9aRfKBSeKUx6WPtRkgkfekdbscvbTokDgwiHh1LAwL6aAnNPN59L6Nb41dnIGBBroCT1YyFE/PsychologyResearchMethods.pdf , ბოლო ნახვა, 2018, თებერვალი.

შსს-მ ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით ყოფილი მაღალჩინოსნები დააკავა, (2010). ხელმისაწვდომია: http://www.tabula.ge/en/node/76144 ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი

ცხვიტავა გ. (2011), თავდაცვისა და სამხედრო საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში. ხელმისაწვდომია: http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Tavdacvisa_da_samxedro_sakitxebis_gashukeba_kartul_mediashi.pdf, ბოლო ნახვა, 2017, ნოემბერი.

წამალაშვილი ე. (2003). 29 აგვისტო დღეს და 8 წლის წინ. ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის დეტალები დღემდე ბუნდოვანია, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1530515.html ბოლო ნახვა, 2017, ოქტომბერი

ხუციძე ნ. (2012). კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში. ხელმისაწვდომია: http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Konfliktebis_gashukeba_qartul_mediashi.pdf, ბოლო ნახვა, 2017, იანვარი.